პოლიტიკა კანონის წინააღმდეგ გვ. 41

საპროტესტო აქციები - გარდამტეხი ფაქტორი გვ. 7

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი გვ. 9

შეწყალების სიები გვ. 44

ეკონომიკური კრიზისი გვ. 11

რუსეთ-აფხაზეთის სტრატეგიული პარტნიორობა გვ. 39

ერთი სამშობლოს ორი ისტორია გვ. 33

ქართული მეცნიერება - რეალობის განჯადოება გვ. 54

ფოკუსი: სომხეთი გვ. 58

ლიბერალი

№ 2 / 2 ივნისი - 14 ივნისი / 2009

ISSN 1987-7528

უცნობი პატრიარქი

რადიო „უცნობი“ წარმოგიდგენთ დილის გადაცემას „დილა მშვიდობისა“
ნატა ასათიანთან და ვახო ხვიჩიასთან ერთად
ყოველ სამუშაო დღეს, დილის 9:00 დან 11:00 საათამდე.

- პოლიტიკური თემები
- საინტერესო მოსაზრებები
- მაგარი სიმღერები
- მხიარული საუბრები
- SMS გამოკითხვები

უსმინეთ და მიიღეთ გადაცემაში მონაწილეობა
SMS ნომერი: 9800
Skype ID: ucnobidila

www.ucnobifm.ge

სარჩევი

ფოტო REUTERS / ირაკლი გედღინაძე

გარეკანზე:
ფოტო მარიკა ქოჩიაშვილის

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

04 მოკლედ

06 ვრცლად

10 ორი აზრი
დოლარი ლარის წინააღმდეგ
ნინო გორგაძე v.s. ლადო პაპავა

13 პოლიტიკა
ოპოზიციამ თავი ჩიხში მოიძცია

15/ ეკლესია და პოლიტიკა
უცნობი პატრიარქი

16/ საკანონმდებლო ორგანო
დაკეტილი პარლამენტი

17/ ქონების დაბრუნება
მთავრობა ეკლესიის სამსახურში

19/ თვალსაზრისი
სახელდობრ რისი კრიზისი?
გია ნოდია

20/ ჟურნალისტური გამოძიება
15 ათასი პოლიტიკური მუშაკი

21 ადამიანის უფლებები და სამართალი
პოლიციის აღიარება

23/ რელიგიური ექსტრემიზმის ახალი ტალღა

24/ პოლიტპატიმრები საქართველოში

27 საქართველო და კონფლიქტები

აჭარა
ნოღაიდელი – მარტო აჭარაში

29/მარნეული
ნულოვანი ინფორმაცია, ნულოვანი ინტეგრაცია

30/სამხრეთი ოსეთი
არჩევნები ნანგრევებში

32/აფხაზეთი
ბეწვის ხიდზე

33/აფხაზური პასპორტი
სავალდებულო ხდება

35 საზოგადოება
პრივატიზაცია
ლიკანმა კურორტის ფუნქცია დაკარგა

37/ **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები**
უჩინარი ადამიანები

39/ **მედიცინა**
ღეროვანი უჯრედები – საქართველოს გამოცდილება

42/ **გამოფენა**
მსოფლიო პრესის ფოტო საქართველოში

43/ **ტელევიზია**
რა ხდება შუა ქალაქში

45 მეზობლები
აზერბაიჯანი
მესამე გზა

39

27

გამომცემელი შპს „ლიბერალი“.
მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108.
ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326.
ელ-ფოსტა: info@liberali.ge
დაბეჭდილია: სტამბა შპს „სეზანი“.
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი — ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ISSN 1987-7528

რედაქცია
ტირაჟი: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირაში ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი**
საზოგადოება **თამარ გაგუაძე** / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები **სოფო ჭაავა** / საქართველო და კონფლიქტები **სოფო გუკია** / ადამიანის უფლებები და სამართალი **ნინო ბექიშვილი** / კავკასია **მარგარიტა ახვლედიანი** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი**
რედაქცია: არტ-რედაქტორი **მანანა არაგული** / ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **კახა დოლიძე** / რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კორექტორი **ნინო საითიძე**
ადმინისტრაცია: პროექტის მენეჯერი **ქეთი გაგუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / ბიზნესის განვითარების მენეჯერი **გიორგი კოპალეიშვილი** / რეკლამის და გაყიდვების მენეჯერი **ნესტან ავალიანი** / IT მენეჯერი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / ოფისის ადმინისტრატორი **ეთუნა ინწკირველი** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**

... და ერთი ჭიქა ღვინო

თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან

დააგემოვნეთ არაჩვეულებრივი ღვინო
თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან
და გაიხანგრძლივეთ ურთიერთობით
მიღებული სიამოვნება.

TBILVINO



ყაზბეგი-ზემო ლარსი

საქართველო-რუსეთის ერთადერთი ოფიციალური საკონტროლო-გამშვები პუნქტი ყაზბეგი-ზემო ლარსი, შესაძლოა, გაიხსნას. საგარეო საქმეთა მინისტრის, გრიგოლ ვაშაძის თქმით, საქართველო მიიღებს რუსეთის გამოწვევას და ტექნიკურ დეტალებთან დაკავშირებით რუსეთთან მოლაპარაკებებს გამართავს, ოღონდ – შვეიცარიის მხარის დასწრებით. მინისტრის ინფორმაციით, რუსეთმა ყაზბეგი-ზემო ლარსის გამშვები პუნქტის გახსნისთვის მზადყოფნის შესახებ საქართველოზე ადრე სომხეთის მთავრობას აცნობა, იმ იმედით, რომ სომხეთი ზეწოლას მოახდენდა საქართველოს ხელისუფლებაზე. ქართულმა მხარემ 2006 წელს დახურულ პუნქტში რემონტის დასრულების შესახებ შვეიცარიის საელჩოსგან შეიტყო. ○

ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი

ამერიკის დახმარება

საქართველომ ამერიკის შეერთებული შტატებისგან 53,3 მილიონი აშშ დოლარი მიიღო. აშშ-ს ელჩის ჯონ ტეფტის თქმით, აღნიშნული თანხიდან 20 მილიონი საარჩევნო სისტემისა და მედიის რეფორმირებას მოხმარდება, 10 მილიონი – ენერგეტიკისა და ზოგადი ეკონომიკის განვითარებას, 6-6 მილიონი კი – განათლებას, სოციალურ დახმარებას და საზღვრის დაცვას. აგვისტოს ომის დროს დაზარალებული მოსახლეობისთვის 1,2 მილიონი დაიხარჯება. „ამ დახმარების მიზანია სტაბილურობის უზრუნველყოფა და მიღწეული ეკონომიკური წარმატების აღდგენა. აშშ კვლავ რჩება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ქვეყნის საერთაშორისო ინსტიტუტებში გაწევრიანების მომხრედ“, – აცხადებს ელჩი. ○

გუანტანამო

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პირობა დადო, რომ მიუხედავად კონგრესის წინააღმდეგობისა, არ შეცვლის თავის დაპირებას და გუანტანამოს ციხეს მაინც დახურავს. მისი თქმით, ტერორიზმში ეჭვმიტანილთა ციხის არსებობამ მსოფლიოში ამერიკის მორალურ ავტორიტეტს ზიანი მიაყენა. ერთ-ერთი საარჩევნო დაპირების, გუანტანამოს საპყრობილის დახურვის (ერთი წლის განმავლობაში) შესახებ ბრძანებას ბარაკ ობამამ პრეზიდენტობის მეორე დღესვე მოაწერა ხელი. მან ამისთვის საჭიროდ მიიჩნია 80 მილიონი დოლარი, თუმცა სენატის დემოკრატებმა მისი მოწოდება უარყვეს. მათი აზრით, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დეტალური გეგმა უნდა შეიმუშაოს პატიმრების მომავალთან დაკავშირებით, რადგან საპყრობილეში მყოფი 240 პატიმრიდან ნებისმიერის თუნდაც სხვა საპატიმროში გადაყვანა აშშ-ს უსაფრთხოებისთვის რისკს წარმოადგენს. ○

26 მაისი

მარიკა ქოჩიაშვილი

26 მაისი 60 ათასზე მეტმა მომიტინგემ ეროვნულ სტადიონზე აღნიშნა პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით. აქცია გახსნა „უცნობმა“, რომელიც სტადიონზე მხრებზე შესმული მიიყვანეს. შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს ოპოზიციის ლიდერებმაც, რომლებიც ხალხს ერთობისა და ბრძოლის გაგრძელებისკენ მოუწოდებდნენ. მიტინგის პარალელურად, საქართველოს პრეზიდენტი თბილისის მე-10 საჯარო სკოლის მოსწავლეებს შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობაზე ესაუბრებოდა. სტადიონზე კი ბოლო სიტყვაც „უცნობმა“ წარმოთქვა და აქციის მონაწილეებს სამებისკენ გაუძღვა. 6 საათზე, როდესაც ყველა პატრიარქის გამოსვლას ელოდა, ტაძარში გიგი უგულავა, ზაალ სამადაშვილი და კობა სუბელიანი გამოჩნდნენ, რასაც ხალხის უკმაყოფილება მოჰყვა. პატრიარქმა თავის ქადაგებაში პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნისადმი საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა და მხარეებს ერთმანეთის მოსმენა ურჩია. ამის შემდეგ შეკრებილებმა გადაინაცვლეს პარლამენტის წინ, სადაც ოპოზიციის ლიდერებმა რკინიგზის გადაკეტვა გადაწყვიტეს და ხალხი პარლამენტიდან რკინიგზის მიმართულებით დაიძრა. პიკეტის გამო, სარკინიგზო მიმოსვლა რამდენიმე საათით შეჩერდა. ○

„ის, რაც საქართველოში ხდება, ნამდვილი დემოკრატიაა. ის, რაც ჩვენ გვაქვს, პირველ რიგში, არის მთავრობა, რომელიც საკმაოდ პოპულარულია და ამ მთავრობის სათავეში მე ვარ“.

მიხეილ სააკაშვილი
22 მაისი

„საქართველოში ახალი ერა იწყება – სვლა აფხაზეთისკენ, სამაჩაბლოსკენ და ერთიანი და უსაფრთხო საქართველოსკენ“.

დავით ბერძენიშვილი
26 მაისი. თბილისი

„თავისუფალი მედიის მთავარი მესაფლავე გიგი უგულავაა“.

დავით გამყრელიძე
თბილისი. 28 მაისი

„ოპოზიციამ უნდა აირჩიოს, რა სურს – რევოლუცია თუ, მოვიტევეთ და, ინტელექტუალური მასტურბაცია. შეიძლება, ნათქვამი ზოგს მკვახედ მოეჩვენოს, მაგრამ ჭეშმარიტებაა! მიშა არ დათმოს ხავერდოვნად“.

შალვა რამიშვილი

„დღეს საქართველოს უწმინდესი და უნეტარესი იყო აყვანილი „პლენში“, იმიტომ, რომ ის განცხადება, რაც უნდა გაეკეთებინა მას დღეს, არ გააკეთებინეს. შეაშინეს, მაგრამ არა უშავს, ვიბრძოლებთ ბოლომდე“.

გია გაჩეჩილაძე
26 მაისი. თბილისი.

„პატრიარქმა არ მოგვისმინა და ჩვენ ვაბრძოლებთ ბრძოლას“.

სალომე ზურაბიშვილი
26 მაისი. თბილისი

„ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით შეიცვლება საკნების ფორმატი; საკნებს აღარ დასჭირდებათ ე.წ. ცელოფნები, ლეიბები და საბნები და, შესაძლებელია, საკნებმა მიიღონ სხვა ფორმა უფრო ესთეტური და ლამაზი“.

ფიქრია ჩიხრაძე
28 მაისი. თბილისი

ლარის კურსი აუქციონზე

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი, თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის ნაცვლად, სავალუტო აუქციონზე დადგინდება. შეიცვლება ასევე კურსის დადგენის ფორმაც – იგი კვირაში სამჯერ, აუქციონზე დაფიქსირებული გარიგების საშუალო შეწონილი მაჩვენებლის მიხედვით განისაზღვრება. დანარჩენ დღეებში კი სხვადასხვა ვალუტის შესყიდვისას ბანკები ერთმანეთში საკუთარი დილერების მეშვეობით ივაჭრებენ. ამ გარიგებებს ეროვნული ბანკი დააკვირდება. o

წვრთნები

რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრ კოლმაკოვის განცხადებით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსული ჯარის პირადი შემადგენლობისთვის ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში სამხედრო წვრთნები მოეწყობა. კოლმაკოვის თქმით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარეებთან პოლიგონებისთვის ადგილების შესარჩევად. პოლიგონები მუდმივი დისლოკაციის ადგილებთან ახლოს იქნება.
უფრო მასშტაბური სამხედრო წვრთნების სავარაუდო ადგილმდებარეობად მინისტრის მოადგილე ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქს ასახელებს. o

„მაესტრო“

25 მაისს, ღამის სამ საათზე, ტელეკომპანია „მაესტროს“ შესასვლელთან აფეთქება მოხდა. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა; აფეთქებამ დააზიანა შენობაში შესასვლელი კარი და შენობის შუშები. შსს-ს ცნობით, მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება. სტუდია „მაესტროს“ მფლობელი მამუკა ღლონტი მომხდარს „ტერაქტს“ უწოდებს.
მისი თქმით, შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია – 50 წუთის, ხოლო კრიმინალისტები – 1,5 საათის დაგვიანებით მივიდნენ. o

პირველი რეაქცია

„ლიბერალის“ პირველ (20 მაისის) ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ პრემიერ-მინისტრის უფროს მრჩეველთან ნონა ყარალაშვილთან. ინტერვიუში ნონა ყარალაშვილმა განაცხადა – პირადად მე მიმაჩნია, რომ ქვეყანას ყველაზე დიდი შედეგს მოუტანს რეფორმა, რომელიც ინვესტორებს საშუალებას მისცემს, ფული საქართველოში დაბანდონ იმ ვალუტით, რომელშიც მათ სურთ“.
ეს მოსაზრება სხვადასხვა ქართული მედიასაშუალების განხილვის საგნად იქცა.
საპასუხოდ, 26 მაისს ფინანსთა სამინისტრომ მთავრობის სახელით გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მსგავსი ინიციატივა და რეფორმა საქართველოს მთავრობაში არ განიხილება და ლარს არანაირი საფრთხე არ ემუქრება.
27 მაისს სახელმწიფო კანცელარიაში განაცხადეს, რომ ნონა ყარალაშვილმა სამსახური საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. სამსახურიდან მისი დათხოვნის რეალური მიზეზი მთავრობასთან შეუთანხმებლად გაკეთებული განცხადება გახდა.

შემოსული წერილები

პრემიერ-მინისტრის უფროს მრჩეველთან ინტერვიუს თაობაზე

„ლიბერალის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფროს მრჩეველ ნონა ყარალაშვილთან. ინტერვიუში იგი ამბობს: „მიუხედავად იმისა, რომ შრომის კოდექსი „ყბადაღებული“ თემა გახდა, ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ბიზნესებმა თავისუფლად მიიღონ გადაწყვეტილებები ადამიანების დაქირავებისა და გაშვების დროს. ეს ბიზნესს უფრო მოქნილს ხდის და საშუალება ეძლევა, უფრო ადვილად გადაიტანოს კრიზისი და ბუმის დროს უცბად გაიზარდოს“.

ეს განცხადება ცალმხრივია, რადგან მხოლოდ დამსაქმებლის ინტერესებს ითვალისწინებს და არადეკვატურია, რადგან არ ითვალისწინებს მოთხოვნებს, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას ევროკავშირმა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ წაუყენეს.

მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმეს იმ პრეტენზიებიდან, რომელსაც ეს ორგანიზაციები აფიქსირებენ: საქართველოს შრომის კოდექსი არ შეესაბამება „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ სტანდარტებს, ეწინააღმდეგება ევროკავშირის სტანდარტებს და საქართველოს მიერ 2005 წლის ივლისში რატიფიცირებულ „ევროპის სოციალური ქარტიის“ სტანდარტებს ისეთ ფუნდამენტურ საკითხებში, როგორიცაა ზედმეტი სამუშაოს შესრულების ხანგრძლივობა და სამსახურიდან დათხოვნა...

ამ პრეტენზიების გამო, 2008 წელს ევროკავშირმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოსთვის GSP+ სისტემით სარგებლობის გაგრძელების საკითხი („ევროკავშირის სამუშაო დოკუმენტი“, SEC (2008) 393). საბოლოოდ, პროფკავშირების თანხმობით, ეს უფლება ქვეყანას შესაბამისი და სწრაფი ცვლილებების გატარების პირობით მისცეს. ცვლილებები ჯერ არ განხორციელებულა.

2006 წელს, იქამდე, ვიდრე კოდექსს მიიღებდნენ, ჩვენ გამოვხატეთ პროტესტი და გამოვთქვით პროგნოზი, რომ ეს საკანონმდებლო აქტი არც სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას შეუწყობდა ხელს და არც რეალური ინვესტიციების მოზიდვას, რისთვისაც, თითქოს, შეიქმნა. არ შეიძლება, ამგვარი ნორმების პირობებში, დასავლურ ინვესტიციებს ველოდეთ. გონიერი ბიზნესმენი ხვდება, რომ არსებული შრომითი ნორმების, ფაქტობრივად, დაკანონებული უუფლებობის პირობებში, ზარალს მიიღებს, – ან საწარმოში იფეთქებს უკმაყოფილება და ის თითებზე დაითვლის დანაკლისს, ან – ქვეყანაში.

და ასეც ხდება. ამის მაგალითი უამრავია. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ შრომის მოქმედი კოდექსი არ იძლევა სამართლიანობის აღდგენის საშუალებას მაშინაც კი, როცა საქმე ადამიანის ფუნდამენტური უფლებების აშკარა დარღვევასთან გვაქვს.

ჩვენ ველით ქმედით ნაბიჯებს საქართველოს ხელისუფლებისგან. ველით ანგარიშგასაწევი საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნების გათვალისწინებას. ველით ღრმა გააზრებას იმისა, რომ უპირველესი ამოცანა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვაა და არა ეროვნულ მენტალიტეტთან შეუთავსებელი, იმპორტირებული იდეოლოგიებისა და კვლევებისთვის მათი დაქვემდებარება, რაც უნდა ძლიერი ფინანსური ინსტიტუტებისგან იყოს ეს ნაკარნახევი.

ირაკლი პეტრიაშვილი
საქართველოს პროფესიული კავშირების
გაერთიანების თავმჯდომარე

ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲑᲐᲜ ᲙᲘ ᲛᲣᲜᲘ

ᲤᲝᲢᲝ REUTERS/ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲑᲐᲚᲒᲘᲢᲝᲡᲘ

ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲝᲛᲘ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲔᲠᲝ-Ს ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲨᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲒᲐᲔᲠᲝ-Ს ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲐ. ᲡᲝᲤᲝ ᲭᲐᲐᲕᲐ

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ისტორიაში პირველად ხდება, რომ გაერო-ს ოფიციალურ დოკუმენტში რთული დასანახია, არის თუ არა აფხაზეთი საქართველო. 18 მაისს ჟენევაში საერთაშორისო მოლაპარაკებები უნდა დაწყებულიყო. თუმცა, როგორც ჩანს, იმ დროისთვის გრძელდებოდა დიპლომატიური ომი რუსულ და ქართულ მხარეებს შორის მოხსენების საბოლოო ვერსიასთან დაკავშირებით. აფხაზური მხარე, რუსეთის მხარდაჭერით, შეხვედრაში მონაწილეობაზე უარს ამბობდა და კატეგორიულად მოითხოვდა დოკუმენტის სათაურის შეცვლას.

საბოლოოდ, 18 მაისის საღამოს გაერო-მ შეხვედრის მონაწილეებს მოხსენების რედაქტირებული ეგზემპლარი გაუგზავნა. სათაურის საბოლოო ვარიანტია: „გაერო-ს გენერალური მდივნის ანგარიში უშიშროების საბჭოს 1808, 1839 და 1866 რეზოლუციების მიხედვით“. ბან კი მუნმა ტრადიციული ფორმულირება – „აფხაზეთი, საქართველო“ დოკუმენტის სათაურიდან ამოიღო.

ქართული მხარე განმარტავს, რომ აღნიშნულ რეზოლუციებში გაერო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ერთმნიშვნელოვნად აღიარებს. შესაბამისად, მოხსენებაც იმავე პოზიციას ასახავს. თუმცა, ჟენევის შეხვედრის მონაწილემ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიგა ბოკერიამ მოხსენების სათაურს და ტექსტს „სუსტი და არაადეკვატური“ უწოდა.

აფხაზები და რუსები მოხსენების სათაურს კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისკენ გადადგმულ ნაბიჯად აღიქვამენ. „აფხაზეთი ჩამოყალიბებული სახელმწიფოა, რომელსაც უკვე შეუძლია, საკუთარ სახელმწიფოებრიობაზე თავად იზრუნოს. ამიტომაც, ბან კი მუნის მოხსენება მხოლოდ ამის აღიარებად შეიძლება აღვიქვათ“, – წერს აფხაზურ მედიაში დსთ-ს სტრატეგიული კვლევის ცენტრის ექსპერტი ალექსანდრ სკოკოვი.

ქართველი ექსპერტების შეფასებით, თავად მოხსენების სათაური შემაშფოთებელი არ არის, რადგან გენერალური მდივნის მოხსენება მხოლოდ საინფორმაციო დოკუმენტია და არ აქვს ის პოლიტიკური ძალა, რაც გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს. უშიშროების საბჭოს სხდომა ივნისში უნდა გაიმართოს და მაშინ გაირკვევა, იზიარებს თუ არა გაერო ბან კი მუნის ტერმინოლოგიური დათმობის პოლიტიკას.

„რუსები დაიმუქრნენ, რომ ვეტოს დაადებდნენ ივნისის რეზოლუციას, თუ გენერალური მდივნის მოხსენების სათაური არ იქნებოდა ისეთი, როგორიც მათ უნდოდათ. ეს მე სარწმუნო წყარომ მაცნობა“, განაცხადა გაეროში საქართველოს ელჩმა ალექსანდრე ლომაიამ 27 მაისს. ამ განცხადებას გაეროს გენერალურმა მდივანმა მეორე დღესვე უწოდა „ძალიან სამწუხარო“, თუმცა იქვე განმარტა, რომ „ამგვარი სათაურის მიღება მიზნად ისახავდა უშიშროების საბჭოს წევრებს შორის დებატების არასაჭირო პოლიტიზირების თავიდან აცილებას“ და საბჭოს ყველა წევრისთვის, მათ შორის რუსეთისთვის, მისაღები ხედვის გადმოცემას.

ექსპერტ პაატა ზაქარეიშვილის თქმით, გაერო შეშინდა, რომ ჩაიშლებოდა ჟენევის მოლაპარაკებები. ეს კი ახლა ერთადერთი ადგილია, სადაც კონფლიქტის ოთხი მხარე ერთად იკრიბება სალაპარაკოდ. „რუსეთს ორი ძალიან კონკრეტული მიზანი აქვს – მას უნდა, მოსპოს საერთაშორისო თვალი კონფლიქტურ რეგიონებში; და მეორე, რუსეთი ცდილობს, ოფიციალური დოკუმენტებიდან წაშალოს აფხაზეთის საქართველოს ტერიტორიის ნაწილად ყოფნის ფაქტი“, ამბობს პაატა ზაქარეიშვილი.

პირველ მიზანს რუსეთმა სანახევროდ მაშინ მიაღწია, როდესაც ეუთო-ს მისიას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ყოფნის მანდატი არ გაუგრძელა. შემდეგი ნაბიჯი აფხაზეთიდან გაერო-ს სამშვიდობო მისიის გასტუმრებაა. ამის მისაღწევად კი საკმარისია, რუსეთმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ჩააგდოს ყველა ის რეზოლუცია, რომელიც ამ მისიის დაფინანსებას ეხება. რუსეთს მხოლოდ ერთი – საკუთარი ხმა ჰყოფნის იმისათვის, რომ გაერო-მ აფხაზეთის ტერიტორიაზე სამშვიდობო მისია შეწყვიტოს. ○

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა

ახცადებს მიღებას

სერტიფიცირებულ 6-კვირიან კურსზე:

საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაციის მენეჯმენტი

სწავლა დაიწყება 2009 წლის 22 ივნისს

ლექციები ჩატარდება საღამოს საათებში. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

სერტიფიცირებული კურსი სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიძინონ აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში წარმატების მისაღწევად როგორც სახელმწიფო, ისე კომერციულ და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

სწავლის პერიოდში სტუდენტებს შეეძლებათ კომპიუტერული და სამონტაჟო ლაბორატორიებით, უახლესი ფოტო, ვიდეო და ტელე აპარატურით, ასევე, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკით სარგებლობა.

სებუთების ჩაბარების ბოლო ვადა 2009 წლის 15 ივნისი

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ვებ-გვერდზე www.gipa.ge

ან დაუკავშირდით **ნინო დანელიას**, პროგრამის კოორდინატორს 93-43-46 (სამს), 895-11-96-86, dane@gipa.ge

დეფიციტური ბიუჯეტი

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლიდან მე-6 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი პირველად გაირღვა. წლის ბოლოს დეფიციტმა, შესაძლებელია, 500 მილიონიდან ერთ მილიარდს მიაღწიოს. მთავრობა ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას გეგმავს. თამარ დოელი

ბიუჯეტის უმსხვილესი გადამხდელი – საქართველოს რკინიგზა აცხადებს, რომ მაისში საერთაშორისო გადაზიდვები 35%-ით შემცირდა. შარშან ამ ორგანიზაციამ ბიუჯეტში 100 მილიონი ლარი შეიტანა. რკინიგზის ხელმძღვანელის, ირაკლი ეზუგბაიას მტკიცებით, შემოსავლების მკვეთრი ვარდნა არასტაბილურმა პოლიტიკურმა ფონმა გამოიწვია. ბიზნესმენებთან შეხვედრისას ოპოზიციის ორთვიანი საპროტესტო აქციები პრემიერ-მინისტრმა გილაურმაც დაასახელა ეკონომიკური ვარდნის მიზეზად.

თუმცა, ბიუჯეტში უარყოფითი ტენდენციების დანახვა უკვე წლის დასაწყისიდანვე შეიძლებოდა. ეკონომიკური აქტივობა 2008 წლის ზაფხულიდან ეცემა და ეს ქვეყნის ბიუჯეტზე აისახება.

იანვარში ფინანსთა სამინისტრომ, საგადასახადო შემოსავლების სახით, 271,1 მილიონი ლარი ამოიღო და თვის გეგმა 104 პროცენტით შესრულდა. თუმცა, ეს თანხა წლიური საგადასახადო შემოსავლების მხოლოდ 5,4 პროცენტია, ანუ იმაზე ბევრად ნაკლები, რაც ერთი თვის განმავლობაში უნდა შევიდეს სახელმწიფო ხაზინაში. მსგავსი მაჩვენებელია თებერვლის და მარტის შემოსავლების გეგმებშიც. გამოდის, რომ ფინანსთა სამინისტრომ 2009 წლის პირველი თვეებისთვის დაბალი შემოსავლები დაგეგმა, შემდეგ კი თავისივე მინიმალისტური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ თანამშრომლები წლის პირველი თვეების შესრულების მაჩვენებლებს არა თვის, არამედ წლიურ ბიუჯეტთან მიმართებაში ითვლიან. მათი აზრით, წლიური ბიუჯეტის პირველი თვეების მინიმალისტური დაგეგმვა გამართლებული იქნებოდა 2007 და 2006 წლებში, როცა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა იყო ნავარაუდევი. 2007 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 12,3 პროცენტი იყო, წელს კი ეს მაჩვენებელი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის გათვლით, მხოლოდ 1 პროცენტია.

შიდა პროდუქტის ზრდის ამ ტემპის გათვალისწინებით, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2009 წელს ბიუჯეტს წლის ბოლოსთვის 500 მილიონიდან 1 მილიარდამდე ლარი დააკლდება.

ასევე, ბოლო 6 წლის განმავლობაში პირველად, წელს აპრილის თვის ბიუჯეტის გეგმა ვერ შესრულდა. ის 325 მილიონი ლარი იყო და ნახევარი მილიონი დააკლდა. ეს დიდი რღვევა არ არის, თუმცა შესაძლოა, იყოს ტენდენციის მანიშნებელი.

იმისთვის, რომ საბიუჯეტო შემოსავლების კლება სოციალურ ხარჯებს არ შეეხოს, მთავრობა ახალ საბიუჯეტო ცვლილებებზე მუშაობს. ეს ცვლილებები ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას და თანხების ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მიმართვას გულისხმობს. პრიორიტეტებს შორისაა ეკონომიკის სტიმულირება და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა.



ფინანსების რეზერვის კიდევ ერთი საშუალება – საერთაშორისო დახმარებებია. დღემდე ამ სახით ბიუჯეტში 87 მილიონი ლარია შესული. აგვისტოს ომის შემდეგ ბრიუსელში გამართულ დონორთა კონფერენციაზე მოკრებილი 4,5 მილიარდი დოლარის ნაწილი – 983 მილიონი ლარი, საქართველოს 2009 წლის მეორე ნახევარში გადმოერიცხება. თუმცა, თუ ბიუჯეტის გარღვევა მართლაც ისეთი მასშტაბური იქნა, როგორც ვარაუდობენ, მის დასაფარად არც ეს თანხა იქნება საკმარისი. o

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ იგი გამოსვლის დღეს
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)
თქვენთვის სასურველ მისამართზე.

ლიბერალი

6 ნომერი (3 თვე) – 18,40 ლარი
13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი
25 ნომერი (1 წელი) – 70 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
23 37 31, (877) 78 78 05
ან მოგვაწოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge

დოლარი ლარის წინააღმდეგ

მომხრე
ნინო გორგაძე
„ცოდნის ფონდის“ ეკონომიკის კვლევითი ჯგუფი

საქართველოში მაღალი პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური რისკები ბიზნესის განვითარებასა და ახალი ინვესტიციების მოზიდვას აფერხებს. ეკონომიკურ აქტივობაზე დამატებითი უარყოფითი ზეგავლენა ფინანსურმა კრიზისმაც მოახდინა. შედეგად, რისკების ნაწილი არაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე და მათი აცილება რადიკალური რეფორმების გატარებით შეიძლება. რადიკალური ლიბერალური რეფორმების წყალობით, ქვეყანაში ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოა შექმნილი, თუმცა იგი არ შეხებია ფინანსურ სექტორს და სავალუტო რისკები კვლავაც მაღალია.

სრული დოლარიზაციით ან ევროიზაციით ფაქტობრივი მდგომარეობის ლეგალიზება მოხდება (დეპოზიტების 80%-ზე მეტი დოლარითა და ევროთია, გრძელვადიან და ძვირადღირებულ აქტივებზე ფასი ამ ვალუტებითაა გამოხატული). დოლარის ან ევრო ზონის ინფლაციის დონის გავრცელება საქართველოზე

მოწინააღმდეგე
ლადო პაპავა
ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, პროფესორი GFSIS

საქართველოში ერთიან ეროვნულ ვალუტაზე უარის თქმის მცდელობა ჯერ კიდევ კუპონის ეპოქაში იყო. მაშინდელი მთავრობის ზოგიერთი წევრის აზრით, საქართველოს არ სჭირდებოდა ერთიანი ეროვნული ვალუტა. მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, შემოვიღეთ ლარი, რომელმაც არა მხოლოდ კუპონი, არამედ მაშინ ძალიან გავრცელებული რუსული რუბლიც ჩაანაცვლა.

დღეს საქართველოში დიდი ოდენობითაა დოლარიც და ევროც. მაგრამ ოფიციალურად ანგარიშსწორება მხოლოდ ლარით ხდება. ტრადიციულად ქართველები, ისევე, როგორც საერთაშორისო დონეზე არაკონვერტირებადი ვალუტის მქონე ქვეყნების მოსახლეობა, დაგროვებისათვის ძირითადად უცხოურ ვალუტას – უფრო მეტად აშშ დოლარს, ასევე, ევროსაც იყენებენ. ისიც აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მოსახლეობის მხრიდან უფრო ხშირია დანაზოგის ლარით შენახვა. ჩვენი ბანკები

ბიზნესი

აღიარებული მეთოდები სტრატეგიები

თუ იცი და მოქმედებ – მიალწევ!

გამოწერისთვის დაგვიკავშირდით:
ტელეფონი: (995 32) 22 37 68
ელ-ფოსტა: subscribe@bs-magazine.com

გრძელვადიანი დანაზოგების დაცულობას გაზრდის; დაეცემა საბანკო სესხზე სარგებლის განაკვეთები. გამოირიცხება ადგილობრივი მთავრობისა და ეროვნული ბანკის მოუქნელი პოლიტიკით გამოწვეული მონეტარული საფრთხეები: ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება, დევალვაცია ან რევალვაცია. მთავრობა ვერ შეძლებს ფულის „ბეჭდვის“ გზით საკუთარი ვალდებულებების დაფინანსებას, როგორც ეს კუპონის შემთხვევაში ჰიპერინფლაციით და ხალხის გაკოტრებით დამთავრდა. აღარ იარსებებს ეროვნული ბანკის შენახვისა და ლარის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად შენარჩუნების დანახარჯები და ადგილობრივი ვალუტების უცხოურ ვალუტებზე გაცვლასთან დაკავშირებული რისკები. გაღრმავდება საბანკო სექტორის ინტეგრაცია მსოფლიო ბაზრებზე და თანამედროვე ფინანსური ინსტრუმენტის სწრაფი ამოქმედება რესურსების საუკეთესო ალოკაციას შეუწყობს ხელს, გაიზრდება საერთაშორისო ვაჭრობაში საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, როლი.

მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებია კრიზისის გავლენა და ის არასტაბილურობა, რომელიც ამ ვალუტებს უკავშირდება. თუმცა, ლარის დესტაბილიზების რისკი გაცილებით დიდია. დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის წარმართვის შესაძლებლობაზე უარის თქმის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სახელდება ეროვნული ბანკის მიერ კრიზისულ სიტუაციებში კომერციული ბანკების დაკრედიტების პრაქტიკის გაუქმება, მაგრამ ეს პრობლემა ბანკების მიერ სხვა სადაზღვევო მექანიზმების შექმნით შეიძლება მოგვარდეს.

ყველაზე საჭოჭმანოა ლარის, როგორც სახელმწიფო სიმბოლოს, გაქრობის საკითხი. თუმცა, როცა საქმე პირად შემოსავლებს ეხება, ქართველი გადაწყვეტილებას საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ იღებს და დანაზოგს ძირითადად დოლარით ან ევროთი ინახავს. დოლარისა და ევროს ლეგალიზება სავალუტო კონკურენციას გამოიწვევს და მომხმარებელი ყველაზე ნაკლებად ინფლაციურ ვალუტას დაუჭერს მხარს. სხვა პირობების უცვლელობის შემთხვევაში, მონეტარული ინფლაციის შედეგად ფასების ზრდის ტენდენცია მკაცრად იქნება შეზღუდული.

საქართველო დოლარიზებული ქვეყანაა და მოსახლეობაში ლარის მიმართ ნდობა მაინც დაბალია. უცხოელ ინვესტორს კი ადგილობრივი მონეტარული პოლიტიკის დაგემოვნებას, ნაცნობი და სანდო პოლიტიკის ნაყოფით სარგებლობა ურჩევნია. კონკურენციის შედეგად, შესაძლოა, გაუმყარებელი ლარი მიმოქცევიდან ამოვარდეს ან მცირე გარიგებებში დარჩეს, თუმცა, მისი სხვა ვალუტასთან მიბმის ან ოქროთი გამყარების შემთხვევაში, ლარი უფრო სტაბილური გახდება და საფრთხეც ნაკლები იქნება. ვალუტების თავისუფალ მიმოქცევაში დაშვება ევროკავშირისა და ამერიკის ცენტრალური ბანკებისგან თანხმობას არ მოითხოვს. მონტენეგრომ ჯერ კიდევ 1999 წელს, იუგოსლავიური დინარის ნაცვლად, გერმანიასთან შეუთანხმებლად, ჯერ გერმანული მარკა გაუშვა მიმოქცევაში, შემდეგ კი ევროკავშირთან შეუთანხმებლად – ევრო. o

მოსახლეობას ლარში უფრო მეტ საპროცენტო განაკვეთებს სთავაზობენ.

ოფიციალური არხი, რომელითაც ხდება, მაგალითად, ევროზე გადასვლა, ევროკავშირის წევრობაა. მაგრამ ესეც არ არის საკმარისი პირობა. ვიცით, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნები ევროკავშირის წევრები არიან, მაგრამ ევროზე ჯერ ვერ გადავიდნენ, რადგანაც ევროზონა არ აიღებს ვალდებულებას ამ ქვეყნების ევროთი უზრუნველყოფაზე. იმ შემთხვევაში, თუ არ ხარ ოფიციალურად ინტეგრირებული სავალუტო ზონაში, სადაც ამ ზონის ყველა სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ერთიანი სავალუტო პოლიტიკის გატარებაზე, მაშინ, როცა ვალუტის ემიტენტ ქვეყანაში პრობლემები ჩნდება, ეს ავტომატურ რეჟიმში შენს ქვეყანაზეც ვრცელდება.

უცხოურ ვალუტაზე გადასვლის შემთხვევაში, ქვეყანა უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველი ხდება უწინარეს ყოვლისა სპეკულაციური ოპერაციების განსახორციელებლად. ყველაზე უფრო სწრაფი ფული სპეკულაციურ ოპერაციებში კეთდება. აქ გაკეთდება ერთი დიდი ბირჟა და ბიზნესის ანი და ბანი იქნება სავალუტო სპეკულაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბიზნესის ერთ-ერთი ფორმაა, ეკონომიკის რეალური სექტორის განუვითარებლობას ნიშნავს. საბოლოოდ, კრიზისებისგან დაუცველი ხდები და არც ეკონომიკა ვითარდება.

ჩვენთან 70%-ზე მეტი აშშ დოლარი შემოდის, 25% -მდეა ევრო, დანარჩენი 5% სხვა ვალუტას უკავია. ამ პირობებში, ბუნებრივია, ყველაზე მეტად შემოვა დოლარი, რაც საცალო მიმოქცევაში მთელ რიგ პრობლემებს შექმნის. საჭირო გახდება წვრილი ფულის, მონეტების შემოტანა, აშშ-ს ცენტრალური სარეზერვო სისტემა კი არავითარ ვალდებულებას არ აიღებს საქართველოზე. რაც შეეხება ევროს, ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობები ჯერჯერობით საკმაოდ შეზღუდული გვაქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს – ჩვენი იმპორტი 4-ჯერ მეტია ექსპორტზე, საგარეო ვაჭრობით ქვეყნიდან უცხოური ვალუტა უფრო მეტად გაედინება, ვიდრე შემოდის. დღეს ამ დანაკარგის დაბალანსება ძირითადად დონორთა დახმარებებით, ნაკლებად უცხოური ინვესტიციებითა და საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი მოქალაქეების ფულადი გზავნილებით ხდება. ინვესტიციები და ფულადი გზავნილები გლობალური კრიზისის ფონზე შემცირდა. როგორ უნდა გადავიდეთ სხვა ვალუტაზე – დონორთა დახმარების ხარჯზე?

გარდა ეკონომიკურისა, არის კიდევ ერთი ფაქტორი. ეროვნული ვალუტა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ისეთივე სიმბოლოა, როგორიც დროშა, ჰიმნი და გერბი. როცა ქვეყანა შედის ერთიან სავალუტო ზონაში, ის შეგნებულად ამბობს საკუთარ ვალუტაზე უარს და ყველა ქვეყანა ერთობლივად იღებს პასუხისმგებლობას სავალუტო რეგულირებაზე, როგორც – ევროკავშირში. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ეს „ცალმხრივი სიყვარულია“. როგორც ცნობილია, „ცალმხრივი სიყვარულის“ დროს ბედნიერი მაინც ვერ იქნები! o

/13 ოპოზიციამ თავი ჩიხში მოიქცია /15 უცნობი პაზრიარქი /16 დაკეტილი პარლამენტი
/17 მთავრობა ეკლესიის სამსახურში /19 სახელმწიფო რისი კრიზისი? /20 15 ათასი პოლიტიკური მუშაკი

ფოტო: ზვიად ნიკოლაიშვილი

ოპოზიციის ლიდერები დემონსტრაციაზე

საპროტესტო აქციები

ოპოზიციამ თავი ჩიხში მოიქცია

მიხეილ სააკაშვილი ინარჩუნებს სიმშვიდეს და ამით იგებს, >>

არკადი ოსტროვსკი, ჟურნალი "ეკონომისტი"

ბევრ ქვეყანაში თეატრი გართობის საშუალებაა, საქართველოში – ცხოვრების სტილი. პოლიტიკური დრამა, რომელიც თბილისში, 7 კვირაა, გრძელდება, რეალითი-შოუში დაიწყო – ცნობილმა პოპმომღერალმა ხელოვნურად მოწყობილ ციხის საკანში თავი დაიტყვევა და იქიდან მთავრობის ლანძღვას შეუდგა.

9 აპრილს კი, როცა საქართველოს პოლიტიკურმა ოპოზიციამ ანტისამთავრობო ქუჩის დემონსტრაცია გამართა, ასობით ასეთი საკანი უკვე თბილისის ცენტრალურ ქუჩებში დაიდგა; გადაიკეტა საავტომობილო გზები და მოხდა ქვეყნის პარლამენტის პარალიზება. საკნები საქართველოს პოლიციური რეჟიმის სიმბოლო უნდა გამხდარიყო. „საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი უნდა გადადგეს", – აცხადებდნენ დემონსტრანტები.

სააკაშვილის როლი მიტინგის დაშლა და იმ იმპულსური ლიდერის რეპუტაციის გამყარება იყო, რომელმაც გასულ აგვისტოში ქვეყანა რუსეთთან ომში ჩაითრია.

ამ მომენტის დადგომას რუსეთის ლიდერები სულმოუთქმელად ელოდნენ. რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი, რომელსაც სააკაშვილი დაუფარავად სძულს, „ძალადობრივად დაშლილ დემონსტრაციებსა" და „სისხლით მოთხვრილ ქუჩებზე" ლაპარაკობდა.

ს

საპროტესტო სცენას თავს არიდებდნენ.

6 კვირის შემდეგ თბილისის ცენტრში ჰაერი ნაგვის, ჭუჭყიანი ტანსაცმლისა და ოფლის სუნით გაიჟღინთა. საკნების უმრავლესობა დაცარიელდა, კარვების ნაწილი კი იმ უსახლკარო ადამიანებმა დაიკავეს, ვინც მანამდე ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების წინ სვამდა და მათხოვრობდა. ამ სუნმა ბევრ ქართველს უშუქო, უფუნქციო, უწესრიგო და საშიში ქალაქი გაახსენა, ისეთი, როგორიც თბილისი ხუთი წლის წინ იყო, როცა სააკაშვილი ხელისუფლებაში ვარდების რევოლუციით მოვიდა.

ბევრმა ქართველმა დაინახა საფრთხე, რომ საქართველო კვლავაც ქაოსისკენ მიექანებოდა. ამ ვითარებაში მათ უფრო დააფასეს ქმედითი სახელმწიფოს მშენებლობაში სააკაშვილის როლიც და, ამ მიზეზების გამო, ოპოზიციის მხარდაჭერისგან თავი შეიკავეს. საზოგადოებრივი აზრის კვლევის ამერიკული ცენტრის Greenberg Quinlan Rosner-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, პრეზიდენტის მომხრეთა რიცხვი 5 პროცენტით გაიზარდა და 43 პროცენტი გახდა. სააკაშვილის პოლიტიკის კრიტიკოსთა უმრავლესობა მწარე სინანულით აღიარებს, რომ ოპოზიცია, როგორც ალტერნატივა, უარესია.

სააკაშვილმა ქულები დაიწერა იმითაც, რომ ოპოზიციას დიალოგი და რეალურ დათმობებზე წასვლა შესთავაზა. ერთ-ერთი შეთავაზება იყო ოპოზიციის წარმომადგენლის ხელმძღვანელობით სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც ადგილობრივი არჩევნებისთვის უფრო დაბალანსებული კონსტიტუციის მოდელს შექმნიდა. ოპოზიციის უმრავლესობამ სააკაშვილის ინიციატივებს ცარიელი სიტყვები უწოდა და მათ განხილვაზე უარი თქვა.

26 მაისს ოპოზიციამ, თბილისის სტადიონზე, სულ მცირე, 60 ათასი დემონსტრანტი შეკრიბა. შემდეგ მათ რჩევისთვის მიაკითხეს ქართული ეკლესიის მეთაურს, რომელმაც მოუწოდა, ნაკლებად კატეგორიულები ყოფილიყვნენ. ოპოზიციის უფრო ზომიერი წარმომადგენლებისთვის, მაგალითად ირაკლი ალასანიასთვის, პატრიარქის რჩევა ამ სამარცხვინო ქუჩური წარმოდგენიდან გასვლის საუკეთესო შანსი იყო. „ხალხს უნდა შევთავაზოთ უფრო მეტი, ვიდრე სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნაა“, – აღნიშნა ალასანიამ.

ოპოზიციის უფრო რადიკალურმა ნაწილმა კი, პარლამენტის ყოფილი სპიკერის, ნინო ბურჯანაძის მეთაურობით, პროტესტი განაგრძო და საქართველოს სარკინიგზო გზა გადაკეტა. ბურჯანაძე, რომელიც დემონსტრაციების ერთ-ერთი ლიდერი და დამფინანსებელია, რიგით ქართველებში ყველაზე ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. მათთვის ის საბჭოთა ეპოქის ნომენკლატურასთან ასოცირდება (მისდა სამარცხვინოდ, ბურჯანაძემ გადადგომის შემდეგ სააკაშვილს თბილისის ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ უბანში მიწის უზარმაზარი ნაკვეთის უფასოდ გადაცემა მოსთხოვა).

ოპოზიციის უბადრუკი მდგომარეობა სააკაშვილის მმართველობის სისუსტეებს მაინც ვერ აქარწყლებს. ქართული

ბევრმა ქართველმა დაინახა საფრთხე, რომ საქართველო კვლავაც ქაოსისკენ მიექანებოდა. გამოკითხვის მიხედვით, პრეზიდენტის მომხრეთა რიცხვი 5 პროცენტით გაიზარდა და 43 პროცენტი გახდა.

პოლიცია, შესაძლოა, მართლაც არაკორუმპირებული იყოს, მაგრამ ის მაინც სააკაშვილის პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება. მთავრობის მანიპულაციის იარაღია ნაციონალური ტელეარხებიც. ალასანია აცხადებს, რომ დღეს საქართველოში ძალაუფლება მთლიანად სააკაშვილის ხელშია კონცენტრირებული, რომელიც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, არა ინსტიტუციებს, არამედ დაახლოებულ პირთა ვიწრო წრეს ეყრდნობა. მისივე თქმით, საქართველო აგვისტოში სწორედ ამ მიზეზით ჩაება ომში.

პოლიტიკური კრიზისი, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს ოპოზიციისთვისაც და მთავრობისთვისაც. მაგრამ საქართველოს მომავლის განსაზღვრაში, საშინაო პოლიტიკასთან ერთად, როლს გარეშე ფაქტორებიც თამაშობს. რუსეთის ავისმომასწავლებელი აჩრდილი ქვეყანას ისევ ადგას. 5 მაისს სამხედრო ამბოხის მცდელობამ ქართველებს კიდევ უფრო გაურღმავა იმის შიში, რომ ვიდრე სააკაშვილი ხელისუფლებაშია, საქართველო რუსეთის თავდასხმის სამიზნედ რჩება.

რუსი სამხედროების ნაწილს ერთი სული აქვს, საქმე ბოლომდე მიიყვანოს, როგორც ვლადიმირ პუტინმა ნიკოლა სარკოზისთან შეხვედრისას აღნიშნა, „სააკაშვილი ყვერებით ჩამოკიდოს“ და საქართველოს დემილიტარიზაციას მიაღწიოს. (რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ სააკაშვილთან საქმეს არასდროს დაიჭერს). კუნთების სადემონსტრაციოდ რუსეთი კონფლიქტური ზონის მახლობლად გრანდიოზული სამხედრო წვრთნებისთვის ემზადება. შარშან ასეთივე წვრთნები ომით დამთავრდა.

ომიდან ცხრა თვის თავზე რუსული ჯარები საწყის პოზიციებს არ დაბრუნებიან, რასაც მოსკოვს საერთაშორისო შეთანხმების შედეგად გაფორმებული დოკუმენტი ავალდებულებდა. სანაცვლოდ, რუსული ჯარები ომის შემდეგ დაკავებულ პოზიციებს ამაგრებენ. ერთ-ერთი ასეთი პუნქტია ახალგორიც, საიდანაც რუსულ ჯარს ქვეყნის დედაქალაქისგან სულ მცირედი მანძილი აშორებს. რუსეთმა გააფართოვა სამხედრო კონტინგენტი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთშიც, რომელთა დამოუკიდებლობაც თავადვე აღიარა.

ზუსტი მონაცემების დადგენა რთულია: ევროკავშირის დამკვირვებლებს სამხრეთ ოსეთში არ უშვებენ, მათ პატრულირების უფლება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე აქვთ. ამით მათ რუსეთის ჯარების მიერ კონტროლირებადი ახალი საზღვრების დე-ფაქტო აღიარება უწევთ. ამასობაში რუსეთმა ეფექტურად შეძლო საქართველოში ეუთო-ს მისიის მუშაობის შეჩერებაც, რომელიც სამხრეთ ოსეთის მონიტორინგზე ფლობს მანდატს. მანდატს ვადა 30 ივნისს გასდის. რუსეთი კი, როგორც ეუთო-ს 56 წევრიდან ერთ-ერთი, კატეგორიულ უარს აცხადებს მის გაგრძელებაზე და ამტკიცებს, რომ სამხრეთ ოსეთი ახლა დამოუკიდებელი სახელმწიფოა. აქამდე დასავლეთის რეაქცია უცვლელი იყო – ის თვალს ხუჭავს და თავს იკატუნებს, თითქოს მოლაპარაკებები ისევ გრძელდება.

ამ დროისათვის მეორე სრულმასშტაბიანი ომი ძნელი წარმოსადგენია. ასეა თუ ისე, რუსეთს არ აქვს იმის ილუზია, რომ საქართველოში პრორუსულ მთავრობას დასვამს. თუმცა, დისფუნქციური და პოლიტიკურად გახლეჩილი საქართველო, რომელიც ევროპასა და ამერიკას ტვირთად აწვება, მაინც კრემლის ინტერესებშია. ყველაზე კარგი, რასაც ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსები შექმნილ ვითარებაში გააკეთებენ, შოუს რეალობით ჩანაცვლებაა.

უცნობი პატრიარქი

საქართველოს პატრიარქის პოზიცია ქართველ პოლიტიკურ პროცესებში გაღამწყვეტი ხდება. >>



სამეგრის ტაძარი. 26 მაისი, 2009

26 მაისს სამების საკათედრო ტაძარში სტადიონიდან ფეხით მისული ათიათასობით ადამიანი პატრიარქის ქადაგების შემდეგ ოპოზიციაზე გაბრაზებული ჩანდა, თავად ოპოზიცია კი – დაბნეული.

"სამებიდან გამოსული გამხეცებული ხალხი ყველაფრისთვის მზად იყო. ძალიან გაგვიჭირდა, ეს ხალხი დაგვეწყნარებინა", – აცხადებს სალომე ზურაბიშვილი.

ოპოზიციის ლიდერთა ის ნაწილი, ვისი ინიციატივითაც სტადიონზე შეკრებილი ხალხი ეკლესიაში წავიდა, არ მოელოდა, რომ 26 მაისს პატრიარქი მათ პრეზიდენტის გადაყენების იდეაზე უარის თქმას ურჩევდა.

„ჩვენი მოსახლეობის ნაწილი პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს. ეს ძალიან რთული საკითხია. თითქოს ეს წესად გვექცა. ჩვენ გადავაყენეთ პირველი პრეზიდენტი, გადავაყენეთ მეორე პრეზიდენტი და თქვენ იცით, ამ გადაყენებამ რაც მოგვიტანა. იქნებ უკეთესი იყოს, ერთმანეთს მოვუსმინოთ", – განაცხადა ილია მეორემ.

ოპოზიციას იმედი ჰქონდა, რომ პატრიარქის 26 მაისის მიმართვაში ორი კონკრეტული გზავნილი იქნებოდა; პირველი – ხალხს აქვს უფლება, თავად გაიკეთოს არჩევანი და მეორე – ხელისუფლებამ ვადამდელი არჩევნები უნდა დანიშნოს.

პოლიტიკოსები ადასტურებენ, რომ ეს მოლოდინი აქციამდე ერთი დღით ადრე, „უცნობისა" და პარტიარქის შეხვედრის შემდეგ გაჩნდა. „პატრიარქს გავაცანი ჩვენი საქმეები და მივიღეთ ლოცვა-კურთხევა", – განაცხადა 25 მაისის საღამოს მომღერალმა.

„ჩვენ პატრიარქის და „უცნობის" შეხვედრის შემდეგ გაგვიჩნდა იმედი, რომ პატრიარქი გააკეთებდა ისეთ განცხადებას, რომელიც საქმეს წინ წაწევდა. მე ამას, ცოტა არ იყოს, ეჭვით ვუყურებდი. არ ვთვლი, რომ პატრიარქისგან პოლიტიკური განცხადებები უნდა მოვითხოვოთ", – ამბობს სალომე ზურაბიშვილი.

პატრიარქის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის წინააღმდეგი იყო ეროვნული ფორუმიც, რომელიც 26 მაისის შემდეგ გაერთიანებულ ოპოზიციას ტოვებს და ბრძოლის სხვა სტრატეგიას ირჩევს. „ეს იყო ოპოზიციის მხრიდან მიმდინარე მოვლენებში პატრიარქის ჩარევის მცდელობა, რასაც ჩვენ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდით", – განაცხადა გუბაზ სანიკიძემ ხალხის პატრიარქთან წაყვანის გადაწყვეტილების შეფასებისას.

გიორგი გაჩეჩილაძემ, არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ სტადიონზე შეკრებილი ათიათასობით ადამიანი დაარწმუნა, რომ ოპოზიციის ძალის დემონსტრირების შემდეგ სწორი ნაბიჯი პატრიარქთან მისვლა იქნებოდა. „ჩვენ გვყავს სულიერი მამა, უწმინდესი და უნეტარესი, კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე... [მან] მოგვმართოს, რა უნდა გავაკეთოთ ამის მერე", – უთხრა დინამოს სტადიონზე შეკრებილებს „უცნობმა", რომელმაც იმ დღის პოლიტიკურ მოვლენებში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ოპოზიციისთვის 26 მაისის ემოციური წყვეტა იყო ხალხით სავსე ეკლესიაში ქალაქის მერის გიგი უგულავას და მთავრობის რამდენიმე წევრის მისვლა.

„მათმა გამოჩენამ შემძრა და შემაშფოთა ... მათ უნდოდათ პატრიარქის ქადაგების გაკონტროლება, მათ არ უნდა დაეშვათ პატრიარქს ეთქვა ისეთი სიმართლე, რასაც ხალხი ელოდა", – განაცხადა გია გაჩეჩილაძემ „ლიბერალთან" ინტერვიუში.

უგულავა პატრიარქის წირვას დაესწრო და ტაძარი ოპოზიციის მომხრეთა სტვენის და შეძახილების თანხლებით დატოვა. ქადაგების დასრულების შემდეგ უცნობმა განაცხადა, რომ უგულავამ პატრიარქი „შეაშინა". „დღეს საქართველოს უწმინდესი და უნეტარესი იყო აყვანილი „პლენში", იმიტომ, რომ ის, რა განცხადებაც უნდა გაეკეთებინა მას დღეს, არ გააკეთებინეს", – თქვა მან.

„ცნობილი იყო, რომ [26 მაისს] ხელისუფლება არ აპირებდა კომპრომისზე წასვლას, ხოლო მომიტინგეების მკვეთრი ქმედებების შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო შეტაკება და სისხლისღვრა. ერის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკლესიამ თავის თავზე აიღო მძიმე ტვირთი და გადადგა ისეთი ნაბიჯი, რაც ამ რეალურ საფრთხეს ააცილებდა ჩვენ ხალხს", – ასე განმარტა პატრიარქმა 26 მაისის ქადაგება. პატრიარქის ეს განცხადება 28 მაისს გავრცელდა და უფრო დამაჯერებელი გახადა ოპოზიციის ლიდერთა ნაწილის მტკიცება, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა პატრიარქი ხალხის დარბევის გარდაუვალობით შეაშინეს.

გიგი უგულავა სამების ეკლესიაში 28 მაისს, ამაღლების დღესასწაულზეც მივიდა, ამჯერად პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად. თუმცა, ამან პატრიარქს ხელი არ შეუშალა, ეთქვა ის, რაც, ოპოზიციის ლიდერთა ინფორმაციით, 26 მაისის ქადაგებაში უნდა თქმულიყო. „სიტუაცია კვლავ სერიოზული და ფეთქებადსაშიშია. ვფიქრობთ, ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას დაძაბულობის განმუხტვისთვის, იქნება ეს რიგგარეშე არჩევნები, მოლაპარაკებები თუ სხვა. შევთხოვ ღმერთს, ქმნას სასწაული", – ნათქვამია განცხადებაში. პატრიარქის ეს სიტყვები ოპოზიციამ მხარდაჭერად ჩათვალა. „ახლა მიხეილ სააკაშვილმა მიიღოს გადაწყვეტილება – ის მარტო ხალხის წინააღმდეგ არის, თუ ხალხისა და პატრიარქის წინააღმდეგ", – აცხადებს ეკა ბესელია.

მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქმა ვადამდელი არჩევნები ახსენა, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სადავო საკითხი მაინც ღიად დარჩა. ახლა ინტერპრეტაციების ბრძოლა იწყება. ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ვადამდე დანიშვნაზე საუბრობენ. ოპოზიციის ზომიერი ნაწილი საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს, ყველაზე რადიკალები კი – საპრეზიდენტოს. „მკითხეს, – რომელ არჩევნებს გულისხმობდაო [პატრიარქი]? ქვეყანას უნდა ჰყავდეს ახალი პრეზიდენტი და დამთავრდა!" – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ მიტინგზე.

საკანონმდებლო ორგანო

დაკეტილი პარლამენტი

საკანონმდებლო პროცესი, არა რესთაველის პიკეტირების, არამედ პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ჯერ კიდევ საპროტესტო აქციების დაწყებამდე შეჩერდა. >>

ეკა ქადაგიშვილი

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

■ პარლამენტის შესასვლელი. მაისი, 2009

ბოლოს დეპუტატები პარლამენტში 7 აპრილს შეიკრიბნენ. მას შემდეგ საკანონმდებლო პროცესი პარალიზებულია. გაცდა თორმეტი პლენარული სხდომა. 3 კანონი განხილვას და ცვლილებებისთვის კენჭისყრას ელოდება, 65 კანონპროექტზე კი მუშაობა შეფერხებულია.

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარეს ხათუნა გოგორიშვილს 9 აპრილის შემდეგ პარლამენტში შესვლა ორჯერ მოუხდა: „კართან რამდენიმე აგრესიული ქალბატონი დამხვდა. არ გასცე პასუხი, საკმაოდ რთულია. პასუხს გასცემ და ამას კონფლიქტი მოჰყვება. ამიტომაც ავირჩიეთ მუშაობის შეზღუდული რეჟიმი“.

პარლამენტის შენობის მთავარ შესასვლელს სამი ქალბატონი აკონტროლებს. ისინი საკანში ცხოვრობენ და დღის და ღამის ცვლაში მორიგეობენ. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი დავით უსუფაშვილი ამტკიცებს, რომ პარლამენტის პარალიზების გადაწყვეტილება ხელისუფლებამ საკნების დადგმამდე მიიღო. „პარლამენტი ჯერ კიდევ 9 აპრილამდე დაიკეტა. რატომ? პასუხი მე არ მაქვს, ამ კითხვით მათ უნდა მიმართოთ“, – ამბობს იგი.

საგანგებო რეჟიმზე გადასვლის შესახებ გადაწყვეტილება დავით ბაქრაძემ აპარატის უფროსს 8 აპრილის საღამოს გაანცნო. მუშაობის შეზღუდვის მიზეზი იყო მომიტინგეებსა და დეპუტატებს შორის შესაძლო კონფლიქტის თავიდან აცილება. 13 აპრილს ეს გადაწყვეტილება ბიუროს სხდომაზე გამოცხადდა და დამტკიცდა. იმავე დღეს ოპოზიციამ საპროტესტო აქციების „ახალი ტალღა“ დაიწყო. ორ დღეში კი პარლამენტი საკნების ალყაში მოექცა.

„ძალადობა წარმოშობს ძალადობას, – ჩვენ ეს გავაცნობიერეთ. საზოგადოებრივ აზრს ვსწავლობთ და ჩვენი თანამოქალაქეები უკმაყოფილოები არ არიან იმით, რომ კონფრონტაციას თავი ავარიდეთ“, – ამბობს მიხეილ მაჭავარიანი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი. ის, უკვე მეორე თვეა, საკანონმდებლო ორგანოში არ დადის. სამუშაო საათებს მერიის ახალ შენობაში ატარე-

○ კანონპროექტები, რომლებიც განხილვას ელოდება

კანონი „სახალხო დამცველის შესახებ“

ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, შეიქმნება სპეციალური პრევენციული ჯგუფი. ამ ჯგუფის მეშვეობით სახალხო დამცველს უფლება ექნება, ეფექტურად შეამონმოს წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში პატიმრების მდგომარეობა. ჯგუფი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება.

კანონი „პატიმროების შესახებ“

კანონპროექტში მითითებულია, რომ ცვლილებების მიღება სასწრაფოა. ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, პატიმრებს, რომლებიც არ არღვევენ შინაგანაწესს, ექნებათ ხანმოკლე შვებულება წელიწადში ორჯერ; ასევე, წლიურად სამი შვებულება დაუწესდებათ ფეხმძიმე ქალებს ან 3 წლამდე ბავშვების დედებს; ასევე, იცვლება ვადამდელი პირობითი გათავისუფლების კომისიის დაკომპლექტების წესი – თუ აქამდე კომისიაში მხოლოდ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლები იყვნენ, ცვლილებების მიხედვით, არასამთავრობო სექტორის მუშაკები და დეპუტატებიც შევლენ. ახლად შექმნილმა კომისიამ პატიმრების ვადამდე პირობით გათავისუფლების საკითხი უნდა განიხილოს და ამ პროცესის დაწყებას უკვე ასობით ადამიანი ელოდება.

კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“

ცვლილებების შეტანის შემდეგ სკოლის მასწავლებლად მუშაობა შეეძლება არა მხოლოდ მაგისტრის წოდების მქონე პირს, არამედ ბაკალავრის ხარისხის სპეციალისტსაც; ასევე, რედაქტირებული კანონით, თუ სკოლა ვერ გაივლის აკრედიტაციას, მას სანქციის სახით, დახურვის ნაცვლად, მენეჯმენტის შეცვლა მოუწევს.

ბს და ჩართულია საპარლამენტო კომიტეტების მუშაობაში, რომელიც პარლამენტს გარეთ მიმდინარეობს.

კომიტეტების გასვლითი სხდომების ადგილმდებარეობა მარტივი ლოგიკით წყდება: ადამიანის უფლებათა და იურიდიული კომიტეტის სხდომა იუსტიციის სამინისტროში ჩატარდა, სვანეთში შეიკრიბა გარემოს დაცვის კომიტეტი, თვითმმართველობის კომიტეტი კი – კახეთში. აპარატის უფროსის, დავით ჯანიაშვილის მტკიცებით, ქალაქგარეთ ჩატარებული ერთდღიანი ღონისძიებები პარლამენტს ძვირი არ უჯდება. „ჩვენ ხარჯებში მხოლოდ ტრანსპორტით გადაადგილება შედის. სხდომის ჩასატარებლად საჭირო ყველა დეტალზე კი ადგილობრივი თვითმმართველობები ზრუნავენ“, – განმარტავს ჯანიაშვილი. ამ სხდომების ოქმები საჯარო არ არის, რადგან პარლამენტი, კანცელარია არ მუშაობს.

რამდენი გასვლითი საკომიტეტო სხდომაც უნდა ჩატარდეს, პლენარული სხდომის გამართვამდე ვერც ერთი კანონპროექტის მოსმენა, მით უმეტეს მიღება, ვერ მოხერხდება.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა მერიაში უკვე შეიტანეს ცნობა აქციის 26 ივნისამდე გაგრძელების შესახებ. პარლამენტარებს წელს არ ექნებათ არდადეგები და გაცდენილი სხდომები ზაფხულში ჩატარდება. „შესაძლოა, კანონი დღეს ვერ მუშაობს და ბევრი ჩვენი მოქალაქე ამით ზარალდება, მაგრამ სანაცვლოდ, ვფიქრობთ, უფრო მეტ ღირებულებას ვიცავთ და ქვეყანაში სიმშვიდეს ვინარჩუნებთ“, – ამბობს ვიცესპიკერი მაჭავარიანი.

მეორე თვეა, პარლამენტი არ იღებს არც მოქალაქეებს. ამ საჯარო დაწესებულებაში მათთვის კარი უვადოდ ჩაიკეტა და 9 აპრილამდე ჩაბარებულ წერილებზე პასუხი არავის მიუღია. შენობაში უცხო პირთა შესვლის ნებართვას შინაგან საქმეთა სამინისტრო გასცემს, თუმცა, დაცვის საგანგებო რეჟიმის გათვალისწინებით, ეს ნებართვა არავიზე გაცემული. ◘

ქონების დაბრუნება

მთავრობა ეკლესიის სამსახურში

საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას 2008 წელს რამდენიმე ათეული მილიონის ქონება გადაეცა, უძრავი ქონების გადასცემის პროცესი გრძელდება, >>

ნინო როგაძიძე

ფოტო REUTERS / ირაკლი გედენიძე

■ ახლად არჩეული პრეზიდენტი სააკაშვილი და საქართველოს პატრიარქი. ქუთაისი, 2008.

12 მაისის მთავრობის სხდომაზე ეკონომიკის განვითარების მინისტრმა საპატრიარქოსთვის გადასაცემი ქონების 22-პუნქტიანი სია წარადგინა. მთავრობამ ამ ნუსხის 7 პუნქტი დაამტკიცა და პრეზიდენტის კანცელარიას ქონების პირდაპირი მიყიდვის წესით (სიმბოლურ ფასად) გადაცემის გასაფორმებლად გაუგზავნა. დარჩენილი 15 საკითხი განსახილველად ეკონომიკის სამინისტროში დაბრუნდა. სამინისტროში განმარტავენ, რომ მუშაობა გრძელდება და საპატრიარქოს ამ ქონებასაც გადასცემენ.

ეკონომიკის მინისტრის ლაშა ჟვანიას გადაწყვეტილებით, რამდენიმე დღის წინ მცხეთის დედათა მონასტერს უზუფრუქტით გადაეცა გარშემო მდებარე ყოფილი სასაფლაოს მიწები. „ეს იყო უშუალოდ პატრიარქის ინიციატივა. მონასტერს სურს, ეს ტერიტორია მათ გადაეცეთ, იმიტომ, რომ საფლავებზე მანქანები დადის და მართლმადიდებლურად ულამაზო გამოდის“, ამბობენ ეკონომიკის სამინისტროში. უზუფრუქტის წესით გაცემული ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება, თუმცა მიმღები მხარე განკარგავს. ასეთი ფორმით ქონების გადაცემის უფლება ეკონომიკის სამინისტროს სხვა უწყებებთან შეუთანხმებლად აქვს.

ეკონომიკის განვითარების მინისტრი, შეთავსებით იმ კომისიასაც ხელმძღვანელობს, რომელიც საპატრიარქოსთვის ქონების დაბრუნებას განაგებს. ლაშა ჟვანია ამბობს, რომ „საპატრიარქოს კურთხევით“, სამინისტროში ახალი თანამდებობაც შექმნა – მინისტრის სპეციალური მრჩეველი საპატრიარქოს საკითხებში.

კონსტანტინე როგავა ხსნის, თუ რატომ არ დაამტკიცეს საპატრიარქოსა და მთავრობის ერთობლივი კომისიის ინიციატივები. მისი აზრით, „საუბარია არა პრინციპულ წინააღმდეგობაზე, არამედ იმ ტექნიკურ პრობლემებზე, რომლებიც ქონების გადაცემას ახლავს“. სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ვახტანგ ბოცვაძის განცხადებით, ეკლესიის მოთხოვნების შესრულება არა პიროვნული, არამედ სახელმწიფო პრიორიტეტია: „ყველა საკითხი, რომელიც საპატრიარქოდან

შემოდის და რომელსაც მეუფე თეოდორე ან მამა მიქაელ ბოტკოველი უწმინდესის ლოცვა-კურთხევით აწერენ ხელს, ჩვენთვის განსაკუთრებულად ფასეულია მთელი სამინისტროსა და მთავრობის დონეზეც“.

საპატრიარქოსთვის ქონების გადაცემის პროცესი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების გაფორმებით 2002 წელს დაიწყო. ამ შეთანხმებით სახელმწიფო აღიარებს XIX-XX საუკუნეებში ეკლესიისათვის მიყენებულ მატერიალურ და მორალურ ზიანს და, როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, ამ ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე იღებს ვალდებულებას. ეს დოკუმენტი 2005 წელს პარლამენტის განხილვის საგანი კიდევ ერთხელ გახდა, როცა ადამიანის უფლებათა დამცველმა, სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ ეს შეთანხმება საქართველოში მცხოვრებ სხვა რელიგიურ ჯგუფებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. პარლამენტარების მხრიდან სუბარის გამოსვლას მწვავე კრიტიკა და სხდომის ბოიკოტი მოჰყვა. ომბუდსმენის დაცვა მაშინ მხოლოდ უმრავლესობის ერთმა წევრმა, გიგა ბოკერიამ სცადა და თანაგუნდელების განცხადებებს „ფუნდამენტალისტური“ უწოდა. ამის მიუხედავად, 2006 წელს პარლამენტმა კონსტიტუციურ შეთანხმებას ხელშეუხებლობის სტატუსი მიანიჭა.

ეკლესიისთვის ისტორიული ქონების დაბრუნების პროცესი ოფიციალურად მაშინ დაიწყო, როცა 2003 წელს კომპენსაციის რაოდენობის, ვადების და ქონების გადაცემის ტექნიკური დეტალების შესასწავლად, საპატრიარქოსა და მთავრობის ერთობლივი ჯგუფი შეიქმნა. თუმცა, ბოლო ორი წელია, კომისიის მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა.

2008 წლის მარტში, სახელმწიფომ საპატრიარქოს 50 მილიონი ლარის ღირებულების უძრავი ქონება გადასცა, მათ შორის – მე-9 საავადმყოფოს ტერიტორია და ჭავჭავაძის გამზირზე ყოფილი „დოსაფის“ შენობა. სულ საპატრიარქოს თბილისის ცენტრში 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 4600 კვ.მ ფართობის შენობები გადაეცა.

2008 წლის ნოემბერში, საპატრიარქოს ახალი ეკლესიების ასაშენებლად 25 მიწის ნაკვეთი რეგიონებშიც გადაეცა. საპატრიარქოსთვის გადაცემული ქონების ნუსხაში მოხვდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები და კულტურული ძეგლები, ასევე – გარემოს დაცვის სამინისტროს განკარგულებაში არსებული ტყეები და ტყე-პარკები. ამ ნუსხაში ეკლესიის ისტორიულ ქონებასთან ერთად ისეთი ობიექტებიც შევიდა, რომელიც საპატრიარქოს კუთვნილება არასდროს ყოფილა, მაგალითად – „დოსააფის“ შენობა.

2008 წლის მარტში, სახელმწიფომ საპატრიარქოს 50 მილიონი ლარის ღირებულების უძრავი ქონება გადასცა, მათ შორის – მე-9 საავადმყოფოს ტერიტორია და ჭავჭავაძის გამზირზე ყოფილი ''დოსააფის'' შენობა. საპატრიარქოს თბილისის ცენტრში 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 4600 კვ.მ ფართობის შენობები აქვს. ნოემბერში, საპატრიარქოს ახალი ეკლესიების ასაშენებლად 25 მიწის ნაკვეთი რეგიონებშიც გადაეცა.

ავტომატურად საპატრიარქოს განკარგულებაში აღმოჩნდა ყველა იმ საჯარო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის ტერიტორია, სადაც ეკლესია აშენდა. ხშირ შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილებებს ადგილობრივი გამგეობები იღებდნენ.

„ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ საპატრიარქოსთან, რომ გადავცეთ ის ქონება, რომელიც შეთანხმებით არის დადგენილი. ასევე, ამ ქონების გადაცემით, გვინდა ხელი შევუწყოთ საქართველოში ეკლესიის მნიშვნელობის გაძლიერებას“, – განაცხადა მთავრობის სხდომაზე ეკონომიკური განვითარების მაშინდელმა მინისტრმა ეკა შარაშიძემ 2008 წლის ნოემბერში.

ეკონომიკის სამინისტროში ამბობენ, რომ ეკლესიის გაძლიერება ხელს უწყობს ქართული სოფლის პროდუქტის განვითარებას. „ისტორიულად, საპატრიარქო ქმნიდა ეროვნული პროდუქტის ძალიან დიდ ნაწილს და ამიტომ ჩვენმა ხელმძღვანელობამ უნდა გააძლიეროს ეს მიმართულება. საჭიროა, რომ საპატრიარქოს წვლილი ეკონომიკაში მეტი იყოს, რომ უფრო სწრაფად გამოცოცხლდეს შიდა პროდუქტიც“, – ამბობს სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი რევაზ ლორთქიფანიძე.

თუმცა, სახელმწიფოს კუთვნილ კრწანისის ტყე-პარკში, რომელსაც, უკვე 15 წელია, უზუფრუქტის ხელშეკრულებით ეკლესია განკარგავს, ახლა მხოლოდ ერთი მონასტერი დგას, საეკლესიო პირები კი რეინჯერების ფუნქციას ასრულებენ. მიუხედავად იმისა, რომ 2005 წელს ბაზალეთისა და კრწანისის ერთიანი საკურორტო კომპლექსის განვითარების გეგმა გაჩნდა და რამდენიმე მილიონიანი კერძო ინვესტიციაც მოიძებნა, კრწანისის ტყე-პარკი ეკონომიკის სამინისტროს სატენდერო სიაში ვერ მოხვდა.

2002 წლის შეთანხმების მიხედვით, ეკლესია გათავისუფლებულია გადასახადებისგან. ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადება და რეალიზაცია, შემოწირულობები, ასევე არაკომერციული დანიშნულების ქონება და მიწა, არ იბეგრება.

გადასაცემი მიწის ფართობის გაზომვას საპატრიარქო ახდენს, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო კი საპატრიარქოს იმ ტექნიკური საკითხების სწრაფად გადაწყვეტაში ეხმარება, რომელიც ამ მიწების გადაცემას ახლავს თან. ვახტანგ ბოცვაძე თვლის, რომ ქონების ეკლესიისთვის დაბრუნების პროცესი, რომელიც, წესით, უამრავ ბიუროკრატიულ ფორმალობასთანაა დაკავშირებული, ძალიან სწრაფად და ნაყოფიერად მიმდინარეობს. ამ პროცესის შეუფერხებლად განვითარებაზე სამინისტროს მთელი გუნდი ზრუნავს.

პოლიტიკა

სახელმწიფო რისი კრიზისი?

„კრიზისი“ ჩვენთან, სიტყვა კი არა, პოლიტიკური ხელკეტია. ოპოზიციის ლოგიკით, თუ ხელისუფლებამ აღიარა, რომ „ქვეყანაში კრიზისია“, პრეზიდენტიც უნდა გადადგეს. ხელისუფლება უარზეა. **გია ნოდია**

სიტყვა „კრიზისი“ მათემატიკური სიზუსტით განმარტებას არ ექვემდებარება. ასე ეძახიან ერთგვარ გადახვევას მოვლენათა ნორმალური მსვლელობიდან, არასტაბილურობის და გაურკვევლობის მომენტს. ჯერ, სულ მცირე, უნდა განვსაზღვროთ, „ნორმალურს“ რას ვეძახით. ისიც უნდა დავაზუსტოთ, კონკრეტულად, რის კრიზისზეა ლაპარაკი და რამდენად ღრმაა პრობლემა.

გვაქვს დღეს საქართველოში საერთო პოლიტიკური კრიზისი? ასეთი რამ მაშინაა, როცა ქვეყნის ძირითადი ინსტიტუტები ვერ მუშაობს. ამის ცალკეული ნიშნები არის: პარლამენტი, მეორე თვეა, ვეღარ იკრიბება, ქვეყანა ჯეროვნად ვერ აღნიშნავს დამოუკიდებლობის დღეს, სახელმწიფო ვერ იცავს თავისი მოსახლეობის ერთი ნაწილის ინტერესებს: მაგალითად – სოლოლაკის მაცხოვრებლების.

მეორე მხრივ, საკანონმდებლო ხელისუფლება თავისი არსით შედარებით იტანს ხანგრძლივ არდადეგებს, ხოლო მისი სხვა შტოები საქმეს ძირითადად ძველებურად აკეთებენ. 26 მაისს აღლუმის არგამართვა სერიოზული სიმბოლური დანაკლისია, მაგრამ - მხოლოდ სიმბოლური. რაც მთავარია, ხელისუფლების მომხრესაც და მოწინააღმდეგესაც ესმის, რომ მას შესწევს ძალა, ქალაქის ცენტრში წესრიგი აღადგინოს, ოღონდ ჯერ, პოლიტიკური მოსაზრებით, თავს იკავებს.

ფოტო ლევან ხერხეულიძე

■ გადაკეტილი რუსთაველის გამზირი აპრილი, 2009

ეს „პოლიტიკური მოსაზრება“ შეიძლება ხელისუფლებას კომპლექსად ექცეს და მან ვეღარ გაბედოს მკაცრი ხელით წესრიგის დამყარება იქ, სადაც ამას კანონი და ქვეყნის ინტერესი მოითხოვს (და არა მარტო რუსთაველზე). დასავლური დემოკრატიებიდან ჩამოსულ სტუმრებს აოცებთ, რატომ იტანს ქვეყანა ცარიელი გალიებით ქუჩების ჩახერგვას. აქ სახელმწიფო ინსტიტუტების ეროზიის საფრთხეა. ის რეალურია, მაგრამ – კატასტროფული ჯერ არა.

ხელისუფლება ვარაუდობს, რომ მომავალში, სხვა პოლიტიკურ ვითარებაში ისევ შეძლებს, პრინციპული და თანმიმდევრული იყოს. ანუ, დღევანდელი მისი „პოლიტიკური გადაწყვეტილებები“ პრეცედენტად არ იქცევა. იმედია. მაგრამ ვშიშობ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მას სწორედ პრეცედენტად აღიქვამს და ჩათვლის, რომ რუსთაველზე გალიის დადგმა ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა („აბა, მაშინ რომ გვადგმევინებდით?“). ასევე, პრეცედენტად ჩაითვლება საპატრიარქოსგან წამოსული პოლიტიკური რეკომენდაციების იმპერატიული ხასიათი: პატრიარქის ნება უფრო მაღლა არ დგას, ვიდრე კონსტიტუცია?

უფრო ღრმა პრობლემაა დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ნდობის კრიზისი. ბევრ ადამიანს, მათ შორის, როგორც ჩანს, დედაქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობას, არ მოსწონს მთავრობა. ეს სრულიად ნორმალური ვითარებაა დემოკრატიისთვის. კრიზისს ქმნის ის გარემოება, რომ, ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების აზრით, პრეზიდენტს არ აქვს უფლება, გააგრძელოს მოღვაწეობა კონსტიტუციით განსაზღვრული ვადის ბოლომდე. რატომ? პირველ რიგში იმიტომ, რომ ეს ადამიანები არ ენდობიან ჩვენში არსებულ არჩევნების ინსტიტუტს, მაშასადამე – წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპსაც. ქუჩაში ფიზიკურად შეგროვილი ხალხი მათთვის უფრო სანდოა, ვიდრე არჩევნები, ვიდრე პოლიტიკური პარტიები, ვიდრე პარლამენტი; ხალხის მიერ სკანდირებული მოთხოვნა უფრო ლეგიტიმურია, ვიდრე კონსტიტუცია. ოღონდ, ეს არ არის დღევანდელი კრიზისი – ის, სულ მცირე, ოცი წელია, გრძელდება. სიტყვის ზუსტი აზრით, ეს ქრონიკული ავადმყოფობაა, რომელიც პერიოდულ „კრიზებად“ გვიბრუნდება.

ხელისუფლება ვარაუდობს, რომ მისი „პოლიტიკური გადაწყვეტილებები“ პრეცედენტად არ იქცევა. ვშიშობ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მას სწორედ პრეცედენტად აღიქვამს.

ეს სენი როგორღა დავძლიოთ? მესამე დიდი პრობლემა იდეების კრიზისია. ოპოზიციას არ აქვს სხვა პასუხი, თუ არა პრეზიდენტის გადადგომა. მაგრამ იმას ვეღარავინ გვეუბნება, კიდევ რამდენი რევოლუცია და იძულებითი გადადგომა დაგვჭირდება ნორმალურ ყოფაში შესასვლელად. ხელისუფლება დიალოგის აუცილებლობაზე ლაპარაკობს, მაგრამ თვითონვე არ სჯერა საუბრის აზრისა მათთან, ვისთვისაც დიალოგი „ეშმაკის ენაა“. კონკრეტული იდეები, თუ როგორ დავარწმუნოთ ადამიანები წარმომადგენლობითი დემოკრატიის სანდოობაში, არ ჩანს.

თუ კრიზისი გალიებით ჩახერგილი რუსთაველია, ის გადაიჭრება – ძალით, შელოცვით, დაყვავებით, მაგრამ გადაიჭრება. აი, იმ ნორმად ქცეულ კრიზისზე კი რა მოგახსენოთ – სინათლე გვირაბის ბოლოს ჯერ არ ჩანს.

ჟურნალისტური გამოძიება

15 000 პოლიტიკური მუშაკი

2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ თბილისის მერიამ 15 000 ადამიანი დროებითი კონტრაქტით სოციალურ მუშაკებად აიყვანა. ეს ადამიანები ჰყვებიან, რომ მათ დაავალეს, გაეკონტროლებინათ ნაციონალური მოძრაობის პოტენციური ამომრჩევლის საარჩევნო ყუთამდე მისვლა.

ნინო ზურიაშვილი

ქალაქის მერი

2008 წლის 1 აპრილს თბილისის მერიამ მობილური ოპერატორის მომსახურებაზე ტენდერი გამოაცხადა. განცხადებამ ბიუჯეტის მონიტორინგის ექსპერტების ყურადღება იმით მიიქცია, რომ, ტენდერის პირობების მიხედვით, მერია 15 000 სიმ-ბარათის შესყიდვას გეგმავდა, ქალაქის მუნიციპალიტეტში კი სულ 1100 თანამშრომელი მუშაობს. განცხადება საპირველაპრილო ხუმრობას ჰგავდა, მაგრამ ინფორმაციის გამოთხოვნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქსელში ჩართული ათასობით ტელეფონი მერიას მართლაც სჭირდებოდა ახლად აყვანილი, დროებითი თანამშრომლებისთვის.

2008 წლის პირველი აპრილიდან 4 თვის ვადით თბილისის მერიამ სამსახურში აიყვანა 15,000 სოციალური მუშაკი. პროგრამისთვის, რომლის სრული სახელწოდებაა „მუნიციპალური პაკეტით სარგებლობის მიზნით მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების გამოვლენა“, 12 მილიონი ლარი გამოიყო. შედარებისთვის, თბილისის ხელისუფლებამ სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად 2008 წელს სულ 8 მილიონი ლარი დახარჯა.

მერიაში განმარტავენ, რომ პროგრამის მიზანი თბილისში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის განახლება იყო. თუმცა, საქართველოს მასშტაბით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ბაზა უკვე აქვს ჯანდაცვის სამინისტროს. ბაზების სრულყოფაზე მუშაობა სამინისტროსთან არსებულ სოციალური სუბსიდიების სააგენტოში 2005 წლიდან მიმდინარეობს და მათ მიერ გაწეულ შრომას მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა მაღალი შეფასება მისცეს.

ბაზაში მოხვედრა თვითიდენტიფიკაციის პრინციპით ხდება, ანუ ოჯახი თავად მიმართავს სააგენტოს, თუ თავს სოციალურად დაუცველ ფენას მიაკუთვნებს. ამ დროისთვის მონაცემთა ბაზაში 75 000 ოჯახია თბილისიდან (დედაქალაქში სულ 310 000 ოჯახი ცხოვრობს). სააგენტომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა უკვე შეისწავლა. მიუხედავად ამისა, ახლად აყვანილ სოცმუშაკებს, მერიის პროგრამის მიხედვით, თბილისში 300 000 ოჯახი უნდა შეემოწმებინათ.

ადამიანები, რომლებიც ამ პროგრამის ფარგლებში კითხვარების შესავსებად კარდაკარ დადიოდნენ, ღია ინტერვიუზე უარს ამბობენ. ისინი ჰყვებიან, რომ მათი მთავარი დავალება იყო, გაეგოთ, თუ ვის აძლევდნენ ხმას გამოკითხული ოჯახის წევრები. „საარჩევნო უბანზე ყველანი კოორდინატორები ვიყავით. იყო შემთხვევა, რომ აგვიანებდა ჩემი ამომრჩეველი, რომელსაც ხმა უნდა მიეცა ნაციონალური მოძრაობისთვის და მე მოვიყვანე პირადად“, – ამბობს ქალბატონი ნანა. ანკეტაში, რომელსაც ეს ქალბატონი და მისი კოლეგები ამომრჩევლებს ავსებინებდნენ, სულ 6 კითხვაა. მათგან არც ერთი არ ეხება არჩევნებს ან პოლიტიკური პარტიების საქმიანობას. „მე უბრალოდ უნდა მეკითხა, – იყო თუ არა ნაციონალური მოძრაობის მომხრე. გამცემდნენ თუ არა პასუხს, ეს უკვე მათი საქმე იყო“, – ამბობს ყოფილი სოცმუშაკი, ქალბატონი თამარი. ისევე, როგორც ნანა, თამარიც მორიგეობდა საარჩევნო უბანზე და მის „განკარგულებაში“ მყოფი 30-მდე ოჯახის საარჩევნო აქტივობას აკონტროლებდა. „სია მქონდა მათი, ვინც ნაცმოძრაობას აძლევდა ხმას და ამას არ მალავდა. უნდა მცოდნოდა, მოვიდოდნენ თუ არა ისინი არჩევნებზე“, – განმარტავს თამარი.

სოცმუშაკების ნაწილი ნაციონალური მოძრაობის რაიონულ ოფისებში დაიბარეს. შეხვედრის შესახებ ერთ-ერთი ყოფილი სოცმუშაკი ჰყვება: „ჩვენი კორპუსიდან ორნი ვიყავით. დაგვირიგეს ხელშეკრულებები და დავალება მოგვცეს – უნდა გაგვერკვია, ოპოზიციონერი იყო ოჯახი თუ ნაციონალების მომხრე“.

მუშაკი თითო ოჯახში 15-დან 30 წუთამდე რჩებოდა. საშუალოდ ერთ სოცმუშაკს 20 ოჯახში უწევდა მისვლა. ამ პროცედურას ერთი კვირა სრულად უნდა ჰყოფნოდა, თუმცა პროგრამის ფარგლებში თითო მუშაკს ხელფასს 4 თვის განმავლობაში უხდიდნენ.

კითხვაზე, თუ რა საქმიანობით იყვნენ სოცმუშაკები დაკავებულები 4 თვის განმავლობაში, მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა პასუხობს: „ვერ გეტყვით. მათ ჰქონდათ დავალება, გამოევლინათ ღარიბი მოსახლეობა, მხოლოდ ეს დავალება“. ქაცარავას განმარტებით, ფედერალურ პროგრამებში 10-12%-იანი ცდომილებაა და მერიამ თბილისში ოჯახების დამატებითი გამოკვლევა გადაწყვიტა. მერიის პროგრამის მეთოდოლოგიას მამუკა ქაცარავა ასე აღწერს: „ჩვენ არ ვიყავით ორიენტირებული რამე ფორმულაზე. ძირითადად აქცენტი კეთდებოდა მეზობლების გამოკითხვაზე. როდესაც მეზობელი იტყოდა, რომ ოჯახი არის ღარიბი, ჩვენ ამ ოჯახებისთვის დახმარება უნდა მიგვეცა“.

შედარებისთვის, ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული სუბსიდირების სააგენტოდან სოციალურად დაუცველი მოსახლეობის აღწერას თბილისში 57 მუშაკი ატარებდა. ისინი გამოსაკვლევ ოჯახში თითოეულ ნივთს აღწერდნენ და 12-გვერდიან კითხვარს ავსებდნენ.

/21 პოლიციის აღიარება /23 რელიგიური ექსტრემიზმის ახალი ბალღა /24 პოლიტპატიმრები საქართველოში

ფოტო REUTERS / სტრინგერი

ნინო ბურჯანაძე და ოპოზიციის აქტივისტები პოლიციასთან შეტაკების შემდეგ. თბილისი, 6 მაისი 2009

სამართალი

პოლიციის აღიარება

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღიარა, რომ 6 მაისს, დიღომში დროებით იზოლატორთან მომიტინგეების წინააღმდეგ რეზინის ტყვიები გამოიყენა. >>

ოლესია ვართანიანი. თბილისი

შინაგან საქმეთა სამინისტროში „ლიბერალს“ უჩვენეს ორი ტიპის იარაღი და ჭურვები, რომლებიც სპეცრაზმმა დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენა.

ეს იგივე ტიპის იარაღია, რასაც ამერიკელი სპეციალისტები თავის დასკვნაში ასახელებენ. მათ 6 მაისს იზოლატორის ტერიტორიაზე ნაპოვნი ჭურვების ფოტოსურათები „ლიბერალმა“ გადაუგზავნა.

ინციდენტის დღიდან შს სამინისტროს წარმომადგენლები ჟურნალისტებთან საუბრისას კატეგორიულად უარყოფდნენ რეზინის ტყვიების გამოყენების ფაქტს.

„ჩვენი ოფიციალური პოზიცია იყო, არ გვეთქვა ამის შესახებ, რადგან არ დაგვეძაბა ვითარება“, – ამბობს შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი.

ერთ-ერთი იარაღი, რომელიც შს სამინისტრომ გამოიყენა, ჩინური წარმოებისაა და ALSL6-ის ანალოგს წარმოადგენს. ეს იარაღი ერთ ჯერზე ცხრა 18-მილიმეტრიან, შავი ფერის რეზინის ბურთულას ისვრის. შს სამინისტროში ამ ბურთულებს რეზინის ტყვიებს ეძახიან.

მეორე იარაღი, რომელიც სპეცრაზმმა გამოიყენა, ბელგიური წარმოების FN 303-ია. ეს იარაღი ისვრის მცირე ზომის ჭურვებს უფერული ან ყვითელი შიგთავსითა და ნაცრისფერი საფანტით. ჭურვის ოფიციალური ინგლისური სახელწოდებაა projectile - „მფრინავი საგანი“, რადგან იგი განსხვავდება ტყვიის კლასიკური დანიშნულებისა და დეფინიციისგან.

იარაღის ორივე ტიპი „არალეტალურ“ (არამომაკვდინებელ) კატეგორიას განეკუთვნება. მათ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასა და აშშ-ში პოლიცია

სახელმწიფო დაწესებულებების დასაცავად და საზოგადოებრივი არეულობისას იყენებს.

საქართველოს შს სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, ეს იარაღი წინასწარ იყო გამოცდილი, მათ შორის – სამინისტროს თანამშრომლებზეც. „ლიბერალი“ ესაუბრა შსს-ს თანამშრომელს, რომელიც ადასტურებს, რომ ეფექტის გამოსაცდელად მას ამ იარაღიდან ზურგში ესროლეს.

2006 წელს შსს-მ ორივე ტიპის იარაღის შესყიდვის ოფიციალური ნებართვა გასცა. 2007 წლის 7 ნოემბერს მიტინგის დაშლისას სწორედ ეს იარაღი გამოიყენეს.

სამინისტრო არ ასახელებს შეძენილი იარაღის ზუსტ რაოდენობას, იმ მოტივით, რომ ეს სპეციფიკური ინფორმაცია ორგანიზებულმა ჯგუფებმა მომავალში, შესაძლოა, სპეცრაზმის წინააღმდეგ გამოიყენონ.

6 მაისს 24-მა ადამიანმა სხვადასხვა ტიპის ჭრილობებით ოფიციალურად მიმართა საავადმყოფოს. რამდენიმე მათგანს სახესა და კისერზე წერტილოვანი ჭრილობები ჰქონდა. ორმა დემონსტრანტმა თვალი დაკარგა. ექიმებმა ერთ-ერთს თვალის ბუდიდან FN 303-ის ჭურვის ნარჩენები ამოუღეს.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ჯანაშვილი ამბობს, იმ ღამეს დროებითი იზოლატორის ეზოში თბილისის საგანგებო დავალებათა სამმართველოს დაახლოებით 250-300 მოსამსახურე იყო მობილიზებული. ჯანაშვილის განცხადებით, იარაღის გამოყენების გადაწყვეტილება სამმართველოს ხელმძღვანელმა სამინისტროსთან შეთანხმებით მიიღო.

ჯანაშვილის თქმით, სპეცრაზმის წევრები დროებითი იზოლატორის კიბეებიდან ისროდნენ. დემონსტრანტებამდე მანძილი დაახლოებით 20 მეტრი უნდა ყოფილიყო. იარაღის მწარმოებელთა ოფიციალური მონაცემებით, ამ მანძილიდან ნასროლი არ შეიძლება მომაკვდინებელი იყოს.

განსხვავებით იარაღისგან, რომელიც შავ რეზინის ტყვიებს ისვრის, FN 303 სამიზნიანი იარაღია, რაც 50 მეტრის მანძილზე მიზანში ზუსტად მოხვედრის შესაძლებლობას იძლევა. ოფიციალურ ინსტრუქციებში წერია, რომ სახისა და თავის მიდამოებში FN 303-ის დამიზნება არ შეიძლება. ქართულ სპეცრაზმს ამ იარაღის გამოყენების ინსტრუქცია ბელგიელმა სპეციალისტმა ჩაუტარა.

შს სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტებით, მათ არ იცოდნენ, რომ აღნიშნული იარაღის დამიზნება თავის მიდამოებში არ შეიძლება. მათი თქმით, არ ყოფილა სპეციალური ბრძანება, რომელიც მომიტინგეთათვის სახეში დამიზნებას აკრძალავდა.

„ბნელოდა და სპეცნაზის წევრები ადამიანების ტანის მხოლოდ ზედა ნაწილს ხედავდნენ“, – ამბობს ჯანაშვილი.

მისი თქმით, სპეცრაზმმა 6 მაისს ხელკეტებიც გამოიყენა. გაზის იარაღის გამოყენების აუცილებლობა არ ყოფილა.

შსს წარმომადგენლთა განმარტებით, მათ არ იცოდნენ, რომ FN 303-ის დამიზნება თავისა და სახის მიდამოებში არ შეიძლება.

სპეცდანიშნულების რაზმი ASLS 6 - ის ტიპის იარაღით

ფოტო Interpress News

შს სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ იმ ღამეს სპეცრაზმის მიერ გამოყენებული საშუალებები „პროპორციული“ და აუცილებელი იყო მომიტინგეთა შესაჩერებლად, რადგან რამდენიმე მათგანი იზოლატორის ეზოში შეიჭრა, ზოგი კი შეღწევას ცდილობდა.

„სხვაგვარად იმ ზეწოლის შეჩერება შეუძლებელი იყო“, – ამბობს ჯანაშვილი.

შსს-ს წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სპეცრაზმი იზოლატორის ეზოს არ გასცდენია, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მომიტინგეებთან პირდაპირი ფიზიკური კონტაქტი.

იმის სპეციალური გამოძიება, დაუშვა თუ არა შეცდომები 6 მაისის ინციდენტის დროს სპეცრაზმმა, დაწყებული არ არის.

2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა დაშლის დროს არაპროპორციული ძალის გამოყენება იყო ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია, რომელიც ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს ჰქონდათ.

„ქართველმა სამართალდამცველებმა საკმაოდ ადრე დაიწყეს ძალის გამოყენება {...} მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული ხალხის დაშლის არაძალადობრივი მეთოდები“, – აღნიშნულია 7 ნოემბრის შესახებ Human Rights Watch-ის ანგარიშში.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ სპეცრაზმმა წინასწარ არ გააფრთხილა შეკრებილები, რომ, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მათ წინააღმდეგ ცრემლსადენ გაზსა და რეზინის ტყვიებს გამოიყენებდა. მსგავსი გაფრთხილება არც 6 მაისს ყოფილა.

2007 წლიდან სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ითხოვს შსს-ს მაღალჩინოსანთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას რეზინის ტყვიების გამოყენების გამო. ის მიუთითებს კანონზე პოლიციის შესახებ, სადაც იმ იარაღის ჩამონათვალია, რომელიც სამართალდამცავებმა შეიძლება გამოიყენონ. ამ ნუსხაში რეზინის ტყვიები აღნიშნული არ არის.

„საუბარი არ არის მხოლოდ ცალკეული სპეცრაზმელების პასუხისმგებლობაზე. პასუხი უნდა აგონ შსს-ს მაღალჩინოსნებმაც, რომელთაც შეიძინეს რეზინის ტყვიები და მათი გამოყენების შესახებ ბრძანება გასცეს“, – წერია ოფიციალურ წერილში, რომელიც 2007 წლის დეკემბერში სუბარმა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს გაუგზავნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ამ ბრალდებას არ იზიარებენ. მათი თქმით, პოლიციამ რეზინის ტყვიები წესდებისა და კანონის შესაბამისად გამოიყენა.

ადამიანის უფლებები

რელიგიური ექსტრემიზმის ახალი ტალღა

საქართველოში რელიგიური ექსტრემიზმის ახალი ტალღის ნიშნები ჩნდება, ძალადობრივი ბრძოლის მეთოდების გამო, არავინ დასჯილა. >>

ნინო ბექიშვილი

ფოტო: ბიორნი ტიბატიშვილი

■ დისკუსია ჰომოფობიის თემაზე ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში. 20 მაისი, 2009

2007 წელს გიგი თევზაძემ ბიოლის ფონდში გამართულ დისკუსიაზე აღნიშნა, რომ ერთადერთი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც უკანასკნელ წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა, მართლმადიდებელი ეკლესიაა, და რომ სამოქალაქო საზოგადოება მხოლოდ ლიბერალური განწყობის მქონე ადამიანების ერთობას არ ნიშნავს. როგორც ჩანს, ეს თვალსაზრისი რეალობასთან საკმაოდ ახლოსაა. მაგრამ ადამიანები, რომელთა მიზანიც მართლმადიდებლობის პოპულარიზაციაა, დღეს ხშირად ძალადობრივ ხერხებს მიმართავენ და არ ისჯებიან. მაისში „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრებმა – ჯერ ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტს, შემდეგ კი ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს შეუტიეს.

7 მაისს უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში, სადაც საერთაშორისო სამეცნიერო-თეოლოგიური კონფერენცია მიმდინარეობდა, მმკ-ის ოციოდე წევრი შევიდა და სხდომის დასკვნითი ნაწილის ჩაშლას შეეცადა; განაცხადეს, რომ მათთვის მიუღებელია მართლმადიდებლების სხვა კონფესიის წარმომადგენლებთან ერთად კონფერენციებში მონაწილეობა, რომ უნივერსიტეტში ღვთისმსახურებას, რელიგიურ, ერეტიკულ აქტებს ატარებდნენ. კონფერენცია სირიელ მამათა მოღვაწეობას ეძღვნებოდა, და ბოსეს კათოლიკური მონასტრის ინიციატივით ჩატარდა. მმკ-ს გაღიზიანების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის გახდა, რომ ორგანიზატორებს საქართველოს საპატრიარქოსგან მხოლოდ სიტყვიერი (და არა წერილობითი) თანხმობა ჰქონდათ. თუმცა, სეკულარულ სახელმწიფოში, თავისუფალ უნივერსიტეტს ამგვარი თანხმობა არ უნდა სჭირდებოდეს.

ამ ინციდენტიდან მეორე დღეს მმკ-ის წევრებმა კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის პროფესორი, დეკანოზი კახაბერ კურტანიძე გააფრთხილეს, – თუკი მსგავსი რამ განმეორდება, უფრო რადიკალურ ზომებს მივიღებთო. დაემუქრენ ამ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილე სხვა მართლმადიდებელ სასულიერო პირებსაც.

ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში, მმკ-ს წევრების საქციელის გამო, პროტესტი არ გამოუთქვამთ. როგორც უნივერსიტეტის პროფესორები ამბობენ, კონფერენცია არ ჩაშლილა და გასაპროტესტებელიც არაფერი იყოო. თუმცა, დაახლოებით ერთი თვის წინ, პოეტ დათო მაღრაძის ერთ-ერთ აუდიტორიაში შეჭრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სპეციალური განცხადებით უპასუხა.

მმკ-მა ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტს, პროტესტის ნიშნად, 24 მაისს ისევ მიაკითხა, როგორც აქციის მონაწილეები ამბობდნენ – „კათოლიკეების სულიერი აგრესიის“ გასაპროტესტებლად; თან „მართლმადიდებლობის მტრის“, უნივერსიტეტის რექტორის გიგი თევზაძის გადადგომას მოითხოვდნენ.

მამა კახაბერის აზრით, მმკ საკუთარი საქმიანობის პოლიტიზირებას ცდილობს. ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტთან დაგეგმილი აქციის შესახებ რუსთაველზე შეკრებილ საზოგადოებას წინა დღეს ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, ბიძინა გუჯაბიძემ გააცნო, რომელმაც თქვა, რომ „ხდება ცნობიერების აღრევა. ამ უნივერსიტეტში შეჰყავთ კათოლიკე მოძღვრები, რომლებიც ატარებენ ლექციებს და შემდგომ სტუდენტებს ქადაგებისთვის ამზადებენ“.

20 მაისს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში დისკუსია გაიმართა ჰომოფობიის თემაზე. მმკ-ის წევრები ფონდში ერთი მიზნით მივიდნენ: ხელი შეეშალათ დისკუსიისთვის, რადგანაც, მათი აზრით, იქ უზნეობას უწევდნენ პროპაგანდას. მოხსენებების მსვლელობისას დარბაზში შეკრებილი საზოგადოება მოთმინებით იტანდა მმკ-ის წევრების უზრდელურ რეპლიკებს, მაგრამ როდესაც დებატებში დარბაზიც ჩაერთო და ერთ-ერთ მონაწილეს, ბასილ კობახიძეს პირადად მიაყენეს შეურაცხყოფა, ჩოჩქოლი და გაწევ-გამოწევა ატყდა. მმკ-ის წევრები არ დაემორჩილნენ ფონდის პროგრამების კოორდინატორის, ნინო ლეჟავას თხოვნას, შეეწყვიტათ ვიდეო გადაღება, იმუქრებოდნენ, – „თავებს დაგაყრევინებთ“, „კიდევ მოვალთ“ და სხვა; ყველა იქ მყოფს ბრალს სდებდნენ უზნეობასა და უზრდელობაში. „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრებმა მხოლოდ მაშინ დატოვეს დარბაზი, როცა დისკუსია ჩაშალეს და ნინო ლეჟავამ პოლიციას გამოუძახა. პატრული 40 წუთის დაგვიანებით მოვიდა.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის 31 ოქტომბერს ერეკლეს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალგაზრდები, რომლებიც „ჰელოუინს“ აღნიშნავდნენ, სწორედ მმკ-ის წევრებმა დაარბიეს. დალეწეს აპარატურა, სცემეს მონაწილეებს. დარბევაში ნასვამი სასულიერო პირებიც მონაწილეობდნენ. დღესასწაული თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით ტარდებოდა. იქვე იდგა პოლიცია, რომელიც „ჰელოუინის“ მონაწილეებს არ დაეხმარა. მაშინ ამ თემაზე ტელესიუჟეტიც მომზადდა, მაგრამ, როგორც ჩანს, „ტელე-იმედში“ ეკლესიის გაღიზიანებას მოერიდნენ და სიუჟეტი დაბლოკეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ჯერჯერობით არავინ დასჯილა.

„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ მიზანი მართლმადიდებლობისა და ეროვნული ტრადიციების პროპაგანდა და შენარჩუნებაა. ორგანიზაციის წევრებს მიაჩნიათ, რომ ქართული ტრადიციები და ღირებულებები (ასეთ ღირებულებად ისინი, მაგალითად, ქალწულობის ინსტიტუტის შენახვა-გადარჩენას თვლიან) ნებისმიერი ხერხებით უნდა დაიცვან. მათთვის მიუღებელია სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, ლიბერალიზმი, რელიგიური შემწყნარებლობა, ტოლერანტობა. მმკ „წინ აღუდგება საქართველოს მოსახლეობის ზნეობრივი გახრწნისაკენ მომართულ ნებისმიერ ინიციატივასა და ქმედებებს, პროსტიტუციის, ნარკომანიის, ძალადობისა და სხვა მანკიერებების ხელშემწყობი საკანონმდებლო-სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ინსპირირებას, მიღებას, შემოტანასა თუ დამკვიდრებას საქართველოში“, – წერია მათ წესდებაში. ბრძოლის ხერხები არ კონკრეტდება, თუმცა, ფაქტია, რომ ისინი არც ადამიანების შეურაცხყოფას ერიდებიან და არც ძალადობრივ ხერხებს.

მმკ ფორმალურად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, თუმცა, მისი წევრები სასულიერო პირებიც არიან. კავშირი მონაწილეობს საპატრიარქოს მიერ გამართულ ოფიციალურ ღონისძიებებში, გამოსცემს წიგნებს, ბიულეტენს, აქვთ საიტი. საქართველოს საპატრიარქოს საჯაროდ არ დაუგმია მათი ქმედებები და არ უთქვამს, რომ ემიჯნება ამ უკიდურესად რადიკალურ ორგანიზაციას.

მას შემდეგ, რაც 2004 წელს ბასილ მკალავიშვილი გაასამართლეს, მართლმადიდებლობის სახელით მოქმედი ექსტრემისტული დაჯგუფებები ჩუმად იყვნენ. როგორც ჩანს, დღევანდელი პოლიტიკური არეულობის ფონზე, ისევ ჩნდება დაუსჯელობის სინდრომი, რაც, სავარაუდოდ, რადიკალების გააქტიურებას შეუწყობს ხელს. სახელმწიფო კი, რომელმაც მოქალაქეები რელიგიური ფანატიკოსების შეტევებისაგანაც უნდა დაიცვას, ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს.

სამართალი

პოლიტპატიმრები საქართველოში

რეალობა, რომელიც ქართული დემოკრატიის სიმყიფეზე მიუთითებს. >>

ნინო გეჭიშვილი

საქართველოში პოლიტიკური პატიმრების არსებობას მხოლოდ ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები კი არ აღიარებენ, ეს ინფორმაცია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშებშიც მოხვდა.

პოლიტიკური პატიმარი სამართლებრივი ცნება არ გახლავთ და ამ სტატუსის განსაზღვრა ძნელია. 2008 წელს ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა კომისია შექმნეს, რომელმაც უკვე 29 საქმე შეისწავლა და სანამ ევროპის საბჭოში წარადგენს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ცდილობს მათ ლობირებას. საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც წესი, ადგილობრივ უფლებათა დამცველების და ომბუდსმენის ანგარიშებს ეყრდნობიან, მაგრამ ადამიანის უფლებათა დამცველის, ემილ ადელხანოვის თქმით, საკმაოდ ფრთხილად მუშაობენ; უსმენენ ბრალმდებლებსაც და ადვოკატებსაც. ორივე მხარე, გარკვეულწილად, მიკერძოებული და დაინტერესებულია, ამიტომაც გადაწყვეტილების მიღებამდე საკმაო დრო გადის.

სახალხო დამცველის ბოლო ორი წლის ანგარიშების მიხედვით, საქართველოში პოლიტიკური პატიმრები არიან. მათ უმეტესობას ნარკოტიკების მოხმარებასა და იარაღის უკანონოდ შენახვაში ედება ბრალი; ხოლო პარტიის წევრობა და პოლიტიკურად აქტიურობა პოლიტპატიმრის სტატუსის მისანიჭებლად საკმარისი არ არის. „აუცილებელია უტყუარი მტკიცებულებებითა და დამაჯერებელი არგუმენტებით დადგინდეს ის გარემოება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიტიკური მოტივით ხორციელდება“, – წერს სახალხო დამცველი 2008 წლის ანგარიშში.

Emnisty International-ის განმარტებებით, პოლიტიკური პატიმრის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ნებისმიერ ადამიანს, ვინც პოლიტიკური მოტივითაა დაპატიმრებული და ვისი დაპატიმრე-

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

სამაგისტრო პროგრამები

სახელმწიფო მმართველობის სკოლა

სახელმწიფო მმართველობა (ინგლისურენოვანი პროგრამა)
საჯარო პოლიტიკა (სალამოს სწავლება)
ადგილობრივი მმართველობა და თვითმმართველობა (ქართულენოვანი პროგრამა)

ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა

ჟურნალისტიკა და მედია მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი პროგრამა)
მედიისა და კომუნიკაციის მენეჯმენტი (ქართულენოვანი პროგრამა)

სამართლისა და პოლიტიკის სკოლა

საერთაშორისო პოლიტიკა (სალამოს სწავლება)
საერთაშორისო სამართალი (ინგლისურენოვანი პროგრამა, სალამოს სწავლება)

საბუთების მიღება იწყარმოებს
2009 წლის 15 ივნისამდე

დამატებითი ინფორმაციისთვის
მოგვმართეთ მისამართზე:

თბილისი 0108, მარი ბროსეს ქ. 2
ტელ/ფაქსი (+995 32) 93 14 66
ელ- ფოსტა: admin@gipa.ge
ან ეწვიეთ ინსტიტუტის ვებ-გვერდს: www.gipa.ge

ბაც ხელისუფლების ინტერესებშია. ის შეიძლება არც იყოს პოლიტიკურად აქტიური, მაგრამ ხელისუფლებას მის დასაკავებლად სწორედ პოლიტიკური მიზეზები ჰქონდეს. საბჭოთა ბანაკები სავსე იყო ადამიანებით, რომლებიც არ ეწეოდნენ პოლიტიკურ საქმიანობას, პირიქით, ცდილობდნენ, უჩუმრად ეცხოვრათ, მაგრამ მაინც ვერ გადაურჩნენ დევნას და პატიმრობას. პოლიტპატიმარმა შეიძლება ჩაიდინოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, მაგრამ თუ საქმეში პოლიტიკური ასპექტი ფიგურირებს, ის მაინც პოლიტპატიმრად ითვლება. Emnisty International გამოყოფს ცალკე კატეგორიასაც – სინდისის პატიმრებს. ეს ის ადამიანები არიან, ვისაც არაფერი დაუშავებია, არ მოუწოდებია ძალადობისკენ, მაგრამ მაინც დააპატიმრეს. „სინდისის პატიმრის“ საერთაშორისო სტატუსის მიღება საკმაოდ რთულია. ასეთები იყვნენ საბჭოთა კავშირში ანდრეი სახაროვი და იოსებ ბროდსკი, ამერიკელი ანჟელა დევისი და სხვები. ბოლო დროს ამ სტატუსის მინიჭებაზე, მაგალითად, უარი უთხრეს მიხაილ ხოდორკოვსკის. Emnisty International პოლიტიკური პატიმრებისთვის სამართლიან სასამართლოს მოითხოვს, ხოლო „სინდისის პატიმრების“ – დაუყოვნებლივ გათავისუფლებას.

ემილ ადელხანოვი თვლის, რომ სამხრეთ კავკასიაში საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, სადაც „სინდისის პატიმრები“, უკვე 10 წელია, აღარ არსებობენ. სხვა უფლებათა დამცველები კი ამბობენ, რომ დღეს ასეთი პატიმრები გვყავს. მაგალითად, სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ნორა კვიციანს „სინდისის პატიმრად“ მიიჩნევს. „ნორა კვიციანს სამხედრო წოდება აქვს, მას უდიდესი წვლილი მიუძღვის კოდორის ხეობის შენარჩუნებაში. დღეს ის ამ ხელისუფლების მძევალია!“ – აცხადებს სოზარ სუბარი.

2003 წელს აზერბაიჯანელი ადამიანის უფლებათა დამცველების თხოვნით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ გარკვეული კრიტერიუმები შეიმუშავა, რითაც პოლიტიკური პატიმრის სტატუსი განისაზღვრა. როცა კონკრეტული ადამიანების საქმეებს განიხილავენ, ქართველი უფლებათა დამცველები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მითითებებს ეყრდნობიან.

„სწორედ ეს დოკუმენტი, ევროპის საბჭოს რეზოლუცია გვაძლევს სახელმძღვანელო კრიტერიუმებს. რადგანაც ზუსტი სამართლებრივი დეფინიცია არ არსებობს, ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი – სამართლებრივი, პოლიტიკური, საზოგადოებრივი შეფასებების თანხვედრა უნდა მოხდეს. ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი, ე.წ. იგორ გიორგაძის მომხრეების საქმეა, სადაც ერთია დაკავების საკითხი, მეორე – სასამართლო განხილვა, რომელიც აშკარა დარღვევებით წარიმართა“, – ამბობს სახალხო დამცველის მოადგილე გიორგი ჩხეიძე. ემილ ადელხანოვიც თვლის, რომ „ის ცამეტნი, რომლებიც დააპატიმრეს, როგორც იგორ გიორგაძის მომხრეები, ნამდვილად შეიძლება ჩაითვლონ პოლიტპატიმრებად. ჯერ ერთი, მათ პოლიტიკური ბრალდებები წაუყენეს, მეორეც – ისინი პოლიტიკურად აქტიური ადამიანები იყვნენ და ხელისუფლებას მათი დაპატიმრება ხელს აძლევდა. თუმცა, ხელისუფლების ადგილას, მე ნამდვილად შევეცდებოდი, მათთვის რაიმე უფრო კონკრეტული ბრალი წამეყენებინა“.

სახალხო დამცველისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებით დასტურდება, რომ საქართველოში პოლიტიკური ნიშნით ადამიანები ისევ იდევნებიან, რაც ჩვენი დემოკრატიის სიმყიფეზე მიუთითებს. დღეს ქართველი ადამიანის უფლებათა დამცველების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ამ ფაქტების საერთაშორისო არენაზე გატანა.

სახალხო დამცველის ბოლო ორი წლის ანგარიშების მიხედვით, საქართველოში პოლიტიკური პატიმრები არიან. მათ უმეტესობას ნარკოტიკების მოხმარებასა და იარაღის უკანონოდ შენახვაში ედება ბრალი.

/27 ნოღაიდელი - მარტო აჭარაში /29 ნულოვანი ინფორმაცია, ნულოვანი ინტეგრაცია
/30 არჩევნები ნანგრევებში /32 ბეწვის ხიდზე /33 აუხაზური პასპორტი სავალდებულო ხდება

ფოტო: ალექსანდრე მარგველაძე

აქცია ქობულეთში. 13 თებერვალი, 2009

აჭარა

ნოღაიდელი – მარტო აჭარაში

ყოფილი პრემიერ-მინისტრი თბილისში აქციებზე არ გამოჩენილა, თუმცა წინასაარჩევნო სამზადისი მას აჭარაში აქვს გაჩაღებული. >>

ნესტან ცეცხლაძე, ბათუმი

„ზურაბ ნოღაიდელი – აჭარის მმართველი“ – ეს წარწერა ქობულეთში აპრილში გაჩნდა.

საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს, რომელიც, დანარჩენი ოპოზიციისგან განსხვავებით, ცალკე, აჭარაში აქტიურობს, ამ თემაზე საუბარი არ სიამოვნებს.

„დავამთავროთ ეს თემა, მგონი, ძალიან არასერიოზულია. ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს გასაკეთებელი და ბევრად სერიოზული ამბიცია მაქვს, ვიდრე ერთი რეგიონის ხელმძღვანელობაა“, – ამბობს იგი.

იმ ფონზე, როცა გაერთიანებულმა ოპოზიციამ საპროტესტო ტალღის სამიზნედ მხოლოდ თბილისი აირჩია, ნოღაიდელის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ფაქტობრივად ერთადერთი აქტიური პოლიტიკური ძალაა აჭარაში, რომელიც ოპოზიციურ ვაკუუმს ავსებს.

„დღეს ორი არჩევანი გვაქვს, ორი რეალური ვარიანტი – ან სამოქალაქო დაპირისპირება ან არჩევნები და ვითარების ამ გზით განმუხტვა, – განაცხადა მან „ლიბერალთან“ ინტერვიუში 26 მაისს, – სამოქალაქო დაპირისპირების შანსი სულ უფრო იზრდება. ასეთ შემთხვევაში, არა 2003 წლის 23 ნოემბრის, არამედ 90-იანი წლების სცენარის განმეორება უფრო რეალურია. ტყუილად ჰგონია სააკაშვილს, რომ შეძლებს ხელისუფლების დიდი ხნით შენარჩუნებას. ეს გამორიცხულია. უნდა დაინიშნოს ყველა არჩევნები ერთად. ხელისუფლების ფუნდამენტური ცვლილებაა საჭირო“.

ექსპრემიერის გეგმა ასეთია: შემოდგომისთვის მისი პარტია მზად იქნება ხელისუფლების არჩევნების გზით

შესაცვლელად ან კიდევ იმისათვის, რომ „განახორციელოს ისეთი ზეწოლა, რომელიც ამ ხელისუფლებას დაანგრევს და დაშლის“.

ამ ეტაპზე ღიად რჩება საკითხი, ვისთან ერთად აპირებს ნოღაიდელი შემოდგომაზე ხელისუფლების შესაცვლელად ბრძოლას. არ არის გამორიცხული, მან „მალე“ შესაძლო ალიანსებზე ისაუბროს.

„მე არ შემიძლია ვიყო ისეთი პროცესების მონაწილე, რომელშიც არ მესმის, რა ხდება. სადაც არ არის განსაზღვრული, რა მოხდება ხვალ, ზეგ, მაზეგ; სადაც კარგად არა აქვთ ყველაფერი დაგეგმილი. ჩვენ ყველაფერი დაგეგმილი გვაქვს“, – ამბობს იგი.

ნოღაიდელის აქტიურობა აჭარაში წინასაარჩევნო მზადებას ჰგავს.

როგორც თავად ამბობს, პარტიის სტრუქტურა აქ თითქმის აწყობილია – აჭარაში პარტიის ოფისები ყველა ქალაქსა და რაიონში გახსნილია. მალე დასრულდება პარტიული სტრუქტურების შექმნა გურიასა და იმერეთში, თბილისში, მცხეთა-მთიანეთში, შემოდგომისთვის კი მოძრაობას მთელი საქართველოს მასშტაბით 20-25 ათასამდე აქტივისტი ეყოლება.

უკვე დაბეჭდილია პარტიის 14-გვერდიანი პროგრამაც. პროგრამაში წერია, რომ „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ მხარს უჭერს საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელს, ამასთან საპარლამენტო მმართველობის პირობებში საარჩევნო ბარიერი 3 პროცენტამდე დაიწევს. პროგრამაში პირველი რიგის პუნქტებია საგადასახადო, საბიუჯეტო და მონეტარული პოლიტიკა. ცალკე თავი აქვს დათმობილი ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, სადაც წერია, რომ ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან ერთად აუცილებელია რუსეთთან დიალოგი და იგი კონტრპროდუქტიული ულტიმატუმების წამოყენების გარეშე უნდა გაიმართოს.

პირველი საპროტესტო აქცია აჭარაში ზურაბ ნოღაიდელმა გასული წლის დეკემბერში გამართა, როცა ნარკოტიკების შეძენა – შენახვის ბრალდებით მისი ნათესავი პაატა კაიკაციშვილი დააკავეს. სასამართლომ კაიკაციშვილს 7-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

დაპატიმრებულის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ქობულეთელი კაიკაციშვილი უკანონო პატიმარია და მისი ერთადერთი „დანაშაული“ ნოღაიდელის ნათესაობაა. კაიკაციშვილის დედა – ნარგიზა კაიკაციშვილი, მესამე კვირაა, ქობულეთის გამგეობის წინ, კარავში შიმშილობს.

„ინდივიდუალური თამაშით ნოღაიდელს, შესაძლოა, სურდეს ექსკლუზიური „უფლება“ მოიპოვოს აჭარაზე“

ნოღაიდელი აღნიშნულ ფაქტს ხელისუფლების მხრიდან მასზე ზეწოლად აფასებს.

„პაატას ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. მას ან მის დედას რამე რომ მოუვიდეთ, ქვას ქვაზე არ დავტოვებ იმ ადამიანებისაგან, ვინც ამ საქმეში იყო ჩართული. ეს მათაც მშვენივრად იციან. ეს ამბავი პოლიტიკის ფარგლებს გაცდება – ეს ქობულეთია და ეს ადამიანები ელემენტარულად ცოცხლები ვერ იქნებიან“, – ამბობს იგი.

მიუხედავად იმისა, რომ ნოღაიდელის მოძრაობა სხვა ადგილობრივ ოპოზიციურ პარტიებთან არ თანამშრომლობს, კაიკაციშვილის გამო, მის პროტესტს ყველა ოპოზიციური პარტია იზიარებს.

ზვიად დიასამიძე, რომელიც პოლიტოლოგიას მიუნხენის უნივერსიტეტში სწავლობდა, ახლა კი საქართველოს პოლიტიკურ პროცესებს ბათუმიდან აკვირდება, ამბობს, რომ ნოღაიდელის რადიკალიზმი გარკვეული ნიშის დაკავების მცდელობაა: „სანამ 9 აპრილის შტაბში ხელისუფლებასთან დიალოგის შესახებ ისმის განცხადებები, ნოღაიდელი უფრო რადიკალური ხდება. ის ცდილობს, საზოგადოების იმ ნაწილის გული მოიგოს, ვინც ოპოზიციაზე იმის გამოა ნაწყენი, რომ ეს უკანასკნელი მზადაა, ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე წავიდეს“.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, როცა ყველა ოპოზიციური ძალა და მათი მხარდამჭერები თბილისში შეიკრიბნენ, ნოღაიდელმა აქცია ოზურგეთში გამართა.

ასევე მოიქცა იგი 9 აპრილსაც – ბათუმში, თეატრის წინ აქციაზე მხარდამჭერები ოზურგეთიდან და ქობულეთიდანაც ჩაიყვანა.

დიასამიძის აზრით: „ნოღაიდელმა გათვალა, რომ იგი ნაციონალური მასშტაბით ბევრისთვის მისაღები არ იყო, ამიტომ თავისი აქტივობა თავდაპირველად აჭარაში გაშალა“.

ბათუმში 9 აპრილს გამართულ აქციაზე ნოღაიდელმა განაცხადა, რომ თბილისში დაწყებულ საპროტესტო ტალღას შეუერთდებოდა. თუმცა, პარლამენტის შენობის წინ იგი არავის უნახავს. „ვაპირებდი მხოლოდ 10 აპრილის აქციაში მონაწილეობას. თბილისისკენ გავემგზავრე კიდეც... სანამ ჩავედი, ოპოზიციამ მიტინგები შეწყვიტა, სხვა ტაქტიკაზე გადავიდა. მე ამ პროცესებს არ შევუერთდი“, – ამბობს „ლიბერალთან“ ინტერვიუში „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი.

გიორგი მასალკინი, რომელიც პოლიტიკურ აქტივობასთან ერთად ბათუმის უნივერსიტეტში ფილოსოფიას და სოციოლოგიას ასწავლის, მიიჩნევს, რომ ოპოზიციური გაერთიანებისთვის ყოფილ ჩინოვნიკებთან კავშირი არამომგებიანი უნდა ყოფილიყო: „ჩემი პირადი ვარაუდით, ალიანსისთვის ყოფილი ჩინოვნიკები მომხიბვლელი მხოლოდ იმ ნიშნით იყვნენ, თუ რამდენად დაიხარჯებოდნენ. ამ მხრივ ბურჯანაძე, ჩემი აზრით, უფრო მომგებიანი მოკავშირეა, რადგან იგი გაცილებით მეტად იხარჯება, პირდაპირი გაგებით – თანხობრივად, ორგანიზაციულადაც“.

„ინდივიდუალური თამაშით ნოღაიდელს, შესაძლოა, სურდეს ექსკლუზიური „უფლება“ მოიპოვოს აჭარაზე. ეს საქართველოა, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გამოვედით შუასაუკუნოვანი კლანური და კუთხური აზროვნებიდან“, – ამბობს მასალკინი.

ზვიად დიასამიძე მიიჩნევს, რომ ნოღაიდელს რეგიონში არცთუ სახარბიელო სასტარტო პოზიცია ჰქონდა: „მას პოლიტიკური ავტორიტეტი არ აქვს. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ 7 ნოემბერს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. მაშინ მან მკაფიოდ არ განმარტა, რომ საგანგებო მდგომარეობა მთელ ქვეყანას ეხებოდა, და გახსოვთ, რაც მოხდა ბათუმში 8 ნოემბერს – სტუდენტების აქცია დაარბიეს. თუმცა, ის აქტიურად მუშაობს და ბევრი რამის გამოსწორებას ცდილობს“.

იგი ამბობს, რომ ვიდრე აჭარაში ამომრჩევლისთვის ბრძოლას სხვა პარტიები არ დაიწყებენ, რეგიონში ნოღაიდელის რეალური რეიტინგის დადგენა ძნელია.

„ნოღაიდელი ერთადერთია, ვინც დღეს აჭარაში მუშაობს. თუმცა, რამდენად სერიოზული ლიდერია, ეს მაშინ გამოჩნდება, როცა სხვა პარტიებიც გაშლიან რეგიონებში აქტივობას და ნოღაიდელის მოძრაობა კონკურენტულ გარემოში აღმოჩნდება“.

მარნეული

ნულოვანი ინფორმაცია, ნულოვანი ინტეგრაცია

მარნეულის ტელევიზიამ აზერბაიჯანელენოვანი საინფორმაციო გადაცემის რედაქცია დახურა, რაიონის 100-ათასიანი ეთნიკურად აზერბაიჯანელი აუდიტორიისთვის ეს ადგილობრივი ინფორმაციის მიღების ერთადერთი სატელევიზიო წყარო იყო.

>>

მარიკა წიქორიძე

2003 წლის მიწურულს, ვარდების რევოლუციიდან ერთი თვის თავზე ქვემო ქართლის ახალი გუბერნატორი ზურაბ მელიქიშვილი მარნეულის რაიონის სოფელ ყულარში ჩავიდა. სოფლის სკოლის ეზოში შეკრებილმა მოსახლეობამ სტუმრების მიახლოებისას იკითხა:

- А где Мамаладзе?

მათ ძალიან გაუკვირდათ, როცა უთხრეს, – რევოლუცია მოხდა და აღარც მამალაძეა გუბერნატორი და აღარც შევარდნაძე პრეზიდენტიო.

2006 წელს, გაერო–ს ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელების 83-მა პროცენტმა სახელმწიფო ენა არ იცის, შესაბამისად, არ უყურებს ქართულ სატელევიზიო არხებს და ვერ კითხულობს ქართულ პრესას.

აზერბაიჯანულენოვანი მაყურებლების ძირითადი საინფორმაციო წყაროები აზერბაიჯანული, რუსული და თურქული ტელეარხებია. მათ ნაციონალურ ქართულ არხებზეც მიუწვდებათ ხელი, თუმცა ენის არცოდნა მოსახლეობას ხელს უშლის ინფორმაციის გაგებაში.

3 წლის მანძილზე მთელ ქვემო ქართლში, მარნეულის ტელევიზიის ,,მარნეული ტვ"-ს აზერბაიჯანულენოვანი ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვება ერთადერთი გადაცემა იყო, რომელიც მოსახლეობას ადგილობრივ ახალ ამბებს მათთვის გასაგებ ენაზე აცნობდა. ეუთო–ს დაფინანსების შეწყვეტის შემდეგ კერძო ტელეკომპანიამ ეს რეიტინგული გადაცემა დახურა.

„ოთხი თვე როგორღაც ვიმუშავეთ, მაგრამ არჩევანის წინაშე დავდექით – ან გაკოტრება ან საინფორმაციოს დახურვა", – ამბობს ტელევიზიის დირექტორი შალვა შუბლაძე.

მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილაჯლოში მცხოვრები ელშან ზეინალოვი აზერბაიჯანულად ახალ ამბებს ყოველ საღამოს უყურებდა.

„ქართული არ მესმის და მხოლოდ აქედან ვიღებდი ინფორმაციას. ერთი წლის მანძილზე ჩემი სოფლიდან ნაგავი არავის გაუტანია. ტელევიზიაში დავრეკე და მათ ჩვენი ამბავი გააშუქეს, პრობლემაც მოგვარდა", – ამბობს ელშან ზეინალოვი.

რეგიონში ამჟამად ეროვნული უმცირესობების ენაზე მხოლოდ გაზეთი „ტაიმერი" გამოდის, ისიც თვეში ერთხელ. გაზეთს ბრიტანული საერთაშორისო მედია ორგანიზაცია „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი" აფინანსებს. პროექტი ივნისში სრულდება და რა ბედი ეწევა შემდგომ „ტაიმერს", უცნობია.

ქალაქში არსებობს სათემო რადიო „მარნეული", რომლის მუშაობაც მხოლოდ ადგილობრივ თემზეა გათვლილი. ის დღეში რამდენიმე საათს მაუწყებლობს და სამენოვან გადაცემებს ამზადებს. რადიო დონორების ტექნიკური დახმარებით 3 წლის წინ გაკეთდა, თუმცა სამაუწყებლო ლიცენზიის მოპოვება ვერ შეძლო. ახლა რადიოგადაცემები მარნეულის ცენტრალურ პარკში და ჩაიხანაში დამონტაჟებული ხმის გამაძლიერებლებით ვრცელდება და ამიტომ მცირე აუდიტორია ჰყავს.

„ადგილობრივი ტელევიზია ინფორმაციულ ვაკუუმს ნაწილობრივ მართლაც ავსებდა. მე უკვე ვესაუბრე მის დირექტორს და ახლა ამ საკითხზე ვმუშაობთ", – ამბობს ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე ჰუსეინ იუსუბოვი. ის თავადაც მარნეულელია, ამიტომ კარგად იცნობს იქაურ პრობლემებს, თუმცა როგორ დაეხმარება ტელევიზიას, ჯერჯერობით არ იცის.

ქვემო ქართლის აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის ძირითადი საინფორმაციო წყაროები აზერბაიჯანული, რუსული და თურქული ტელეარხებია.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნა მათ ინტეგრაციასაც ხელს უშლის.

„მოსახლეობა ხშირად რუსული წყაროებიდან იღებს ინფორმაციას. ეს განსაკუთრებით მწვავედ გამოჩნდა აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს. საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები მეზობელი სახელმწიფოების საინფორმაციო ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან", – აცხადებს პრეზიდენტის მრჩეველი ინტეგრაციის საკითხებში თამარ კინწურაშვილი.

მისი აზრით, მარნეულის კერძო ტელევიზიის საქმიანობაში სახელმწიფო ვერ ჩაერევა. აზერბაიჯანულენოვანი ახალი ამბების გადაცემის დახურვა სარედაქციო გადაწყვეტილებაა. თუმცა მოსახლეობას შეუძლია პრეტენზია წაუყენოს საზოგადოებრივ მაუწყებელს, რადგან, კანონით, საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული ბიუჯეტის არანაკლებ 25% უმცირესობების ენაზე მომზადებულ გადაცემებს უნდა მოხმარდეს.

პირველი არხი კი ჯერჯერობით კვირაში მხოლოდ ერთხელ, დღის სამ საათზე გადასცემს 20-წუთიან საინფორმაციო გამოშვებას აზერბაიჯანულ ენაზე.

„ვიდრე სახელმწიფო ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების იმ დონეს უზრუნველყოფდეს, რომ მოსახლეობა სახელმწიფო ენას დაეუფლოს, ეს საკითხი სხვაგვარად უნდა გადაწყდეს", – ამბობს პრეზიდენტის მრჩეველი და იხსენებს, რომ მისი საზოგადოებრივი მაუწყებლის გენდირექტორობის დროს არსებობდა პროექტი, რომელიც, ფინანსების ნაკლებობის გამო, ვერ განხორციელდა.

პროექტი საქართველოს რეგიონებში საზოგადოებრივი მაუწყებლის რეგიონული ბიუროების შექმნას და ინფორმაციის ადგილზე თარგმნას ითვალისწინებდა.

„იმედია, ეს პროექტი მომავალშიც გაგრძელდება, რადგან სამოქმედო გეგმაში შეტანილია", – ასეთია თამარ კინწურაშვილის პოზიცია.

სანამ სახელმწიფო ახალი სამოქმედო გეგმის რეალიზებას მოახერხებს, მარნეულის ტელევიზიას აქვს შანსი, ინფორმაციული ვაკუუმი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და მომგებიან ბიზნესპროექტად აქციოს. ეს კი მართლაც მათი მენეჯმენტის კომპეტენციაა.

ცხინვალი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ

ფოტო REUTERS/ დენის სინიცკოვი

სამხრეთი ოსეთი

არჩევნები ნანგრევებში

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ოპოზიცია ცდილობს, ქვეყანა ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებამდე მიიყვანოს. კოკოითის მთავარი მიზანი კი მაქსიმალურად ლოიალური პარლამენტია, რომელიც შეცვლის კანონმდებლობას და მას მესამე ვადით პრეზიდენტად არჩევის საშუალებას მისცემს. >>

ოლეგ ჯიოევი, ცხინვალი

2009 წლის 31 მაისის საპარლამენტო არჩევნებს ცხინვალი ნანგრევებში შეხვდა.

სამხრეთ ოსეთში დღემდე არ არის აღდგენილი აგვისტოს ომის დროს დანგრეული არც ერთი სახლი.

მოსახლეობის სრულ ფრუსტრაციას აღარაფერი უკლია. თითქოს, რუსეთის აღიარების შემდეგ სამხრეთ ოსეთში აღმავლობის ხანა უნდა დაწყებულიყო, ემოციურად მაინც. თუმცა, მოუგვარებელი პრობლემები – ჰუმანიტარული დახმარების განაწილება, უსახლკაროდ დარჩენილებისთვის კომპენსაციის გადახდა, დანგრეული სახლების აღდგენა, კრიმინალი, ადამიანის უფლებების დარღვევა, სიტყვის თავისუფლების არარსებობა, უმუშევრობა, ქვეყნიდან მოსახლეობის დაუსრულებელი გადინება, სიტუაციას კრიტიკულს ხდის.

ოპოზიცია, რომელიც სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს მკაცრად აკრიტიკებდა და მოსახლეობას არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდებდა, უძლურია იმ ადმინისტრაციულ რესურსთან ბრძოლაში, რომელსაც ედუარდ კოკოითი ფლობს.

ერთადერთი შედეგი, რაც ოპოზიციის პროტესტს შეიძლება მოჰყვეს, მოსკოვის გადაწყვეტილებაა რესპუბლიკაში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ.

მოსკოვშიც და ცხინვალშიც ბევრს საუბრობენ, რომ ედუარდ კოკოითის პოზიციები ძველებურად მყარი ველარაა და მოსკოვი ფიქრობს მის შეცვლაზე.

ცოტა ხნის წინ რუსეთის ფედერაციის კონტროლის პალატის სპეციალური კომისია სამხრეთ ოსეთში ფედერალური თანხების არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტების გამოძიებას შეეცადა. დარღვევები ვერ იპოვეს, თუმცა მოსკოვის მხრიდან ეს ინიციატივა თავისთავად ბევრზე მეტყველებს.

აშკარაა, რომ კოკოითი თავადაც ხედავს საფრთხეს. ამიტომ იგი, ერთი მხრივ, გაორმაგებული ძალით ებრძვის ოპოზიციას და მათთვის „სამშობლოს მოღალატისა“ და „საქართველოს სპეცსამსახურების აგენტის“ იარლიყებს არ იშურებს; მეორე მხრივ კი, ცდილობს

დაამტკიცოს, რომ მასზე ერთგულს კრემლი აქ ვერავის ნახავს.

თავდაპირველად კოკოითმა რესპუბლიკაში დემოკრატიის ერთგვარი ილუზია შექმნა. სამხრეთ ოსეთში პირველად არჩევნები პროპორციული სისტემით უნდა ჩატარებულიყო; არჩევნებზე დაუშვეს ოთხი პარტია – პროსაპრეზიდენტო პარტია „ერთობა“, რომელსაც დღესაც უმრავლესობა ჰყავს რესპუბლიკის პარლამენტში, კომუნისტური პარტია, პარტია „მამული“ და „სახალხო პარტია“.

თუმცა, „შეცდომების“ გასწორება მალევე დაიწყო. სამხრეთ ოსეთის საპარლამენტო არჩევნების შედეგები არჩევნებამდე დიდი ხნის წინ იყო გადაწყვეტილი.

პირველი სკანდალი ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე მოხდა. სამხრეთ ოსეთის შს სამინისტროს თანამშრომლები ოპოზიციური „სახალხო პარტიის“ ოფისში შეიჭრნენ და, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შესახებ ინფორმაციის საბაბით, რამდენიმე საათით დააკავეს პარტიის აქტივისტები.

პარალელურად, ვიდრე დაკავებულები შინაგან საქმეთა სამინისტროში იმყოფებოდნენ, ცხინვალში მათივე პარტიის „ალტერნატიული“ ყრილობა ჩატარდა. ყრილობას, „სახალხო პარტიის“ დამფუძნებლების ნაცვლად, ედუარდ კოკოითი დაესწრო.

ყრილობაზე შეკრებილებმა განაცხადეს, რომ პარტიის ლიდერი როლანდ ქელეხსაევი მათ ნდობას არ იმსახურებს და მის ნაცვლად კოკოითის მიმართ ლოიალური კაზიმირ პლიევი აირჩიეს. ოპოზიციური „სახალხო პარტიის“ საარჩევნო პარტიული სიაც იქვე, კოკოითის თანდასწრებით დაიწერა.

მოგვიანებით, სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტში არჩევნებში მონაწილეობის შესახებ განაცხადი „სახალხო პარტიის“ ორივე ფრთამ შეიტანა, თუმცა, ბუნებრივია, მხოლოდ ხელისუფლებისადმი ლოიალური კაზიმირ პლიევის ფრთა დაარეგისტრირეს.

უკმაყოფილოთა ეტაპობრივი გაცხრილვა „სახალხო პარტიის“ „რეკეტით“ არ დასრულებულა.

უფრო მარტივად მოაგვარა კოკოითმა კიდევ ერთი ოპონენტის, პარტია „მამულის“ ლიდერის ვიაჩესლავ გობოზოვის საკითხი. გობოზოვს ცსკო-ში რეგისტრაციაზე უარი იმ მოტივით უთხრეს, რომ ბოლო ხუთი წელი სამხრეთ ოსეთში არ უცხოვრია.

გობოზოვი, ისევე როგორც ბევრი სხვა ადგილობრივი შეძლებული ბიზნესმენი, მართლაც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს და სამხრეთ ოსეთში მხოლოდ სტუმრად ჩადის. თუმცა, კანონი ბინადრობის ცენზის შესახებ ყველაზე ერთნაირად არ ვრცელდება. მაგალითად, ბატონი კოკოითის პრეზიდენტობისთვის ხელი არ შეუშლია იმას, რომ იგი მანამდე მუდმივად მოსკოვში ცხოვრობდა.

გობოზოვი და ქელეხსაევი მოსკოვში გაემგზავრნენ და კოკოითზე განაწყენებულ სხვა ცხინვალელებს შეუერთდნენ. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთი კოკოითის მმართველობით უკმაყოფილო არაერთმა ყოფილმა ჩინოვნიკმა და პოლიტიკოსმა დატოვა. მათ მოსკოვში მოიყარეს თავი. უკმაყოფილოებს შეუერთდა სამხრეთ ოსეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი ანატოლი ბარანკევიჩი, ექს-პრემიერი იური მოროზოვი და სამშენებლო კორპორაციის „სტროიპროგრესის“ ლიდერი ალბერტ ჯუსსოევი.

რუსულმა ლიბერალურმა მედიამ მათ უკვე დაუთმო ტრიბუნა. 21 მაისს, კოკოითის მმართველობით უკმაყოფილო ასამდე ადამიანმა მოსკოვში, სახელმწიფო დუმის შენობასთან არასანქცირებული პიკეტი გამართა. რამდენიმე მონაწილე დააკავეს, მათ შორის ალბერტ ჯუსსოევიც, რომელიც ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნევა. გათავისუფლების შემდეგ ჯუსსოევმა ხმამაღალი განცხადება გააკეთა, რომ ტოვებს ბიზნესს და მიდის პოლიტიკაში.

ვინ იქნება სამხრეთ ოსეთის შემდეგი ლიდერი, ეს მოსკოვის ნებაზეა დამოკიდებული. პრაქტიკამ აჩვენა, რომ კრემლში არ უყვართ სახალხო რისხვის ზეწოლით თავიანთი დაყენებული ადამიანების შეცლა, რადგან არ უნდათ საკუთარი სისუსტე და შეცდომები აღიარონ. კოკოითის ოპოზიციის აქტიურობას მხოლოდ ის შეუძლია, რომ კრემლს სამხრეთ ოსეთის ახლანდელი პრეზიდენტის არაქმედითუნარიანობა დაანახოს.

კოკოითი გაორმაგებული ძალით ებრძვის ოპოზიციას, მათთვის „სამშობლოს მოღალატისა“ და „საქართველოს სპეცსამსახურების აგენტის“ იარლიყებს არ იშურებს; მეორე მხრივ კი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მასზე ერთგულს კრემლი ცხინვალში ვერავის ნახავს.

აფხაზეთი

ბენვის ხიდზე

აფხაზეთსა და რუსეთს შორის ერთიმეორის მიყოლებით ფორმდება დოკუმენტები, რომლებიც საბოლოო ჯამში აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დემონტაჟს გამოიწვევს. >>

ინალ ხაშიგი, სოხუმი

სოხუმელები აფხაზეთის, რუსეთის და სამხრეთ ოსეთის დროშების ფრიალით აღნიშნავენ რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას

ფოტო RAUTERS / ვლადიმერ პოპოვი

აფხაზეთის კონსტიტუციის თანახმად, ნებისმიერი საერთაშორისო თუ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია აფხაზეთის სახელით, არალეგიტიმურია, თუკი ის ეწინააღმდეგება აფხაზეთის რესპუბლიკაში მიღებულ რომელიმე კანონს.

შიდა კანონმდებლობის უზენაესობა საერთაშორისო შეთანხმებებზე კონსტიტუციაში შემთხვევით არ არის ჩადებული.

ჯერ კიდევ 1994 წელს, აფხაზეთისთვის ძალიან რთულ პერიოდში ვლადისლავ არძინბას კარგად ესმოდა, რომ აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის შექმნის პროცესი ხანგრძლივი და მტკივნეული იქნებოდა. მან შეგნებულად დააზღვია დამოუკიდებელი აფხაზეთი მომავალში მთელი რიგი ცდუნებებისა და გარეშე ზეწოლებისგან.

აქედან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ, რომ საზღვრის ერთობლივი დაცვის შესახებ მედვედევსა და ბაღაფშს შორის კრემლში ხელმოწერილი შეთანხმება, აფხაზეთის კანონმდებლობის მიხედვით, არაკანონიერია.

შეთანხმების თანახმად, რუსეთის სასაზღვრო სამმართველოს მთლიანად გადაეცემა საზღვრის ასკილომეტრიანი მონაკვეთი და ამ მონაკვეთზე რუსეთის იურისდიქცია გავრცელდება. აფხაზეთის კონსტიტუციაში კი წერია, რომ აფხაზეთის სუვერენიტეტი განუყოფელია და იგი რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება.

დარღვეულია კონსტიტუციის უმთავრესი პრინციპი. ამ კონტექსტში ბაღაფშის სიტყვები, რომ „შეთანხმება ბევრჯერ შემოწმებულია და მოცემული მომენტისთვის ოპტიმალურია“, დიდ ეჭვს ბადებს.

რა თქმა უნდა, აფხაზეთისთვის მნიშვნელოვანია, საქართველოსგან თავი უსაფრთხოდ იგრძნოს, მაგრამ ეს არ არის ჩვენი საბოლოო მიზანი. ჩვენ გვინდა, ეფექტური დამოუკიდებელი სახელმწიფო ავაშენოთ და ამ მიზანს ვერ მივაღწევთ საკუთარი კანონმდებლობის ელემენტარული პატივისცემის გარეშე.

საზღვრის ერთობლივი დაცვის შესახებ შეთანხმების გარდა, კიდევ არის რიგი რუსულ-აფხაზური შეთანხმებები, რომლებიც აფხაზეთის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

კონსტიტუცია იგნორირებულია აფხაზეთისა და რუსეთის გენერალურ პროკურატურებს შორის თანა-

მშრომლობის შეთანხმებაშიც.

აფხაზეთის კონსტიტუცია კრძალავს აფხაზეთის მოქალაქის სხვა ქვეყნისთვის გადაცემას, როგორც ამას ორმხრივი შეთანხმება მოითხოვს.

შექმნილი სიტუაცია ძალიან ჰგავს 1917 წლის ოქტომბერს, როცა ბოლშევიკებმა რუსეთის იმპერია დაამხეს და არსებული კანონები სხვადასხვაგვარი დეკრეტით შეცვალეს. დღეს რუსეთთან გაფორმებული შეთანხმებები აფხაზეთისთვის სწორედ ასეთ დეკრეტებს წაგავს.

არავინ დავობს იმაზე, რომ რუსეთი აფხაზეთის ერთადერთი პარტნიორი და მეგობარია. ჩვენ შეძლებისდაგვარად უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის ინტერესებიც, თუმცა – არა საკუთარი სახელმწიფოებრიობის საზიანოდ.

არ უნდა ჩავთვალოთ, თითქოს აფხაზეთი ვალშია რუსეთთან იმ დახმარებების გამო, რომელსაც მოსკოვი გვიწევს.

როგორც რუსმა პოლიტოლოგმა ნიკოლაი ზლობინმა თქვა, – „აფხაზეთს იმდენივე მართებს რუსეთის, რამდენიც რუსეთს მართებს აფხაზეთის“.

ამ დასკვნას, ძნელია, არ დაეთანხმო. სამწუხაროდ, გვერიდება, თუ გამბედაობა არ გვყოფნის, მაგრამ ჩვენ არასოდეს ვამბობთ ამას ხმამაღლა. შედეგად კი, გამოდის, თითქოს მხოლოდ აფხაზეთის ინტერესებშია საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე რუსი მესაზღვრეების ყოფნა, ჩვენს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების განთავსება, რკინიგზის რუსეთისთვის სამართავად გადაცემა და ა.შ.

ამასთან, რუსეთისთვის მადლობის გადახდის გადაჭარბებული სურვილი, საბოლოო ჯამში, შეიძლება ქვეყნის შიგნით ანტირუსულ განწყობებში გადაიზარდოს.

და ეს მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტინქტით იქნება გამოწვეული, არა მხოლოდ აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის, არამედ აფხაზი ეთნოსის გადარჩენის.

უფრო ყურადღებით დავაკვირდეთ რუსეთთან გაფორმებულ სასაზღვრო შეთანხმებას. აქ ფიგურირებს პუნქტი, რომლის მიხედვითაც, რუს მესაზღვრეებს იმ საცხოვრებელი ფართის პრივატიზების უფლება აქვთ, სადაც მათ დროებით განათავსებენ. ეს პუნქტი კატეგორიულად ეწინააღმდეგება აფხაზეთის საბინაო კანონმდებლობას.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ახალი წესის მიხედვით, რუსეთის სასაზღვრო ჯარები კონტრაქტორებისგან დაკომპლექტდება, გამოდის, რომ პირველ ჯერზე აფხაზეთში დამკვიდრების უფლება დაახლოებით 1300 ოჯახზე მეტს ეძლევა.

და წლებთან ერთად ეს ციფრი გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდება. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ, სავარაუდოდ, იგივე უფლება ექნებათ რუსეთის სამხედრო ბაზებზე მომსახურეებსაც.

გარდა ამისა, პრეზიდენტ ბაღაფშის ერთ-ერთი ბოლო ინიციატივის თანახმად, იგი აპირებს, აფხაზეთის მოქალაქეებს ქვეყანაში უძრავი ქონების შეძენის ექსკლუზიური უფლება ჩამოართვას და მზადაა, იგივე უფლება რუსეთის მოქალაქეებსაც მიანიჭოს. ამის შესახებ მან პრესკონფერენციაზე განაცხადა.

გამოდის, რომ ბაღაფშის ამ ინიციატივის რეალურად ამოქმედების შემთხვევაში, ჰიპოთეტურად, აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის უფლება 140 მილიონ რუსეთის მოქალაქეს მიეცემა.

ამ შესაძლებლობით რუსეთის მოსახლეობის თუნდაც ხუთმა პროცენტმა რომ ისარგებლოს, აფხაზეთის მოქალაქეები ერთმანეთს მისამართების წიგნით თუ იპოვნიან. საბოლოოდ დაესმება წერტილი საზღვარგარეთ მცხოვრები მრავალრიცხოვანი აფხაზური დიასპორის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების საკითხსაც.

გარდა ამისა, აფხაზეთში დამკვიდრებული რუსეთის მოქალაქეები მომავალში უპრობლემოდ შეძლებენ, პარალელურად, აფხაზეთის მოქალაქეობის მიღებასაც. შემდეგ რომელიმე პოლიტიკოსს მოუვა თავში იდეა, რომ აფხაზეთი აუცილებლად რუსეთის შემადგენლობაში უნდა შევიდეს და გასაგებია, რას დაუჭერს მხარს ხელოვნურად გაზრდილი ელექტორატის დიდი ნაწილი – ცხადია, დამოუკიდებელი აფხაზეთის იდეას არა.

აფხაზეთის ხელისუფლება მოსახლეობას იმით ამშვიდებს, რომ ეს შეთანხმებები დროებითია. ერთი მხრივ, არაფერია ისეთი მუდმივი, როგორც „დროებითი“, მით უმეტეს ისეთი პატარა და მოწყვლადი სახელმწიფოსთვის, როგორიც აფხაზეთია.

მეორე მხრივ, რუსულ-აფხაზურ ურთიერთობებში დღეს არსებული ინტეგრაციის იმ არანორმალური ტემპების გათვალისწინებით, ძნელი წარმოსადგენია, რომ ხუთ ან, თუნდაც, ათ წელიწადში აფხაზეთში გამოჩნდეს ხელმძღვანელი, რომელიც სასაზღვრო შეთანხმებას გადახედავს ან რუსეთის სარკინიგზო უწყებას ეტყვის: „თქვენ წლების განმავლობაში მართავდით აფხაზეთის რკინიგზას და ახლა, თუ შეიძლება, დაგვიბრუნეთ“.

ასეთ ადამიანს, ვინც უნდა იყოს იგი, და რა არგუმენტებიც უნდა ჰქონდეს მას, რუსეთის არაკეთილმოსურნეთა სიაში ჩაწერენ.

წლებთან ერთად აფხაზეთში მხოლოდ გაიზრდება ისეთი „მძიმეწონოსნების“ რიცხვი, როგორიც რუსეთის რკინიგზაა.

ჩვენ ბევრი სხვა ობიექტიც გვაქვს, რომელიც მომავალში რუსულ მართვას „მოითხოვს“ – აეროპორტი, პორტები, ნავთობი, ენგურჰესის საკითხიც დგას დღის წესრიგში, და კიდევ მრავალი სხვა.

საკუთარი თავი ჩიხამდე მიგვყავს და ვიდრე გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, მიდგომები უნდა შევცვალოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, მომავალი ძალიან ბუნდოვანი იქნება.

ბაღაფშის ახალი ინიციატივის ამოქმედების შემთხვევაში, ჰიპოთეტურად, აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის უფლება 140 მილიონ რუსეთის მოქალაქეს მიეცემა.

АФХАЗЕТИ

აფხაზური პასპორტი სავალდებულო ხდება

თუ აქამდე აფხაზეთის ეროვნულ პასპორტს მხოლოდ პატრიოტული მოტივით იღებდნენ, დღეს მისი გამოყენების სფერო მნიშვნელოვნად ფართოვდება. >>

ანტონ კრივენიუკი, **სოხუმი**

ბოლო წლის განმავლობაში ეროვნული პასპორტისადმი აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესმა იმატა.

უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება, მართვის მოწმობის აღება, ქორწინების რეგისტრაცია, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების გაფორმება, სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი მატერიალური დახმარების მიღება – ეს ყველაფერი მწვანე ფერის ეროვნული საბუთის გარეშე შეუძლებელია. მანამდე ამ ოპერაციების განხორციელება რუსული ან საბჭოთა კავშირის დროინდელი პასპორტებით შეიძლებოდა.

თუმცა, აფხაზეთის ფარგლებს გარეთ აფხაზურ პასპორტს ძველებურად არანაირი ძალა არა აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა, მისი პასპორტი სრულფასოვან დოკუმენტად ჯერ არ ჩაუთვლია. დღეს აფხაზური პასპორტით რუსეთ–აფხაზეთის საზღვრის გადაკვეთა შეუძლებელია. ბუნებრივია, გამორიცხულია აფხაზური პასპორტით, მაგალითად, ევროპაში გამგზავრება. აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ რუსულ მხარესთან უკვე მიმდინარეობს მუშაობა მხარეების მიერ საბუთების ურთიერთაღიარების შესახებ შეთანხმებაზე.

მხოლოდ ასეთი შეთანხმების დადების შემდეგ გახდება აფხაზური პასპორტი ლეგიტიმური საბუთი რუსეთის ტერიტორიაზე.

ეროვნული პასპორტების გაცემის პროცესი აფხაზეთში 2006 წელს დაიწყო.

დღეს როგორც ხელისუფლებისთვის, ისე დანარჩენი პოლიტიკური სპექტრისთვის მნიშვნელოვანია, პასპორტიზაცია მალე დასრულდეს – არაუგვიანეს წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე.

სხვა შემთხვევაში, შეუძლებელი გახდება კენჭისყრის შედეგების დათვლასთან დაკავშირებული კონფლიქტების თავიდან აცილება.

თუკი ერთადერთი საბუთი, რომლითაც ამომრჩევლები საარჩევნო უბნებზე გამოცხადდებიან, ეროვნული პასპორტი იქნება, ეს ხმების დათვლის პროცედურას მოაწესრიგებს და კენჭისყრას უფრო გამჭვირვალეს გახდის; ხოლო თუ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ვერ მოასწრებს პასპორტის მიღებას, მაშინ არჩევნები სხვა საბუთების მიხედვით ჩატარდება,

მაგალითად ფორმა №9-ის საფუძველზე, რაც დარღვევების საშუალებას იძლევა.

განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს გალის რაიონი, სადაც, ოფიციალური მონაცემებით, ამ დროისთვის ეროვნული პასპორტი მიღებული აქვს 1500 ადამიანზე მეტს. უნდა აღინიშნოს, რომ ცოტა ხნის წინ ეს ციფრი მხოლოდ რამდენიმე ათეულს შეადგენდა.

კანონის მიხედვით, აფხაზური პასპორტის მიღების უფლება აქვთ მათ, ვინც სახელმწიფო სუვერენიტეტის აქტის მიღებამდე ხუთი წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედებები 1993 წლის სექტემბერში შეწყდა, ეს აქტი მხოლოდ 1999 წლის ოქტომბერში მიიღეს. ამგვარად, ამ კანონის მიხედვით, აფხაზური პასპორტის მიღების შესაძლებლობა მხოლოდ იმ ადამიანებს აქვთ, ვინც ომის შემდეგ მუდმივად აფხაზეთში ცხოვრობს. შესაბამისად, ამ უფლებას მოკლებულია თითქმის ყველა, ვინც ომის დროს ან შემდეგ დატოვა აფხაზეთი.

რაც შეეხება რუსულ პასპორტს, რომელსაც აფხაზეთის მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფლობს, იგი არასრულფასოვანი დოკუმენტია. ეს არის საზღვარგარეთის პასპორტი „საზღვაგარეთ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისთვის“.

აღნიშნული პასპორტი ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც აფხაზეთის მოქალაქეებს საზღვრის გადაკვეთის უფლებას აძლევს. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ამ პასპორტს თითქმის არანაირი ძალა არა აქვს, რადგან მასში არ არის რუსეთის ფედერაციაში ჩაწერის გრაფა.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია აფხაზურ პასპორტში „ეროვნების“ დაფიქსირების საკითხმა. აფხაზეთში დღემდე ძლიერია ეთნიკური ნიშნით გამიჯვნის ტრადიციები და ამიტომ ეს გრაფა შენარჩუნდა. წინააღმდეგი იყო ახალგაზრდა თაობის ნაწილი, რომელიც სამოქალაქო ინტეგრაციის მომხრეა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა, მისი პასპორტი სრულფასოვან დოკუმენტად ჯერ არ ჩაუთვლია. დღეს აფხაზური პასპორტით რუსეთ–აფხაზეთის საზღვრის გადაკვეთა შეუძლებელია.

/35 ლიკანმა კურორტის ფუნქცია დაკარგა /37 უჩინარი ადამიანები /39 ღეროვანი უჯრედები - საქართველოს გამოცდილება /42 მსოფლიო პრესის ფოჯო საქართველოში /43 რა ხდება შუა ქალაქში

ფოტო: გურამ შიგასხაშვილი

ლიკანის სანატორიუმი, ყოფილი „მეოთხე სამმართველო“

პრივატიზაცია

ლიკანმა კურორტის ფუნქცია დაკარგა

უმარტივესი პირობებით, ათ მილიონ დოლარად გაყიდულმა კომპლექსმა, რომელიც გაურკვეველი ვადითაა დაკეტილი, ლიკანი შემოსავლის, ტურისტების და სამკურნალო წყლების გარეშე დატოვა. >>

ნათია ახალაშვილი

ლიკანის ცნობილ სანატორიუმს, ყოფილ „მეოთხე სამმართველოს“ დამსვენებლები, უკვე მესამე წელია, არ ჰყოლია. 40 ჰექტარზე გაშლილ სანატორიუმში აბალახებული ნანგრევები და გამოცარიელებული ფანჯრები ჩანს. ღობის მიღმა შედარებით მოვლილად გამოიყურება ყოფილი სანატორიუმის მხოლოდ ერთი მხარე, დაახლოებით 7 ჰექტარი ტერიტორია, სადაც რომანოვების ყოფილი სასახლე მდებარეობს და ახლა საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაა განთავსებული. ტურისტებისთვისაც და ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც ყოფილი სანატორიუმის ორივე ნაწილში შესვლა აკრძალულია. ტერიტორიის აბსოლუტური მფლობელი დღეს ყაზახური კომპანია „ყაზმუნაიგაზ-სერვისია“. ლიკანის სანატორიუმი 2006 წელს, აუქციონისა თუ ტენდერის გარეშე, ათ მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 21 აპრილის №210 განკარგულების თანახმად, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული მთლიანი წილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, პირდაპირი მიყიდვის წესით, შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა „ყაზმუნაიგაზ-სერვისს“ გადასცა. „ყაზმუნაიგაზ-სერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიის მფლობელობაში გადავიდა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე აგარაკები, სამკურნალო კორპუსი, სასადილო-კლუბი, სხვადასხვა დამხმარე ნაგებობა

და მეურნეობა. ხელშეკრულებით გამყიდველმა – ეკონომიკის განვითარების სააგენტომ მყიდველს სამკურნალო- გამაჯანსაღებელი კომპლექსის რეაბილიტაცია დააკისრა. თუმცა სანატორიუმის ამოქმედების კონკრეტული თარიღი მითითებული არ ყოფილა. ამიტომ რეაბილიტაციის პროცესის დასრულების ვადებზე ქართული მხარე ინვესტორს ვერ შეედავება.

2007 წლის თებერვალში „ყაზმუნაიგაზ-სერვისმა“ კომპლექსის რეკონსტრუქციისთვის მზადება დაიწყო. როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახურის მთავარი არქიტექტორი ალეკო ნოზაძე განმარტავს, ჯერ უნდა გაკეთებულიყო და დამტკიცებულიყო ესკიზი, რის შემდეგაც კონკრეტულად განისაზღვრებოდა შენობების პარამეტრები, დასაცავი ფორმების ჩამონათვალი და სხვა პირობები.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილისთვის გაგზავნილ წერილში, ყაზახური მხარე პირობას დებდა, რომ ძირითად სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს 2007 წელს დასრულებდა. ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვახტანგ მაისურაძის თქმით, ახალმა მეპატრონემ ესკიზი 2006 წლის ზაფხულში წარმოადგინა, მაგრამ, არქიტექტურული შეუსაბამობის გამო, ის დაიწუნეს. “ვთხოვეთ, გაეთვალისწინებინათ ჩვენი შენიშვნები, მაგრამ ამის შემდეგ მათგან ინიციატივა აღარ ყოფილა“, – აცხადებს ვახტანგ მაისურაძე.

„ყაზმუნაიგაზ-სერვისთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ სანატორიუმის ახალ მფლობელს უფლება ჰქონდა, კომპლექსის აღდგენა-რეაბილიტაციის მიზნით, ტერიტორიაზე განთავსებული შენობები დაენგრია. ინვესტორი ისტორიულ ნაგებობას არც შეხებია, მაგრამ დანგრეულია სასადილო-კლუბი, პირველი ადმინისტრაციული და მესამე კორპუსი. ხელშეკრულების ბუნდოვანი პირობების გამო, გაურკვეველია, ინვესტორის ეს გადაწყვეტილება უკანონო იყო თუ არა.

სანატორიუმის დახურვით მთელი ბორჯომი დაზარალდა. უმუშევარი დარჩა 200-მდე ადამიანი, დამსვენებელთა ნაკადის შეწყვეტამ აგრარულ ბაზარზეც იმოქმედა.

2007 წლის 6 სექტემბერს მინისტრის მოადგილემ, კახა დამენიამ შპს „ყაზმუნაიგაზ-სერვის საქართველოს“ დირექტორისგან მომდევნო წერილი მიიღო, რომლის მიხედვითაც, ლიკანის საპროექტო დოკუმენტაცია ტექნიკური მზადების პროცესში იყო და თვენახევარში დასრულდებოდა.

მას შემდეგ წელიწადი და რვა თვე გავიდა, მაგრამ არაფერი შეცვლილა. სანატორიუმი კვლავაც დახურულია. მშენებლობა – შეჩერებული, თანამშრომლების უმრავლესობა – დათხოვნილი. ინვესტიციებზე და სანატორიუმის რეაბილიტაციის გეგმებზე შპს „ბორჯომი-ლიკანის“ ახალი მეპატრონეები არ საუბრობენ. სანატორიუმიდან დათხოვნილი თანამშრომლების შესახებ კი ეკონომიკის განვითარების სამინისტროსთვის მიწერილ წერილში აღნიშნავენ, რომ პერსონალის რაოდენობის შემცირება საქართველოს შრომის კანონის შესაბამისად მოხდა.

ხელშეკრულების მიხედვით, ახალ მეპატრონეს, თანამშრომელთა გათავისუფლების შემთხვევაში, თითოეული მუშაკისთვის კომპენსაცია ხელფასის სამმაგი ოდენობით უნდა გადაეხადა. ყოფილი თანამშრომლების თქმით კი, მათ 2006 წლის ივნისის დასაწყისში ახალი, სამთვიანი ხელშეკრულებები გაუფორმეს, რომელთა ვადის გასვლის შემდეგ სამსახურიდან დაითხოვეს. შესაბამისად, კომპენსაციის მიღების იურიდიული საფუძველი აღარ დარჩა.

სანატორიუმის ყოფილი ექთანი ემა დავითაძე აცხადებს: „საპროტესტო აქციაც მოვაწყვეთ, მაგრამ არავინ მოგვისმინა. მესამე წელია, უმუშევარი ვარ“.

სანატორიუმის პოლიკლინიკის ყოფილი გამგის, ექიმი დოდო გიუაშვილის თქმით: „ეს ერთადერთი სანატორიუმი იყო საქართველოში, რომელიც ყოველდღე მუშაობდა და თაობების მანძილზე ტრადიციული დამსვენებელი ჰყავდა. 2006 წლის მაისში ჩამოვიდნენ ახალი მეპატრონეები, ჩაგვიტარეს საერთო კრება და გვითხრეს, რომ შეგვიქმნიდნენ საუკეთესო პირობებს, გაგვიშვებდნენ საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ოქტომბრიდან მათი განწყობა რადიკალურად შეიცვალა. კვლავ ჩაგვიტარეს კრება და გვითხრეს, რომ ჩვენი ხელშეკრულებების ვადა ამოწურულია და დაგვემშვიდობნენ. მეორე დღეს თანამშრომლები ჭიშკარშიც აღარ შეგვიშვეს“.

დაიშალა შპს „ბორჯომი-ლიკანის“ ბალანსზე არსებული მსხვილფეხა საქონლის და ფუტკრის მეურნეობაც. „გვქონდა ბაღი და სათბურები; ჯერჯერობით აღარც ისინი ფუნქციონირებს“, – აღნიშნავს „ბორჯომ-ლიკანის“ დირექტორის ყოფილი მოადგილე გოგი მიქელაძე.

სანატორიუმის დახურვით მთელი ბორჯომი დაზარალდა. უმუშევარი დარჩა 200-მდე ადამიანი, შემოსავალი დაკარგეს იმ ლიკანელებმაც, რომლებიც სანატორიუმის მეზობლად ბინებს სეზონურად აქირავებდნენ. დამსვენებელთა ნაკადის შეწყვეტამ აგრარული ბაზრისა თუ მაღაზიების საქონელბრუნვაზეც იმოქმედა. „კომპლექსის დაკეტვის შემდეგ მთელი ლიკანი მშიერია. ვისაც საშუალება არ ჰქონდა, რომ სანატორიუმში დაესვენა, გარშემო ქირაობდა სახლს, სამკურნალოდ კი სანატორიუმში დადიოდა. დღეს მიმდებარე აგარაკებზეც აღარავინ მოდის დასასვენებლად“, – აცხადებს სანატორიუმის ყოფილი ექთანი ემა დავითაძე.

ლიკანის მკვიდრი გოდერძი მელიქიძე კი დასძენს: „სანატორიუმის ტერიტორიაზე ახალი არაფერი შენდება. დანგრეული კორპუსების ადგილზე ბალახია ამოსული. ახლა გავიგე, რომ იმ აგარაკების გახსნას აპირებენ, რომლებიც არ დაუნგრევიათ“. ასეთივე ინფორმაცია აქვს სანატორიუმის დირექტორის ყოფილ მოადგილესაც: „ჩემი ინფორმაციით, მეორე და მეოთხე აგარაკებს არემონტებენ და დამსვენებლების მიღებას აპირებენ. იქ 30-35 ადამიანი დაეტევა“, – აცხადებს გოგი მიქელაძე.

დახურვის შემდეგ სანატორიუმში 30-მდე ძველი თანამშრომელი დარჩა, ძირითადად – დაცვის წევრები, ბუღალტერი და მეეზოვე. ნუგზარ ოსეფაშვილი ერთ-ერთია, ვინც შპს „ბორჯომ-ლიკანში“ დღემდე მუშაობს. პროფესიით ექიმს, სამედიცინო საკითხებში მრჩეველის თანამდებობა უკავია. „30 წელია, რაც აქ ვმუშაობ. სანატორიუმი დაკეტილია და ცხადია, დატვირთული არ ვარ. გახსნას ჯერჯერობით არ აპირებენ. მეტს ვერაფერს გეტყვით, დირექტორს მიმართეთ“, – განაცხადა სამსახურიდან გამოსულმა.

სანატორიუმის ტერიტორიაზე აღარც ბორჯომის მინერალური წყალი მოდის. „წყალი მაინც რომ იყოს გარეთ გამოყვანილი, ჩვენ სახლებში მივიღებდით დამსვენებლებს“, – აცხადებს ლიკანელი გოდერძი მელიქიძე.

სანატორიუმის ტერიტორიაზე, ბიუვეტში წყლის შეწყვეტას სააქციო საზოგადოება „ბორჯომმინწყლების“ დირექტორი ვახტანგ შარაშენიძეც ადასტურებს. „ყოფილი მეოთხე სამმართველოს ტერიტორიაზე

მდებარეობს 59-ე ჭაბურღილი, რომლითაც სანატორიუმი ბორჯომის წყლით მარაგდებოდა. ეს ინფრასტრუქტურა დღესაც არსებობს, უბრალოდ, სანატორიუმი არ ფუნქციონირებს და ამის გამო წყლის გაშვებას აზრი არ აქვს“.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვახტანგ მაისურაძე აღნიშნავს, რომ, სამწუხაროდ, ინვესტორმა ინვესტიციის ჩადება ჯერჯერობით ვერ მოახერხა და ამიტომ რაიონისთვის სანატორიუმის პრივატიზებას არანაირი სიკეთე არ მოუტანია: „პრობლემები გაცილებით მეტი დაგროვდა, ვიდრე სიკეთე. ამ ეტაპზე იქ არაფერი კეთდება. დაზარალდა აწყობილი ტურისტული სქემა. სამწუხაროდ ახალ მეპატრონეებს ბორჯომის მუნიციპალიტეტთან კონტაქტი არ აქვთ. არც მათი გეგმების შესახებ ვიცით რამე. ხან შესაძლო გაყიდვაზე საუბრობენ, ხან ახალი პროექტის წამოწყებაზე“.

კითხვაზე, თუ რატომ გაუმარტივა ქართულმა მხარემ ვალდებულებები ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტის მყიდველს, როგორიც ლიკანის სანატორიუმი იყო, ეკონომიკის განვითარების სამინისტროში პასუხობენ, რომ ინვესტორის შერჩევის კრიტერიუმები და პირობები საქართველოს პრეზიდენტმა დაადგინა. ვინაიდან „ყაზმუნაიგაზ-სერვისისთვის“ არც ინვესტიციის კონკრეტული თანხით განხორციელების ვალდებულება დაუკისრებიათ, სამინისტროსთვის არც ჩადებული ინვესტიციების რაოდენობის ზუსტი მონაცემებია ცნობილი. თუმცა, სამინისტროში ადასტურებენ, რომ ახალმა მფლობელმა საპრივატიზებო ღირებულება სრულად (10 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში) გადაიხადა.

ხელშეკრულების მიხედვით, „ყაზმუნაიგაზ-სერვისი“ ეკონომიკის განვითარების სამინისტროს წელიწადში ერთხელ აწვდის ინფორმაციას პროექტის მიმდინარეობის და გეგმების შესახებ. ბოლო ოფიციალური წერილი 2008 წლის დეკემბერში ახალმა მინისტრმა ლაშა ჟვანიამ მიიღო, რომელშიც ნათქვამია, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ჯერ კიდევ ადაპტაციის პროცესშია. შემდეგ წერილს სამინისტრო, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ბოლოს მიიღებს. მანამდე კი ბორჯომსა და მის დამსვენებლებს ლიკანის ჩარაზულ და ნახევრად დანგრეულ სამკურნალო-გამაჯანსაღებელ კომპლექსთან ლიოვას ცნობილი ნამცხვრებიღა აკავშირებთ. ეს ნამცხვრები კვლავაც სანატორიუმის ტერიტორიაზე ცხვება და მათი ყიდვა ბორჯომის სავაჭრო ქსელშია შესაძლებელი.

ფოტო მარიკა ქოჩიაშვილი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები

უჩინარი ადამიანები

ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვანი უმცირესობა სამეშაო ადგილებს, ინფრასტრუქტურის შეცვლას და სრულფასოვან მოქალაქეობას ითხოვს. >>

მარიკა ქოჩიაშვილი

თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურის სმენადაქვეითებული თანამშრომლები

2009 წლის 20 მაისის დოკუმენტით საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილებას ანიჭებს საქართველოს ელჩს გაერო–ში, ხელი მოაწეროს გაერო–ს კონვენციას, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს ეხება. ხელმოწერის შემდეგ საქართველო ოფიციალურად გამოაცხადებს, რომ 139 ქვეყანასთან ერთად მისი მიზანიც არის: „ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებები...“, რაშიც პირველ რიგში დასაქმებისა და სამსახურებრივი წინსვლის უფლება იგულისხმება.

დღეს საქართველოს შრომის კოდექსში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელშიც მათ სამსახურის მოძებნა და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ქცევა გაუადვილდებათ. საგადასახადო კოდექსის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის ხელფასი არ იბეგრება, თუკი წელიწადში ის 1500 ლარს არ აღემატება. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ არაოფიციალური სტატისტიკით, ქვეყანაში მცხოვრები 240 ათასამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის უმრავლესობა უმუშევარია, საგადასახადო კოდექსის ეს მუხლი ბუტაფორია ხდება.

1995 წლიდან, ანუ დამტკიცების დღიდანვე რეალურად არ მუშაობს არც კანონი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის“ შესახებ. კანონის №21 მუხლი უფლებას ანიჭებს ამ ადამიანებს, „იმუშაონ შრომის ჩვეულებრივი პირობების საწარმოებსა და ორგანიზაციებში...“, მაგრამ არ არსებობს არანაირი წამახალისებელი მექანიზმი იმ კომპანიებისთვის, რომლებიც უნარშეზღუდულებს დაასაქმებდა.

სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი, ანა არგანაშვილი აცხადებს: „ამ კანონის ძირითადი პრობლემა სწორედ მისი აღსრულების მექანიზმის არარსებობაა. მას ფუნდამენტური პრობლემა აქვს, კერძოდ: კანონის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი არის ადამიანი, რომელსაც მუდმივად ესაჭიროება სხვა ადამიანების დახმარება. ის მიჩნეულია ქველმოქმედების ობიექტად, რაც, მარტივად რომ ვთქვათ, დამამცირებელია. მაგალითად, კანონში ნახსენებია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს უნდა ეხმარებოდნენ სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით, მათ შორის – ავტომობილით (რაც, ცხადია, არ სრულდება). რა საჭიროა ადამიანს, რომელსაც სახელმწიფომ უნდა შეუქმნას შრომის პირობები, დაეხმარო მანქანით? ის მას ისედაც იყიდის, თუ მუშაობის საშუალებას მისცემ“.

უნდა არსებობდეს კვოტა ყოველი კომპანიისთვის ან საგადასახადო შეღავათი, რაც კომპანიებს ამ ადამიანების დასაქმებისთვის სტიმულს მისცემს. ეს სქემა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ეფექტურად მუშაობს.

დღეს ეს ადამიანები უჩინარებივით ცხოვრობენ. სახელმწიფო მათ საბჭოთა ინერციით, პენსიებით ეხმარება და ყოველთვიურად 75-ლარიან დახმარებას უხდის.

„როდესაც სახელმწიფო თავის ყველაზე მრავალრიცხოვან უმცირესობას უხდის პენსიას, ეს პენსია კი არ არის, კომპენსაციაა იმისთვის, რომ მათ თანაბარ პირობებს არ უქმნის“, – ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ მენეჯერი, რატი იონათამიშვილი, რომელიც, თითქმის 10 წელია, ეტლში ზის.

2009 წლის მაისში საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტმა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა ჩაატარეს კვლევა, რომლის მიხედვითაც, საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა მხოლოდ 1%-ია დასაქმებული. „საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის“ პრეზიდენტის ზაზა სიხარულიძის აზრით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ დასაქმებაზე სახელმწიფომ იზრუნა.

თუ გადავთვლით იმ კერძო და სახელმწიფო კომპანიებს, რომელთაც საკუთარი ინიციატივით დაასაქმეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, გამოვა, რომ 240 ათასამდე ადამიანიდან დაახლოებით ორასს აქვს სტაბილური სამუშაო.

18 სმენადაქვეითებული მერიის დასუფთავების სამსახურმა დაიქირავა, ორი – „ჯეოსელის“ კაფეტერიაში მუშაობს და ხელფასსაც იღებს, ოთხი მათგანი კი კომპანიის ოფისებში დამხმარედ მუშაობს. „ჯეოსელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტის, თაკო როდონაიას თქმით: „სხვა კომპანიებიც თუ შემოგვიერთდებიან, უკეთესი იქნება. ამ ადამიანებს თვითგამოვლენის შანსი უნდა მივცეთ და ჩვენი საზოგადოების წევრებად ვაღიაროთ. მიდგომა – გვეცოდებოდეს და დავეხმაროთ, ჩემთვის მიუღებელია“.

საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტის თანაშემწე, მაია მეტონიძე იხსენებს, რომ კომპანიების თანამშრომლობაზე დაყოლიება რთული იყო. ერთხელ მან ერთ-ერთ კომპანიაში გამოცხადებულ ვაკანსიაზე სმენადაქვეითებული ბიჭი გაგზავნა, ის კი არ მიიღეს. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს, მართალია, გარკვეული უნარები სრულფასოვნად განვითარებული არ აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს უნარები მას საერთოდ არ გააჩნია“, – აცხადებს მაია მეტონიძე. მაიამ სახელმწიფოს სთხოვა, სამშენებლო ტენდერების გამოცხადებისას პრიორიტეტად ამ ადამიანების დასაქმება ჩაწერონ. ყრუთა კავშირმა, USAID-ის დახმარებით, 50-მდე ახალგაზრდის გადამზადებაც მოახერხა – მშენებლის, მღებავისა და სანტექნიკოსის სპეციალობებში.

წელიწადზე მეტია, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 17 ადამიანი მუშაობს. მათი უმეტესობა ეტლიანია. საცხოვრებელ კორპუსებში, პანდუსების არარსებობის გამო, შინიდან გასვლა უჭირთ და რეესტრის დავალებებს სახლიდან ასრულებენ. ზოგი ცხელ ხაზზე მუშაობს, ზოგი – თარჯიმნად. თუმცა, რეესტრში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დასაქმება მათ სოციალურ ინტეგრაციას არ ნიშნავს, რადგან ამ 17 ადამიანის უმეტესობა შინ მუშაობს და თანამშრომლებთან შეხება მაინც არ აქვს. კონვენციაზე ხელმოწერის შემდეგ აუცილებელია, ჩამოყალიბდეს პირობებიც, რომელთა მიხედვითაც, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დასაქმება და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართვა სინონიმები გახდება.

სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრში იმედს გამოთქვამენ, რომ გაერო–ს კონვენციაზე მიერთება რეალობას შეცვლის და ქაღალდზე აღიარებულ ღირებულებებს სინამდვილედ აქცევს. კონვენციაზე ხელმოწერის შემდეგ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა ჩამოაყალიბოს „ინვალიდთა სოციალური ინტეგრაციის“ 3-წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც სექტემბრისთვის უნდა იყოს მზად. გეგმა იმ კონცეფციის მიხედვით ჩამოყალიბდება, რომელიც რატი იონათამიშვილის არასამთავრობო ორგანიზაციამ USAID-ისა და Save the Children-ის დახმარებით შეიმუშავა და პარლამენტმა ხუთი თვის წინ დაამტკიცა. გეგმაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი შეზღუდული შესაძლე-

ბლობების მქონე ადამიანების დასაქმებისთვის საჭირო ბერკეტების ამუშავება. ეს კი, პირველ რიგში, გულისხმობს ბიზნეს-სექტორის ისეთ წახალისებას, რომ მათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დასაქმებაზე უარი არ თქვან.

„უნდა არსებობდეს კვოტა ყოველი კომპანიისთვის ან საგადასახადო შეღავათი, რაც კომპანიებს ამ ადამიანების დასაქმებისთვის სტიმულს მისცემს. ეს სქემა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ეფექტურად მუშაობს. აუცილებელია მისი ქართული გარემოსთვის მორგება“, – ამბობს რატი იონათამიშვილი.

გაერო–ს კონვენციის ერთ-ერთ მუხლში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ კონვენციის მიზნებთან შეუთავსებელი შესწორებების შეტანა დაუშვებელია. თუმცა წევრ-სახელმწიფოებს აქვთ უფლება, თავიანთი რეალობის გათვალისწინებით დაგეგმონ კონვენციის მუხლების შესრულება. კონვენციაზე მუშაობის პირველ ეტაპზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებმა წარმოადგინეს 24 ე.წ. დათქმა იმ მუხლებზე, რომელთა შესრულებაც დროებით შეუძლებლად მიაჩნდათ. ამ სიის მიხედვით, დროში იწელებოდა იმ მუხლების შესრულება, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების თითქმის ყველა მნიშვნელოვან უფლებას ეხება, მათ შორის ამ ადამიანების კერძო თუ სახელმწიფო სექტორში დასაქმებას და სამუშაო გარემოს მათი საჭიროებების მიხედვით ადაპტაციას.

ომბუდსმენის აპარატთან კონსულტაციების შემდეგ დათქმების რიცხვი 24-დან 4-მდე შემცირდა. ჯანდაცვის სამინისტრო ფიქრობს, რომ ჯერჯერობით არ ფლობს ფინანსებს იმისთვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები სახელმწიფო საცხოვრებლებით უზრუნველყოს. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო კი ხუთი წლის ვადით უარს ამბობს ფიზიკური გარემოს ადაპტაციაზე და ამ ადამიანთა გადაადგილების საშუალებების, მოწყობილობებისა და დამხმარე ტექნოლოგიების ზომიერ ფასში მიწოდებაზე.

მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, რომ თუ სახელმწიფო სამოქმედო გეგმაში ვალდებულებების შესრულების კონკრეტული ვადები ჩაიწერება, პროცესი ადგილიდან მაინც დაიძვრება.

რატი იონათამიშვილი ამბობს: „ჩვენ ვიქნებით ძალინ ფხიზლად და ვიბრძოლებთ, რომ კონვენციის ფუნდამენტური ღირებულებები ჩვენთანაც შესრულდეს“.

მანამდე კი კონვენციამ შემდეგი გზა უნდა გაიაროს: ხელმოწერის შემდეგ დოკუმენტს პარლამენტი განიხილავს. რატიფიცირებულ კონვენციას ხელს მოაწერს პრეზიდენტი და ის უკვე ძალაში შევა. ამის შემდეგ გაერო საქართველოს დაარეგისტრირებს, როგორც მონაწილე ქვეყანას, რომელიც ვალდებული იქნება, ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებები.

მედიცინა

ღეროვანი უჯრედები – საქართველოს გამოცდილება

ჭიპლარის სისხლის ბანკში შენახულმა ღეროვანმა უჯრედებმა თქვენი შვილი შეიძლება ავადმყოფობისგან მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაიცვას. >>

თიკო ცომაია, ეკა ჭითანავა

მშობიარობის შემდეგ სულ რამდენიმე წუთია საჭირო იმისთვის, რომ ექიმებმა ახალშობილის ჭიპლარის ვენიდან სისხლი აიღონ, შემდეგ რამდენიმე საათში ღეროვანი უჯრედები გამოიყვანონ, მინუს 196 გრადუსზე სინჯარაში გაყინონ, ახალშობილს მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეუნახონ და ის მოსალოდნელი დაავადებებისგან დაიცვან.

„ძალიან მშვიდად ვგრძნობ თავს, ამით ნაწილობრივ მაინც უზრუნველვყავი მომავალში ჩემი შვილის ჯანმრთელობა“, – აღნიშნავს 36 წლის მხატვარი ლიკა შხვაცაბაია. წლინახევრის გიორგის ღეროვანი უჯრედები სისხლის ბანკში ინახება.

ჭიპლარის სისხლის ბანკი „ჯეოქორდი“ საქართველოში 2006 წლიდან მუშაობს. ღეროვან უჯრედებს თვითგანახლების უნარი აქვთ და შეუძლიათ, წარმოქმნან ყველა ტიპის უჯრედი და ქსოვილი, რომლებისგანაც სხეული შედგება. მაგალითად, დაზია-

ფოტო: ია ბერიძე

ჭიპლარის სისხლის ბანკი „ჯეოქორდი“

ნებულ ღვიძლში გადანერგვისას ღეროვანი უჯრედები ღვიძლის ფუნქციას ითავსებენ. ამის გამო, მათი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა დაავადების მართვისა და განკურნებისათვისაც კი. დაავადებების ჩამონათვალი კი საკმაოდ ვრცელია. სიაში შედის: გულის დაავადებები, სისხლის დაავადებები, პარკინსონი, დიაბეტი და ზურგის ტვინის დაზიანებებიც კი.

არსებობს ემბრიონული, ფეტალური და მოზრდილ ადამიანთა ღეროვანი უჯრედები. ემბრიონული ღეროვანი უჯრედები ხელოვნური განაყოფიერების გზით შექმნილი ემბრიონისაგან მიიღება. ფეტალური ღეროვანი უჯრედები – აბორტის შემდგომი ნარჩენებისა და ახალშობილის ჭიპლარის სისხლიდან, ხოლო ზრდასრული ადამიანების ღეროვან უჯრედებს ძვლის ტვინიდან, პერიფერიული სისხლიდან და ცხიმოვანი ქსოვილიდან იღებენ.

მეცნიერები ყველაზე ეფექტურად ემბრიონულ უჯრედებს მიიჩნევენ, რადგან მათ თვითგანახლების ყველაზე დიდი უნარი აქვთ. თუმცა, კვლევებისთვის ემბრიონის გამოყენება მეცნიერებს ეთიკური დილემის წინაშე აყენებს. კვლევის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ემბრიონი ცოცხალი ორგანიზმია და მის ხარჯზე სხვა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა არ შეიძლება; მომხრეები კი მიიჩნევენ, რომ 8-უჯრედიანი ემბრიონი არ შეიძლება ადამიანად ჩაითვალოს. ოპონენტების აზრით, ემბრიონული უჯრედების კვლევის მნიშვნელობა გადაჭარბებულია და მოზრდილთა იმ ღეროვანი უჯრედების გამოყენებას ამჯობინებენ, რომლებსაც ძვლის ტვინიდან და პერიფერიული სისხლიდან მოიპოვებენ. მომხრეები ფიქრობენ, რომ მოზრდილთა ღეროვანი უჯრედების მოქმედება, თვითგანახლების შედარებით დაბალი უნარის გამო, შეზღუდულია, ემბრიონული უჯრედების გამოყენება კი – უფრო ეფექტური.

შეერთებულ შტატებში ღეროვანი უჯრედების კვლევის დაშვება-არდაშვების საკითხი პარტიული დაპირისპირების მიზეზი. რესპუბლიკელები ე.წ. სიცოცხლის მომხრეები (pro life) არიან და, რადგანაც ემბრიონს ცოცხალ ორგანიზმად განიხილავენ, მის მოსპობასა და გამოყენებას ეწინააღმდეგებიან, ხოლო დემოკრატებისათვის (pro choice) არჩევანის თავისუფლება ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა, ემბრიონი კი – მხოლოდ უჯრედების გროვა. აქედან გამომდინარე, ემბრიონების კვლევისათვის გამოყენებას ლიბერალურად უდგებიან.

საქართველოში ემბრიონს ღეროვანი უჯრედების მისაღებად არასდროს იყენებდნენ. საკითხიც არასდროს მოხვედრილა პოლიტიკური პარტიების სამოქმედო გეგმებში. თუმცა, აბორტის ნარჩენებისგან ღეროვანი უჯრედების გამოყვანის პრაქტიკამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მეცნიერებსა და სასულიერო პირებს შორის. 2001 წლიდან 2006-მდე, ვიდრე ჭიპლარის სისხლის ბანკს გახსნიდნენ, გიორგი ლოლაძე და მისი კოლეგები ფეტალურ, ანუ აბორტის ნარჩენებისგან მიღებულ ღეროვან უჯრედებზე მუშაობდნენ. თუმცა, შემდეგ საქმეში საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭო ჩაერთო, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის საკონსულტაციო ორგანოა. საბჭოში ექიმებთან ერთად სასულიერო პირებიც შედიოდნენ. საბჭომ 2002 წლის 29 აპრილს მოამზადა დასკვნა, რომლის საფუძველზეც, ფეტალური ღეროვანი უჯრედების გამოყენება საქართველოში შეწყდა.

საბჭოს თავმჯდომარის გივი ჯავაშვილის თქმით, „არ შეიძლება ადამიანის სხეული ან მისი ნაწილები იყოს შემოსავლის წყარო“. მისი აზრით, დაუშვებელია, სასარგებლო შედეგს ელოდე აბორტული მასალის გამოყენებისგან, რადგან თავად აბორტი „არაეთიკური ქმედების შედეგია“, მიუხედავად იმისა, რომ მას კანონი არ კრძალავს.

აბორტირებული ჩანასახის კვლევას ეწინააღმდეგებოდა ეპისკოპოსი იოანეც, რომელიც საბჭოს წევრი იყო. ის მამა ადამთან ერთად საბჭოს მუშაობის დროს მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციას გამოხატავდა. მეუფე იოანე დღესაც ორ არგუმენტს ასახელებს. მისი თქმით, ჩანასახი ცოცხალი არსებაა, როდესაც გარდაცვლილი ადამიანის ორგანოს ტრანსპლანტაციისათვის იყენებენ, თანხმობას ავადმყოფისგან ამის შესახებ წინასწარ იღებენ, ჩანასახს კი ასეთი თანხმობის მიცემა არ შეუძლია; ასევე, ამ მეთოდის დანერგვით

ფოტო: თემურ გარძელიშვილი

ფაქტი:

ღეროვან უჯრედებს შეუძლიათ 200-ზე მეტი ტიპის ქსოვილად ჩამოყალიბება: თუ ღეროვანი უჯრედების ჩასახვა პანკრიასში მოხდება, მათგან წარმოიქმნება პანკრიასის უჯრედები, რომლებსაც შეეძლებათ დიაბეტით დაავადებული ადამიანის განკურნება. თუ ღეროვან უჯრედებს ჩასახავენ და გაამრავლებენ გულის კუნთში, მათ შეეძლებათ დაზიანებული გულის უჯრედების შეცვლა, რითაც შესაძლებელი გახდება გულის დაავადებების, მათ შორის, ინფარქტის განკურნება. თუ ღეროვან უჯრედებს ღვიძლის ქსოვილში გადანერგავენ, ისინი გამრავლდებიან და შეცვლიან დაზიანებულ ღვიძლის უჯრედებს, რითაც შესაძლებელი გახდება ჰეპატიტების მკურნალობა. ღეროვანი უჯრედებიდან მიღებულ ნერვულ ქსოვილს შეეძლება ზურგის ტვინის დაზიანებების, ინსულტისა და პარკინსონის განკურნება.

ტვინიდან, პერიფერიული სისხლიდან და ცხიმოვანი ქსოვილიდან იღებენ.

მეცნიერები ყველაზე ეფექტურად ემბრიონულ უჯრედებს მიიჩნევენ, რადგან მათ თვითგანახლების ყველაზე დიდი უნარი აქვთ. თუმცა, კვლევებისთვის ემბრიონის გამოყენება მეცნიერებს ეთიკური დილემის წინაშე აყენებს. კვლევის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ემბრიონი ცოცხალი ორგანიზმია და მის ხარჯზე სხვა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა არ შეიძლება; მომხრეები კი მიიჩნევენ, რომ 8-უჯრედიანი ემბრიონი არ შეიძლება ადამიანად ჩაითვალოს. ოპონენტების აზრით, ემბრიონული უჯრედების კვლევის მნიშვნელობა გადაჭარბებულია და მოზრდილთა იმ ღეროვანი უჯრედების გამოყენებას ამჯობინებენ, რომლებსაც ძვლის ტვინიდან და პერიფერიული სისხლიდან მოიპოვებენ. მომხრეები ფიქრობენ, რომ მოზრდილთა ღეროვანი უჯრედების მოქმედება, თვითგანახლების შედარებით დაბალი უნარის გამო, შეზღუდულია, ემბრიონული უჯრედების გამოყენება კი – უფრო ეფექტური.

შეერთებულ შტატებში ღეროვანი უჯრედების კვლევის დაშვება-არდაშვების საკითხი პარტიული დაპირისპირების მიზეზი. რესპუბლიკელები ე.წ. სიცოცხლის მომხრეები (pro life) არიან და, რადგანაც ემბრიონს ცოცხალ ორგანიზმად განიხილავენ, მის მოსპობასა და გამოყენებას ეწინააღმდეგებიან, ხოლო დემოკრატებისათვის (pro choice) არჩევანის თავისუფლება ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა, ემბრიონი კი – მხოლოდ უჯრედების გროვა. აქედან გამომდინარე, ემბრიონების კვლევისათვის გამოყენებას ლიბერალურად უდგებიან.

საქართველოში ემბრიონს ღეროვანი უჯრედების მისაღებად არასდროს იყენებდნენ. საკითხიც არასდროს მოხვედრილა პოლიტიკური პარტიების სამოქმედო გეგმებში. თუმცა, აბორტის ნარჩენებისგან ღეროვანი უჯრედების გამოყვანის პრაქტიკამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მეცნიერებსა და სასულიერო პირებს შორის. 2001 წლიდან 2006-მდე, ვიდრე ჭიპლარის სისხლის ბანკს გახსნიდნენ, გიორგი ლოლაძე და მისი კოლეგები ფეტალურ, ანუ აბორტის ნარჩენებისგან მიღებულ ღეროვან უჯრედებზე მუშაობდნენ. თუმცა, შემდეგ საქმეში საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭო ჩაერთო, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის საკონსულტაციო ორგანოა. საბჭოში ექიმებთან ერთად სასულიერო პირებიც შედიოდნენ. საბჭომ 2002 წლის 29 აპრილს მოამზადა დასკვნა, რომლის საფუძველზეც, ფეტალური ღეროვანი უჯრედების გამოყენება საქართველოში შეწყდა.

საბჭოს თავმჯდომარის გივი ჯავაშვილის თქმით, „არ შეიძლება ადამიანის სხეული ან მისი ნაწილები იყოს შემოსავლის წყარო“. მისი აზრით, დაუშვებელია, სასარგებლო შედეგს ელოდე აბორტული მასალის გამოყენებისგან, რადგან თავად აბორტი „არაეთიკური ქმედების შედეგია“, მიუხედავად იმისა, რომ მას კანონი არ კრძალავს.

აბორტირებული ჩანასახის კვლევას ეწინააღმდეგებოდა ეპისკოპოსი იოანეც, რომელიც საბჭოს წევრი იყო. ის მამა ადამთან ერთად საბჭოს მუშაობის დროს მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციას გამოხატავდა. მეუფე იოანე დღესაც ორ არგუმენტს ასახელებს. მისი თქმით, ჩანასახი ცოცხალი არსებაა, როდესაც გარდაცვლილი ადამიანის ორგანოს ტრანსპლანტაციისათვის იყენებენ, თანხმობას ავადმყოფისგან ამის შესახებ წინასწარ იღებენ, ჩანასახს კი ასეთი თანხმობის მიცემა არ შეუძლია; ასევე, ამ მეთოდის დანერგვით შეიძლება გაჩნდეს აბორტის გაკეთებაზე ქალების უნებლიეთ წახალისების საფრთხე. „გარდა ამისა, ცნობილია, რომ ხშირად ქალები ხელოვნური განაყოფიერებით რამდენიმე შვილს აჩენენ და შემდეგ მათ კომერციული მიზნით იყენებენ – ბავშვებს ასხვისებენ. იგივე შეიძლება მომხდარიყო ამ შემთხვევაშიც“, – ამბობს მეუფე იოანე და დასძენს, რომ მართლმადიდებლური ეკლესია ღეროვანი უჯრედების მისაღებად ჭიპლარის სისხლის გამოყენებას მიესალმება, რადგან ეს მართლმადიდებლურ ღირებულებებს არ ეწინააღმდეგება.

კვლევის ავტორთა ჯგუფი, გიორგი ლოლაძის ხელმძღვანელობით, საბჭოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება. „ჩვენ ხალხს აბორტისკენ არ მოვუწოდებდით, უბრალოდ ვფიქრობდით, რატომ არ შეიძლებოდა გაფუჭებული საქმიდან დადებითი შედეგი მიგვეღო და დავხმარებოდით მას, ვისაც ეს სჭირდება“, – ამბობს ლოლაძე.

ლოლაძე იხსენებს ერთ-ერთი პაციენტის შემთხვევას, რომელსაც ჰოჯკინის ლიმფო-

მა – ლიმფური სისტემის ავთვისებიანი დაავადება ჰქონდა და მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიით მკურნალობდნენ. ამ პროცესის დროს სიმსივნურ უჯრედებთან ერთად კვდება ძვლის ტვინისა და სისხლის უჯრედებიც. „პაციენტის ლეიკოციტების რაოდენობა თითქმის ნულამდე დაეცა, შემდეგ მას ღეროვანი უჯრედი გადავუნერგეთ და ავადმყოფი რამდენიმე დღეში მომჯობინდა“.

მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი წარმატებული შემთხვევა ლოლაძის ჯგუფს ბევრი ჰქონია, მისი თქმით, ამ მეთოდის დანერგვას კვლევის გაგრძელება სჭირდებოდა. ამიტომაც ექიმებმა მიიღეს საბჭოს დასკვნა და აირჩიეს მეთოდი, რომლის ეთიკურობაზეც არავინ დავობს.

„ჯეოქორდში“ ფეტალური უჯრედის – ქუთაისიდან. კონსულტაციაზე მისულ ფეხმძიმე ქალს მეან-გინეკოლოგი ჭიპლარის სისხლის ღეროვან უჯრედებზე უყვება, უხსნის პირობებს და თუკი დედამ სისხლის ჩაბარების სურვილი გამოთქვა, ხელშეკრულება ფორმდება.

დავით გაგუას სახელობის კლინიკის მეან-გინეკოლოგის თინათინ გაგუას თქმით, ღეროვანი უჯრედების შენახვაზე მოთხოვნა ჯერჯერობით დაბალია. „თვეში 200 პაციენტიდან, საშუალოდ, მხოლოდ ხუთი აბარებს სისხლს“, – აღნიშნავს გაგუა. ამის მიზეზი, შესაძლოა, მომსახურების ფასიც იყოს. იმისათვის, რომ თქვენი ჭიპლარის სისხლიდან ღეროვანი უჯრედები მიიღონ, 780 ევრო უნდა გადაიხადოთ (თანხის დაფარვა განვადებითაც შეიძლება), უჯრედის ყოველწლიური შენახვა კი 100 ევრო ღირს.

ნოლოგიები ისე სწრაფად არ ვითარდება, როგორც დანარჩენ მსოფლიოში. ეს დამოკიდებულია საზოგადოების ინფორმირებულობასა და შემდეგ უკვე – ოჯახების შემოსავალზე. „საქართველოში 32 000-ზე მეტი დიაბეტით დაავადებულია, ამის შესახებ ყველამ რომ ზუსტად იცოდეს, რაღაც ნაწილი მაინც ისურვებდა, რომ თავისი ღეროვანი უჯრედი შეენახა“, – ამბობს ნატა ყაზახაშვილი.

ექიმ გოჩა შათირიშვილის თქმით, პირველ ჯერზე მიღებული ღეროვანი უჯრედების რაოდენობა მხოლოდ 5-6 წლის ბავშვებს ჰყოფნით, რადგან მისი გამოყენება სასურველ ეფექტს მხოლოდ 25 კგ.-მდე წონის ადამიანისთვის იძლევა. ამიტომ ლაბორატორიამ უჯრედების გამრავლება, ანუ კულტივაცია გადაწყვიტა. „ერთი

2007 წლისათვის იმ დაავადებების სტატისტიკა საქართველოში, რომლებიც ღეროვანი უჯრედის გადანერგვით შეიძლება განიკურნოს.

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამედიცინო სტატისტიკის სამსახური

საქართველოში ემბრიონს ღეროვანი უჯრედების მისაღებად არასდროს იყენებდნენ. თუმცა, ამ პრაქტიკამ აზრთა ხვადასხვაობა მაინც გამოიწვია.

მიღების ალტერნატიულ წყაროდ ამჟამად ჭიპლარის სისხლს იყენებენ. ამ დროს ეთიკური დილემა ნაკლებია, სამაგიეროდ, ჭიპლარის სისხლიდან მიღებული ღეროვანი უჯრედები ემბრიონული უჯრედებივით უნივერსალური არ არის. მათი გამოყენება მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, ვისაც უჯრედი უშუალოდ ეკუთვნის, დედმამიშვილებში თავსებადობის ალბათობა შეადგენს 1:4-ს, არამონათესავე პირებში კი ალბათობა 1:70000-მდე მცირდება.

გიორგი ლოლაძე მათ ლაბორატორიაში შენახული ნიმუშების ზუსტ რაოდენობას არ ასახელებს, მაგრამ ამბობს, რომ ნიმუში ბევრი აქვთ. „თუმცა, საქართველოს მთელი მოსახლეობის გათვალისწინებით, გამოდის, რომ ჩვენი მომსახურების შესახებ მაინც ძალიან ცოტა ადამიანმა იცის“, – აცხადებს ლოლაძე.

ლოლაძის თქმით, ბანკი თბილისის ყველა სამშობიაროსთან თანამშრომლობს. სისხლის ჩაბარების მსურველები რეკავენ რეგიონებიდანაც, ყველაზე ხშირად

22 წლის ცისანა კიღურაძემ ორი თვის წინ დავით გაგუას სახელობის კლინიკაში იმშობიარა, მაგრამ ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების შესახებ ადრე არაფერი სმენია. სისხლის შესანახად გადასახდელ თანხასთან დაკავშირებით ამბობს: „ეს, როგორც ჩანს, მდიდრებისთვისაა! შენახული სისხლი ჩემს შვილს ან დასჭირდება ან არა, ჩემს საგვარეულოში არავის ჰქონია ლეიკოზი ან სისხლის სხვა რაიმე დაავადება, 10%-ია იმის შანსი, რომ ასეთი რამ ჩემს შვილს დაემართოს, ამიტომ 780 ევროს და მერე ყოველწლიურად 100 ევროს გადახდა, ნამდვილად არ მიღირს“.

ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტის გენერალური დირექტორის მოადგილის ნატა ყაზახაშვილის თქმით: „ღეროვანი უჯრედების შენახვა დაზღვევას ჰგავს. ის მაშინ არის მომგებიანი, თუ ადამიანი ავად გახდა, თუ ჯანმრთელია, წაგებული რჩება“.

განვითარებად ქვეყნებში მაღალი ტექ-

ღეროვანი უჯრედიდან შესაძლებელია 300 000 მივიღოთ; ანუ პაციენტი საჭიროების შემთხვევაში თავის უჯრედებს რამდენიმე დაავადების სამკურნალოდ გამოიყენებს“, – აღნიშნავს შათირიშვილი.

„ჯეოქორდი“ ჯერჯერობით ერთადერთი ბანკია საქართველოში, რომელიც ღეროვან უჯრედებზე მუშაობს. თანაც, ეს კომერციული დაწესებულებაა და იქ ღეროვანი უჯრედების გამოყვანა ბიზნესია. მსოფლიოში, უკვე წლებია, ორი ტიპის სისხლის ბანკი არსებობს – სახალხო და კერძო. სახალხო ბანკში სისხლის დონაცია ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ჭიპლარის ღეროვანი უჯრედები კი, საკუთრივ „მფლობელის“ ან დედმამიშვილების გარდა, ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება გამოიყენოს, რადგან ბანკებში ასეთი უჯრედები დიდი რაოდენობით ინახება. საქართველოში მსგავს ფუფუნებაზე ფიქრი ჯერჯერობით ნაადრევია. ასეთი სისტემის განვითარებისთვის საჭიროა დრო, სახელმწიფო დაფინანსება და საზოგადოების უკეთ ინფორმირება.

გამოფენა

მსოფლიო პრესის ფოტო საქართველოში

ავღანეთში, ისტორიული მნიშვნელობის აგერის მენობაში, სადაც ახლახან საქმიანი ინტერიერით და გასტრონომიული ეგზოტიკით გამორჩეული "კიუბი 24" განთავსდა, მსოფლიო პრესის ფოტოს გამოფენა გაიხსნა. ეს WORLD PRESS PHOTO–ს პირველი ოფიციალური გამოფენაა საქართველოში. >>

დავით ბუხრიკიძე

თბილისის გარდა, გამოფენას მსოფლიოს 40-ზე მეტი ქალაქი იხილავს და დაახლოებით ორი მილიონი დამთვალიერებელი ეყოლება. პროექტის ორგანიზატორია „საქართველოს ბანკის" დაგროვილი ქონების მართვის სამსახური.

მსოფლიო პრესის ფოტო (World Press Photo) დასაბამს 1955 წლიდან იღებს, როცა პირველად 24 ქვეყნის ფოტოგრაფებმა განვლილი წლის მოვლენების ამსახველი საკუთარი ნამუშევრები საერთაშორისო კონკურსში წარადგინეს. აქედან მოყოლებული კონკურსი ყოველ წელს იმართება. 2008 წელს მასში 124 ქვეყნის ასობით ფოტოგრაფი ათ ნომინაციაში მონაწილეობდა: ახალი ამბები, ზოგადი ახალი ამბები, ხალხი ახალ ამბებში, თანამედროვე საკითხები, ყოველდღიური ცხოვრება, სპორტი, სპორტის ახალი ამბები, პორტრეტები, ხელოვნება და გართობა, ბუნება. თუმცა, ამ ნომინაციებში გამარჯვებულების გარდა, არის გამორჩეული ნომინაცია – წლის მსოფლიო პრესის ფოტო, რომელიც მხოლოდ ერთი ავტორის ნამუშევარს გულისხმობს.

2008 წელს გამარჯვებული გახდა ამერიკელი ანტონ სუაუ. ფოტო ასახავს საგადასახადო პოლიციელის შეჭრას სახლში, რომლის პატრონმაც, ეკონომიკური კრიზისის გამო, ბინის კრედიტი ვერ გადაიხადა. თუმცა ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს ეს პოლიციელი ტერორისტების მიერ დაკავებულ შენობას ათავისუფლებს. ასე რომ, მსოფლიო პრესის ფოტოკონკურსზე კონტექსტი არა ნაკლებ და ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთრივ ფოტოს მხატვრულ-დოკუმენტური გააზრება.

წარმოდგენილია ხუთივე კონტინენტის პროფესიონალ ფოტოგრაფთა ნამუშევრები, რომლებიც გასული წლის ყველაზე მთავარ მოვლენებს ასახავენ – გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს მსოფლიოში, პრეზიდენტის არჩევნებსა და საარჩევნო პროცესს აშშ-ში, ოლიმპიურ თამაშებს პეკინში, რუსეთ-საქართველოს ომს აგვისტოში, მიწისძვრას ჩინეთში (სე ჩუანის პროვინციაში), გამორჩეულ კულტურულ და სოციალურ მოვლენებს მსოფლიოში. არანაკლებ შთამბეჭდავია ოლიმპიადის ამსახველი და ამერიკელ დემოკრატთა მხარდამჭერი ფოტოები პრეზიდენტ ობამას არჩევნების წინ და შემდგომ.

პროფესიონალი ფოტოგრაფები საკმაოდ სკეპტიკურად არიან განწყობილნი მსოფლიო პრესის ფოტოს გამარჯვებულებისა და ნომინანტების მიმართ. თუმცა აღიარებენ ამგვარი ფოტონამუშევრის მნიშვნელობას, რეპორტაჟულობას, „ექშენს", ძალისხმევას, სენსაციურობას... და მაინც, მათი აზრით, ეს არ არის ყველაზე სისხლიანი მოვლენებისა და ფაქტების დროში კონცენტრაციის,

ფოტო ლევან ხარბულიძე

■ მსოფლიო პრესის ფოტოს ექსპოზიცია თბილისში

რეპრეზენტაციისა და ძალადობის ტირაჟირების კარგი უნარი, რაც მნახველზე გამაოგნებლად მოქმედებს.

ვერ გეტყვით, საამაყოა თუ არა, მაგრამ საქართველოს თემა გასული წლის მსოფლიო პრესის ფოტოში პოლიტიკურად დატვირთული და მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით – ახალი ამბებისა და ზოგადი ახალი ამბების ნომინაციებში. მაგალითად, გამოფენაზე წარმოდგენილია უკრაინელი ფოტოგრაფის გლებ ბარანიჩის გორში გადაღებული ცნობილი ფოტო – მტირალი მამაკაცი, ხელებში 9 აგვისტოს დაღუპული ძმის ცხედარით; აგრეთვე – შვედი ლარს ლინდკვისტის ფოტოსერია, რომელიც გასული წლის შემოდგომაზე აფხაზეთშია გადაღებული; ან პოლონელი იუსტინა მელნიკევიჩის ცხინვალში, კარალეთსა და გორში გადაღებული ფოტოები, რომლებიც ნომინაციაში „ადამიანები ახალ ამბებში“ მეორე პრემიით აღინიშნა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია სპორტისა და ხელოვნების ამსახველი ფოტოები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ექსპოზიციაში, ცოტა არ იყოს, მოკრძალებული ადგილი აქვთ მიჩენილი. თუმცა, თემატური მრავალფეროვნება არჩევანის დიდ საშუალებას და დიაპაზონს გიტოვებთ. ჯობს, ნახოთ და თავად განსაჯოთ. გამოფენა 15 მაისს გაიხსნა და 5 ივნისამდე გასტანს. ასე რომ, დილის 11 საათიდან საღამოს 20 საათამდე უფასოდ შეგიძლიათ „მსოფლიო პრესის ფოტო“ მოინახულოთ და ფოტოგრაფის მიერ დანახულ სამყაროსა და თქვენს წარმოდგენას შორის ან განსხვავება იგრძნოთ, ან მსგავსება.

ტელევიზია

რა ხდება შუა ქალაქში

საფეხბურთო სერიალი მაყურებელს კომპრომისისა და ფორეანფობის ქოდს უგზავნის. >>

დავით პაიჭაძე

„შუა ქალაქი“ პირველი ქართული სატელევიზიო სერიალია, რომელსაც, ჩემი დაკვირვებით, სნობური ამრეზით არ ხვდებიან და არ ერცხვინებათ, გაამხილონ, რომ სიამოვნებით უყურებენ. ქართული, რუსული და ლათინოსური სერიალების ჩვენ არხებზე ჩვენების ისტორიას თუ გავიხსენებთ, „შუა ქალაქი“ უპირობო გამონაკლისია სამიზნე აუდიტორიის თვალსაზრისითაც: ის არც მხოლოდ თინეიჯერებისთვის არის განკუთვნილი, არც სასოწარკვეთილი დიასახლისებისათვის და არც მამაკაცებისათვის. „შუა ქალაქით“ კვირაში მინიმუმ ორი საათის მანძილზე ყველამ შეიძლება იცხოვროს.

„შუა ქალაქის“ პოპულარობის მიზეზთა დამაჯერებელი ახსნა შეიძლება გაჭირდეს, მაგრამ სერიალში ნამდვილად შეიძლება მოვნიშნოთ რამდენიმე თავისებურება, ზოგ შემთხვევაში კი სიახლეც, რაც ალბათ მიაპყრობს კიდეც მისკენ უამრავი მაყურებლის მზერას. სიახლეები მნიშვნელოვანია სახელდობრ ტელეპროდუსინგის მხრივ და ზოგადად ქართული კულტურის თვალსაზრისითაც. ჩვენ ამ უკანასკნელზე ვილაპარაკებთ.

„შუა ქალაქში“ ძირითად პერსონაჟთა შემსრულებლებად ჩვენ ვიხილეთ ტელეაუდიტორიისათვის მანამდე სრულიად უცნობი მსახიობები. ჩანს, ეს სერიალის ავტორთა ცნობიერი არჩევანია და ეს არჩევანი თანხვდება პრეტენზიას, შექმნას მანამდე არსებულ ნამუშევართაგან სრულიად გამორჩეული პროდუქტი. მართალია, სერიალი წელიწადზე მეტია, გრძელდება, მაგრამ პირადად ჩემთვის „შუა ქალაქის“ მსახიობთა შემოქმედება გახლავთ უნებლიე პასუხი ბოლო თვეების „არტისტულ ამბოხზეც“; მსახიობები, პოეტები და რეჟისორები იკეტებიან ტელესაკანში, ქუჩაში გამოაქვთ დეკორაციები, ქუჩასვე აკითხავენ სახალხო ტრიბუნთა ამპლუაში. მეჩვენება, რომ პოლიტიკის მეშვეობით ისტერიულად ელტვიან მსმენელს, მაყურებელს, აღიარებას... ამ დროს მათი შედარებით ახალი თაობის კოლეგები ირჩევენ კონვენციურ გზას – ჩვეულებრივ თამაშს და არიან უფრო წარმატებულნი. როგორც მსახიობები, ცხადია. სერიალის პერსონაჟები უყვართ და ართობთ, მათზე სიხარულით და სიცილით ლაპარაკობენ.

ამ პერსონაჟთა შემსრულებლები არათუ არ გაცვეთილან საზოგადო მოლვაწეობით, არამედ, შესაძლოა, შეასრულონ სხვა როლიც – მიიზიდონ ადამიანები თეატრებში, იქ, სადაც ისინი „შუა ქალაქის“ მიღმა მუშაობენ.

სერიალის ავტორები თავიანთ შემოქმედებას სიტუაციურ კომედიად განიხილავენ, მაგრამ კომიზმის შესაქმნელად მოიხმობენ შტრიხებს პერსონაჟთა ხასიათებიდან. „შუა ქალაქის“ „მაშენებლები“ აქ უაღრესად ტრადიციულნი არიან სიცილის „კეთების“ თვალსაზრისით. პერსონაჟს შეურჩევენ ერთ რომელიმე უარყოფით თვისებას და ზომიერად გაბუქავენ მას. თამარ ღლონტი მომეტებულად ავყია და კაპასია, ქეთევანი – მომეტებულადვე ეჭვიანი, სანდრო – სუ-

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

კადრი სერიალიდან „შუა ქალაქში“

ლელი, დათო – არხეინი და დაუდევარი და ა.შ. კომედიის პერსონაჟთა ძერწვის ტრადიციულ ხერხებს მიეკუთვნება ერთგვარი ამბივალენტურობაც: ერთ პერსონაჟში გაზვიადებულ ნეგატიურ თვისებებთან თანაარსებობს თითქოსდა საპირისპირო, შეუთავსებელი მახასიათებლები. თამარი, კი, ანჩხლი და ანგარებიანია, მაგრამ ბავშვურად გულუბრყვილო, ინფანტილური და რაღაცნაირად უმწეოც ხდება, თუ მიიჩნევს, რომ წარმატებას მიემთხვია – გინდ სიყვარულში, გინდ საქმიან ცხოვრებაში. ქეთევანს პათოლოგიური და უადგილო ეჭვიანობა ხელს არ უშლის ვნებიანი და ნაზად მოყვარული მეუღლე იყოს და ქართულ ოჯახში აქამდე იშვიათად მანიფესტირებული ეროტიკა წარმოაჩინოს. თავის მხრივ, ლაშა სულ არ ჰგავს სექსის გიგანტს, ირგვლივ ლოქოს, ლობიოს და ბუშტს ეძახიან, მაგრამ საკმარისი ენერგია და ხიბლი აქვს, რათა ერთ ქალს მაინც სულ უნდოდეს და ორ ყოფილ ცოლსაც ცოტა გული წყდებოდეს. სანდრო საარაკო რეგვენია, მაგრამ აბსოლუტურად არ გაღიზიანებს და ხანდახან წყვეტს ყველასთვის გადაუჭრელ ამოცანას ან ავლენს ყველასთვის უწვდომელ ნამდვილ ცოდნას. მარიკა თითქოსდა კლასიკური ოჯახის ქალია, ოღონდ აკლია დიასახლისის მთავარი ღირსება – ხელი არ უვარგა, საჭმლის კეთება არ იცის. დათო – ზარმაცი, უვიცი და არარეალიზებული ტიპია, სამაგიეროდ, აბსოლუტურად არ განიცდის ამას და ქალებშია განუხრელად წარმატებული. თიკა მომხიბლავია, მაგრამ მარტოა, საქმეში თან გაბედულია და თან მოთაკილე; ენამწარეა და იმავე დროს რბილი და დამყოლი. რა თქმა უნდა, ავტორები არ ეძიებენ ამ თვისებათა სიღრმისეულ მოტივაციებს, რადგან კომედიურ სერიალს ეს არ სჭირდება. სერიალის მიზანია გაგართოს და არა დაგარწმუნოს ან შეგძრას რაიმეთი. სხვა თუ არაფერი, ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებულია ირაკლი ჩხეიძის უნარი, პროფესორის ხელფასით გამუდმებით უმასპინძლოს და, პრაქტიკულად, არჩინოს მრავალრიცხოვანი სამეზობლო, სამეგობრო თუ სანათესავო და ამასთან ერთგვარი მიკროპატრიარქი იყოს – ვიწრო წრის გავლენიანი, მორალური და ინტელექტუალური ავტორიტეტი, რომელსაც, თუ ისურვებ, შეგიძლია ყველაფერი გაუბედო.

მთავარი და ახალი სერიალში სხვა რამ გახლავთ: სიმსუბუქე, რითაც პერსონაჟებს გადააქვთ მტკივნეული დამოკიდებულება და სიტყვა-პასუხი ერთმანეთს შორის. რომ იტყვიან, ენა არც ერთ ძირითად გმირს არ უგვალავს, თითოეულს შეუძლია სხვას მწარე სიტყვები უთხრას, მისი არსების ყველაზე მოწყვლად მხარეს შეეხოს. სცენარისტები და შემდეგ მსახიობები ახერხებენ, რომ ასეთი ქცევა და ლაპარაკი მიუახლოვდეს, მაგრამ არასოდეს გადავიდეს ცინიზმის ზღვარს. ლაშას „კბენენ“ მოუქნელობისა და სირბილის გამო, თამარს – ასაკის, სიავისა და გაუთხოვრობის მიზეზით, დათოს იმიტომ, რომ შეხიზნულია და ვერც პროფესიაშია თვითგასრულებული. ეკას მრავალგზის გათხოვების გამო „ეკიფეებიან“. სანდროზე ლაპარაკიც ზედმეტია. რეალურ ქართულ ყოფაში ასეთი საუბარი (გინდ ოჯახის წევრებს, გინდ მეგობრებს შორის) უთუოდ აღმავალი სიმწვავის კონფლიქტს გამოიწვევდა. „შუა ქალაქში“ ქართულ კულტურას გამოსავალს სთავაზობენ: სიტყვით, ლაპარაკით კონფლიქტი კი არ გაამძაფრო, არამედ გაანელო.

როცა ერთი პერსონაჟი მეორეს თავისი ირონიული ფრაზით „გმირავს“ და კედელთან აყენებს, მას არასოდეს უპასუხებენ რისხვით ან სერიოზული განაწყენებით. პასუხად ან დუმილი ისმის ან ყველაზე ხშირი რეპლიკა სერიალში: „კარგი, რა, ირაკლი (თამარ, ლაშიკო, დათო, მარიკა), კარგი, რა?!...“ ეს არის მშვიდობიანი, შერიგებისკენ მიმართული სიტყვები, რომელთაც გამსჭვალავს წყენაც, ბრაზიც, გაღიზიანებაც – მაგრამ მსუბუქად, ძალიან მსუბუქად. ამ პასუხში მყისეულად რბილდება და განიმუხტება კონფლიქტი, რომელიც წამის წინ წაიმახა და მზად იყო ასაფეთქებლად. ეს პასუხი მაყურებელს უგზავნის კომპრომისისა და ტოლერანტობის კოდს.

ამგვარ გზავნილს ახლავს ელემენტი, რომელიც მას, განსხვავებით კომედიური სიტუაციებისგან, ასე ვთქვათ, ცხოვრებისეულ დამაჯერებლობას ანიჭებს. სხვისი გამკილავი პერსონაჟი „შუა ქალაქში“, არსებითად, საკუთარ თავზე, საკუთარ პრობლემაზე იცინის. დათო ალექსიძის „ხიზნობა“ ირაკლი ჩხეიძის პრობლემა უფროა, თამარ ღლონტის ზნე კი – მისი სიძის. ეკას მრავალქმრიანობაში იმავე თამარის მარტოხელობა ირეკლება, ხოლო ქარაფშუტობა არ აკლია არც ერთ პერსონაჟს, ვინც სანდროს ელაზღანდარება მისი სისულელის გამო. ცალკე უნდა აღინიშნოს მსახიობთა ირონიული დამოკიდებულებაც მათი პერსონაჟებისადმი. თვითირონია – აი იარაღი, რითაც სჯობს აღიჭურვო გარემოში, რომელიც განწონილია თან სიყვარულით, თან მობეზრებით, ერთიმეორის თან მონატრებით და ხანდახან ვერატანითაც. თვითირონია – ყველაზე დეფიციტური განწყობაა დღევანდელ ჩვენ ყოფაში და დიდი მოთხოვნა „შუა ქალაქზე“ აღბათ ამითაც აიხსნება.

ფოტო: გურამ მიგასაშვილი

აზერბაიჯანის ახალგაზრდული მოძრაობის წევრები

აზერბაიჯანი
მესამე გზა

არის თუ არა აზერბაიჯანში ხელისუფლება, პრეზიდენტი და საზოგადოება უარყოფნაყივო? ახალგაზრდული მოძრაობა აპირებს დაამტკიცოს, რომ ეს არყოფნაყივა გაჩნდა. >>

მარგარიტა ახვლედიანი

პირველად აზერბაიჯანის ფარგლებს გარეთ სტუდენტური კავშირის „დალგას“ წევრებმა მაშინ მიიქციეს ყურადღება, როცა 2007 წლის შემოდგომაზე ფეხშიშველები გამოვიდნენ ბაქოს ქუჩებში. ახალგაზრდებს უნდოდათ, ყველას გაეგო, რომ უცხოეთში სახელმწიფო პროგრამით სასწავლებლად წასული მათი თანატოლები უსახსროდ დარჩნენ, რადგან სტიპენდიები თვეობით არ ერიცხებოდათ. მათი მეგობრები უცხოეთიდან ბაქოში წერილებს წერდნენ და შველას ითხოვდნენ, თუმცა ოფიციალური მიმართვებით და თხოვნებით ვერაფერს გახდნენ.

ფეხშიშველი მეპროტესტეები ნახევარ საათში დააპატიმრეს, პოლიციაში მიიყვანეს და მოსთხოვეს, ჩაეცვათ. „არ შეგვიძლია – ფეხსაცმელი გავყიდეთ, რომ სტიპენდიის გარეშე დარჩენილ მეგობრებს დავეხმაროთ“, – განაცხადეს ახალგაზრდებმა.

ეს სიმბოლური განცხადება იყო. სინამდვილეში, ფეხსაცმელები ერთ-ერთი მეგობრის სახლში გადამალეს. აზერბაიჯანის ახალგაზრდული მოძრაობა, რომელიც სწრაფად იკრებს ძალას, სიმბოლოების ეფექტურად გამოყენების უნარით გამოირჩევა.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რამდენიმე ათასი ახალგაზრდას გამოჩენა, რომლებიც ერთად მოქმედებენ „აზერბაიჯანში რეფორმების

ახალ დონეზე ასაყვანად და გასატარებლად“, სრულიად ახალი და უჩვეულო მოვლენაა სახელმწიფოში, რომელსაც ანალიტიკოსების უმეტესობა აპათიური საზოგადოების ქვეყანას უწოდებს. ორი ძირითადი შრე – პოლიტიკა და მედია აზერბაიჯანში სრულიად სტერილურია და ამ მიმართულებით გადამწყვეტი ნაბიჯები სწორედ წელს გადაიდგა.

ალიევების ოჯახი ქვეყანას, უკვე ათეული წლებია, მართავს. ჰეიდარ ალიევი აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ლიდერი იყო, 1993-ში კი – პრეზიდენტი გახდა. 2003 წელს ეს პოსტი მის შვილს, დღევანდელ პრეზიდენტს ერგო. 2009 წლის მარტში რეფერენდუმით დამტკიცდა კონსტიტუციური ცვლილებები, რომელთა თანახმად, გაუქმდა შეზღუდვა პრეზიდენტის მხოლოდ ორი ვადით არჩევის შესახებ. ამ ცვლილებების წყალობით, 47 წლის ილჰამ ალიევი აზერბაიჯანის სათავეში, სავარაუდოდ, სიცოცხლის ბოლომდე დარჩება. ქვეყნის მთავრობა საგულდაგულოდ შემუშავებული ავტოკრატიული სისტემაა, რომლის შენებაც ჰეიდარ ალიევმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. მან სისტემა საკუთარი ოჯახის წევრებზე, კლანის ინტერესებსა და ნათესავების შემოსავლებზე დააფუძნა.

ტელეარხების სრული, თუმცა შეფარული კონტროლის, ჟურნალისტებისა და რედაქტორების დაპატიმრებების ფონზე, ამა წლის 1 იანვრიდან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი არხების – რადიო „თავისუფლების“, „ამერიკის ხმის“ და „ბი-ბი-სის“ მაუწყებლობაც აიკრძალა. ეს იმით ახსნეს, რომ FM და საშუალო რადიო სიხშირეები სახელმწიფოს საკუთრებაა და არ შეიძლება უცხოურმა კომპანიებმა გამოიყენონ. აკრძალული რადიოსადგურები ინტერნეტით მაუწყებლობს, თუმცა, მაგალითად, რადიო „თავისუფლებამ“ განაცხადა, რომ აუდიტორიის დაახლოებით 95% დაკარგა. „რეპორტიორებმა საზღვრების გარეშე“ კი 173 ქვეყნიდან, სადაც პრესის თავისუფლების ხარისხი შეისწავლა, აზერბაიჯანი 150-ე ადგილზე დაასახელა.

„მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი აზერბაიჯანელი, ვისაც ოდესმე არჩევნების შედეგად ხელისუფლების ცვლა უნახავს“, – ამბობს აგიფ ალიევი, ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის ”ენი ნესილ”-ის თავმჯდომარე. „სტაგნაცია უკვე გენებში გვაქვს გამჯდარი. მთავარი, რაც დღევანდელ ახალგაზრდობას გამოარჩევს – გაუთვიცნობიერებლობაა“. ასეთ დროს, როგორც წესი, სამი გზა არსებობს: ან ქვეყნიდან უნდა წახვიდე, ან მამების გზას მიჰყვე, ან გარემო შეცვალო. „ამიტომაც, ჩვენ არჩევანს „მესამე გზა“ ვუწოდეთ. მე ამას rapid evolution-ს ანუ სწრაფ ევოლუციას ვეძახი“, – ამბობს ამინ აბდულაევი, ახალგაზრდული მოძრაობის AN Network-ის ლიდერი. „კარგად გვესმის, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს, ასე ვერ გაგრძელდება. ვერ ვნახულობთ საერთოს ვერც ხელისუფლებასთან, ვერც ოპოზიციასთან. დარწმუნებულები ვართ, მათ ცვლილებების უნარი არ შესწევთ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ახლავე უნდა დავამხოთ. მივხვდით, რომ ისინი, უბრალოდ, სხვა თაობას წარმოადგენენ. დროა, ახალი რეალობა ჩვენ თვითონ შევქმნათ“.

AN-ი ექვს ძირითად პრინციპს ასახელებს: სხვადასხვა თეორიების თანაარსებობას, ძალადობისა და დისკრიმინაციის უარყოფას, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, ნებისმიერი რელიგიისგან თავისუფლებას და სოლიდარობას. „შევიცვალოთ და შევცვალოთ სხვები ჩვენ ირგვლივ – ვთვლით, რომ ეს საზოგადოების შეცვლის და იმ ახალი ელიტის შექმნის ყველაზე ეფექტური მეთოდია, რომელიც ხელისუფლებაში ბუნებრივი გზით, თაობათა ცვლის შედეგად მოვა“, – ამბობს ემინი.

28 მაისს, აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღეს ბაქოს სხვადასხვა ადგილას შეხვდებოდით ახალგაზრდებს, რომლებიც სამნი ერთად ხელიხელჩაკიდებულები დადიოდნენ. თეთრი მაისური წარწერით – A, წითელი – D, და ისევ თეთრი – R. ADR აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა. „როცა გვეკითხებოდნენ, რას ნიშნავს, ვპასუხობდით, რომ ეს უბრალოდ აზერბაიჯანი კი არა, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკაა. დაგვეხმარეთ, ასეთად ვაქციოთ ჩვენი ქვეყანა“.

სამი-ოთხი წელიწადია, AN, „დალგა“, OL! და რამდენიმე სხვა ორგანიზაცია საკუთარ ქსელს ავითარებს. ეს იმ ახალგაზრდების ერთობაა, რომლებიც ერთსა და იმავე იდეებს და ღირებულებებს იზიარებენ. ძირითადად, ქსელში სტუდენტები ან ახალგაზრდა სპეციალისტები არიან გაერთიანებულნი. ბევრი მათგანი სწავლობდა ან სწავლობს დასავლეთში და სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციასა და ბიზნეს-კომპანიაში მუშაობს. „ჩვენ ტექნოკრატიული პროფესიონალების ახალი თაობა ვართ, ვინც მოამზადებს და აღასრულებს დღევანდელი კორუმპირებული სახლმწიფო სისტემის დემონტაჟს“, – ამბობს ემინი.

მიუხედავად იმისა, რომ მათი სამოქმედო გეგმა ცოტათი მეცნიერულს ჰგავს,

■ აზერბაიჯანის ახალგაზრდული მოძრაობის წევრები აქციებზე

„აზერბაიჯანს დაცინვით ახსენებენ – თითქოს ეს უალტერნატივო ქვეყანაა. ჩვენ უარვყავით ეს თვალსაზრისი. მხარს ვუჭერთ ერთმანეთს, გვჯერა ცვლილებების“, – ამბობს რუსლან ასადოვი.

ის მარტივად და უჩვეულოდ მოქმედებს. დასვენების დღეებში ლექციებს ატარებენ ისეთ თემაზე, როგორიცაა ნავთობი და დემოკრატია; განიხილავენ, როგორ მოქმედებს მსოფლიოს ეფექტური სახელმწიფო სისტემები. ექსპერტები ლექციებს გასამრჯელოს გარეშე კითხულობენ. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, როგორიცაა, მაგალითად, Far Centre, დარბაზს უფასოდ უთმობს. მსოფლიო საავტორო კინოშედევრების ჩვენებებს აწყობენ, ჩვენების შემდეგ – დისკუსიებს. აქ კონცერტებსა და საღამოებს „მრგვალი მაგიდები“ ცვლის. ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა TV დააარსა და ალტერნატიული საინფორმაციო გამოშვებების მომზადება დაიწყო, რომელთა ტრანსლაციასაც ინტერნეტით აპირებენ. ახალგაზრდები ახალ ტექნოლოგიებს ფლობენ. საზოგადოების განვითარების ალვინ ტოფლერისეული (Alvin Toffler's book The Third Wave) კლასიკური ფორმულირების მიხედვით, საკუთარ თავს „მესამე ტალღის თაობას“ უწოდებენ. ამ ფორმულირების მიხედვით, პირველი ტალღა აგრო-ტექნიკური საზოგადოებაა, მეორე – ინდუსტრიული, ხოლო მესამე – საინფორმაციო. 8 ათასზე მეტი ადამიანი გაერთიანებულია ისეთ სოციალურ ქსელებში, როგორიცაა Facebook და Linkedin. ამ ქსელების და აგრეთვე email და sms საშუალებით ისინი ათასობით ახალგაზრდას უგზავნიან მოსაწვევებს მონაწილეობის მისაღებად, მაგალითად, ახალგაზრდების ისეთ საყვარელ აქციებში, როგორიცაა flesh mob.

უკანასკნელი flesh mob უკავშირდებოდა მთავრობის მორიგ გადაწყვეტილებას. ხელისუფლებამ უარი თქვა, 10 მაისს (ჰეიდარ ალიევის დაბადების დღეს) ყოველწლიური ყვავილების დღესასწაული გაეუქმებინა და ნავთობის აკადემიასთან 30 აპრილს ტერაქტის დროს დახვრეტილი სტუდენტების მოსაგონებლად გლოვა გამოეცხადებინა. ახალგაზრდული ქსელის წევრები შავი ლენტებით (გოგონები – შავი თავსაფრებით) ორ-ორნი ან სამ-სამნი თავდახრილები დადიოდნენ მოსეირნე ადამიანების გვერდით, ხელში მიხაკები ეკავათ და ცდილობდნენ, ყურადღება მიეპყროთ. პოლიცია მალევე გაერკვა ყველაფერში – დაახლოებით 30 კაცი დააპატიმრა და საღამომდე იზოლატორში დაიკავა.

„ჩვეულებრივ, ასეთ აქციებში (როგორიც ჩვენი სტატია დავიწყეთ) დაახლოებით 60-80 ადამიანი მონაწილეობს“, – ამბობს ვაფა ჯაფაროვა, სტუდენტური კავშირის, „დალგას“ ლიდერი. „ჩვენ სოციალური პროექტში, სახელწოდებით – „მამა, ნუ გამათხოვებ, მომეცი უფლება, სკოლაში ვიარო!“, გაცილებით მეტი ადამიანი მონაწილეობდა. ამ პროექტის მიზანი იყო გოგონების 10-12 წლის ასაკში გათხოვების ტრადიციის შეცვლა. მათი რიცხვი, ვინც მხარს გვიჭერს, ვინც ჩვენთან ერთად სწავლობს, ვინც ლექციებსა და კინოჩვენებებზე დადის, გაცილებით დიდია“.

„დალგამ“ არაერთხელ გააკვირვა საზოგადოება თავისი აქციებით. როცა ძველი ბაქოს რეკონსტრუქცია დაიწყო და ერთი ძველი შენობა უნდა დაენგრიათ, მოძრაობის 25 წევრი, მათ შორის ვაფაც, დილით ადრე მივიდნენ და შენობის ირგვლივ გისოსებზე მიეჯაჭვნენ. მათ დასაპატიმრებლად პოლიციელებს გისოსების გადახერხვა მოუწიათ. ასე, გისოსების ნაგლეჯებთან ერთად წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. „ცხადია, გვლანძღეს, გვაგინეს, დაგვამცირეს, მაგრამ არ ვუცემივართ. შენობა კი დგას, არ დაუნგრევიათ“, – ამბობს ვაფა.

ერთხელ იმიტომ დააპატიმრეს, რომ ბაქოს მერიის ის გეგმა გააპროტესტეს, რომლის მიხედვითაც, ქალაქის ცენტრში ხეები ხელოვნური მცენარეებით უნდა შეეცვალათ. „დალგას“ წევრები ვედროებით მივიდნენ და ახალდამონტაჟებული ხელოვნური ხეები მორწყეს.

ახალგაზრდებს რეგულარულად აპატიმრებენ. ხანდახან სცემენ კიდეც. ბევრს უნივერსიტეტიდანაც რიცხავენ (თუმცა, უმეტესობამ მოახერხა აღდგენა. ზოგიერთმა – სასამართლოს მეშვეობით). იყო შემთხვევებიც, როცა სამსახურებიდან გაათავისუფლეს მოძრაობის წევრების მშობლები. უმეტესობას ოჯახში კონფლიქტი აქვს. მშობლებს ან ეშინიათ, ანდა ქვეყნის დღევანდელი მმართველობის სტილს გულწრფელად უჭერენ მხარს.

„არაფერია“, – ამბობს ვაფა ჯაფაროვა. მას, ისევე, როგორც სხვებს, ჰქონდა და აქვს შესაძლებლობა სხვანაირად მოიწყოს ცხოვრება. ვაფამ დისერტაცია კულტუროლოგიაში დაიცვა. ემინი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია. ევროპულ სამართალს ორი წელი გერმანიაში სწავლობდა, ახლა დიდ კომპანიაში მენეჯერად მუშაობს. „შემეძლო, დიდი ხნის წინ წავსულიყავი აქედან და სხვანაირად მეცხოვრა, – ამბობს ვაფა, – მაგრამ ეს საქმე ვიტვირთე და ვერ მივატოვებ, ყოველ შემთხვევაში – ჯერჯერობით. რეგიონებში საკვირაო სკოლებში ვმუშაობ და იქაური ქალები ისე მიყურებენ, როგორც უკანასკნელ იმედს, მათთვის მაგალითი ვარ. რამდენადაც მაღალფარდოვნად უნდა ჟღერდეს, მათი მიტოვება, უბრალოდ, არ შემიძლია“.

რუსლან ასადოვი, კიდევ ერთი ახალგაზრდული ორგანიზაციის OL!-ის (ინგლისურად Be! – იარსებე) ლიდერი, უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ საზოგადოების შესაცვლელად საჭიროა, თვითონ იყოს წარმატების მაგალითი. „მათ, ვინც ჩვენს ლექციებსა და აქციებზე მოდიან, ვინც მისმენენ, უნდა ნახონ, რომ რუსლანი განათლებულია (დღეს ის დიპლომს იცავს პოლიტიკის ადმინისტრირების სფეროში), კარგი სამსახური აქვს, ეს კი ნიშნავს, რომ მისი იდეები აქტუალურია“, – ამბობს ის.

ამ ზაფხულს OL! ამბიციურ პროექტს იწყებს. მას Open Air University უწოდეს, და „თავისუფლების ჰაერს“ გულისხმობენ. გრანტით უნივერსიტეტისთვის შენობას იქირავებენ და მასწავლებლებს ტრანსპორტის ხარჯებს აუნაზღაურებენ. საზოგადოებრივი და პოლიტიკური მეცნიერებების კურსის წასაყვანად ექსპერტები მოიწვიეს. უმეტესობა უკვე დათანხმდა და თავისუფალ დროს ლექციებს გასამრჯელოს გარეშე წაიკითხავენ.

„აზერბაიჯანს დაცინვით ახსენებენ – თითქოს ეს უალტერნატივო ქვეყანაა. ჩვენ უარვყავით ეს თვალსაზრისი. მხარს ვუჭერთ ერთმანეთს, ვუნაწილებთ ცოდნასა და რესურსებს. გვჯერა ცვლილებების“, – ამბობს რუსლან ასადოვი.

8-მილიონიან აზერბაიჯანში მათი რიცხვი, ვისაც ცვლილებების სჯერა, მაქსიმუმ, 8 ათასია. „რა თქმა უნდა, ახალგაზრდების უმეტეს ნაწილს მეორე – შეგუების გზა აქვს არჩეული, – ამბობს აგიფ ალიევი, – მათ ძვირად ღირებული მანქანები უფრო იზიდავთ, ვიდრე საკვირაო სკოლები. იციან, რომ ამ მიზნის მისაღწევად მოკლე გზაა კორუმპირებული ხელისუფლების სამსახური და მისეული სიბრძნის დაუფლება. ბევრი პირველ გზას ირჩევს – ქვეყნიდან მიდიან. გუშინ ერთ ახალგაზრდას ველაპარაკე. 25 წლისაა და აზერბაიჯანის ერთ-ერთ დიდ კომპანიაში public relations-ს ხელმძღვანელობს. წასვლა უნდა ქვეყნიდან – სწავლა, მუშაობა. ამბობს, რომ აქ, მონოპოლიის პირობებში, ზრდისთვის სტიმული არ არსებობს“.

გვისმინეთ
მთელ საქართველოში
უცვლელ სიხშირეზე
106.4
fm
www.radio1.ge
106.4 Free
RADIO ONE

ბიზნესი

ეფექტიანები მეთოდები სტრატეგიები

თუ იცი და მოქმედებ – მიალწევ!

გამოწერისთვის დაგვიკავშირდით:
ტელეფონი: (995 32) 22 37 68
ელ-ფოსტა: subscribe@bs-magazine.com



WWW.LIBERALI.GE